ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
14 დეკემბერი პარასკევი 2012 №296 (13 902) ფასი 80 თეთ[რი]

შ ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოგუა VS ფიფია ქეცბაია

...ისინი ცდილობენ, კარიერა დამინგრიონ



2

## დიდი წმენდა

კოლხეთმა 11 დაითხოვა

4



## სადამდე ავა ქაჟარავა?

ზესტაფონში ჯერ მწვრთნელ კონსულტანტად

3



## მანუს 20 მინუს 8

ევროლიგაზე **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუს" დიდი ბრძოლა გადახდა თურქეთში, „ფენერბაჰჩესთან". გამარჯვებული მომდევნო ეტაპის საგზურს ინაღდებდა.

მეოთხე პერიოდში კანტუელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ სხვაობა ოთხ ქულაზე მეტად ვერ შეამცირეს, არადა გადამწყვეტ მომენტში მანუჩარმა ორი სამქულიანი ჩააგდო. საბოლოოდ „ფენერბაჰჩემ" 77:69 იმარჯვა. მარკოიშვილმა 36 წუთში 20 ქულა, 3 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა.

■ ■ ■

იტალიაში ოვერტაიმში დამარცხდა **ვიქტორ სანიკიძის** „მონტეპასკი", რომლის მეტოქე „პროკომმა" 95:88 მოიგო.

ვიქტორის ანგარიშზე 18 წუთში 4 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი და 1 დაფარება იყო.

■ ■ ■

თელ-ავივში „მაქაბიმ" 78:62 სძლია ბერლინის „ალბას". მასპინძელთა ქართველ ცენტრ **გიორგი შერმადინს** არ უთამაშია.

■ ■ ■

ლიბანის ჩემპიონატში დებიუტი ორმაგი დუბლით აღნიშნა **ნიკა ცქიტიშვილმა** - 18 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა.

მისი „ჩამპვილი" სტუმრად „მუტაჰედთან" 73:81 დამარცხდა.

## ისევ თებერვალი ალბანეთი



საქართველოს ეროვნული გუნდი 2013 წლის 6 თებერვალს ალბანეთის ნაკრებთან სტუმრად ამხანაგურ მატჩს გამართავს. შეგახსენებთ, რომ 2012 წლის 29 თებერვალს საქართველო-ალბანეთის ამხანაგური შეხვედრა ქართველების გამარჯვებით, ანგარიშით 2:1 დასრულდა. გოლები სანდრო კობახიძემ და ალექსანდრე ამისულაშვილმა გაიტანეს.

sportall.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# გოგიტა გოგუამ დილა დატოვა

## ...ისინი ცდილობენ, კარიერა დამინგრიონ

გოგიტა გოგუამ გორის "დილა" დატოვა და ხვალ ბათუმის "დინამოსთან" მე-20 ტურის შეხვედრას აღარ ითამაშებს.

ცხადია, საქართველოს თასის მფლობელისთვის ეს დიდი დანაკლისი იქნება. თავად ფეხბურთელი ამბობს, რატომ არ სურს თბილისის "დინამოში" დაბრუნება.



**- შევიტყვეთ, რომ 14 დეკემბერს თბილისის "დინამოდან" განათხოვრების ვადა გიმთავრდება.**

- დიახ, ასეა. 15 დეკემბერს გორელებთან ვარჯიშის უფლებაც არ მაქვს. კლუბს ვტოვებ, მაგრამ მადლობა უნდა გადავუხადო ხელმძღვანელობას, ფეხბურთელებს, გულშემატკივრებს, გუნდის რიგით თანამშრომლებს, რადგან "დილაში" გატარებული მცირე პერიოდის მიუხედავად, გორში დიდი სიყვარული და სითბო ვიგრძენი. გუნდს დიდი პოტენციალი გააჩნია, ეგაა, უკეთესი შეთამაშებისთვის დრო სჭირდება.

**- მართალია, თითქოს, შენ და "დილას" კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი "ხიმკიში" მიდიხართ?**

- სხვებზე ვერაფერს გეტყვით, მე ნაღდად არ მივდივარ. წინადადებებს ახლა ველოდები.

**- "დინამოში" დაბრუნდები?**

- როგორც თავად არ სურთ, ასევე მე არ მინდა იქ დაბრუნება. "დინამომ" გამათავისუფლოს და ჩემს თავს მივხედავ.

**- კონტრაქტი როდის გიმთავრდება?**

- ხელშეკრულება ოფციონის წესით, 1+2 წლით გაფორმდა. ანუ, ერთი წლის შემდეგ, ხელახლა უნდა დავმჯდარიყავით და ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში, კიდევ ორი წლით გაგვეხანგრძლივებინა. თავიდან, ასეც ვაპირებდი. მაგრამ ახლა ამის სურვილი არ მაქვს. იმედია, პრობლემებს ახლა მაინც არ შემიქმნიან და მშვიდად დავშორდებით. ურთიერთობების სასამართლოებში გარკვევა აღარ მინდა.

არადა, ყველაფერი ძალიან კარგად ინყებოდა. "ვოლგადან" წამოსულს სამი არჩევანი მქონდა, მათ შორის, უკრაინიდან, ვარიანტს გიორგი ქინქლაძეც მთავაზობდა. მაგრამ დღე არ გავიდოდა, "დინამოს" მეპატრონე რომან ფიფიას რომ არ დაერეკა. ასე გავიცანი და ეს ურთიერთობა მეგობრობაში გადაიზარდა. გადავხედე ვითარებას, პერსპექტიული გუნდი ყალიბდებოდა, მშვენიერი ინფრასტრუქტურა - ასეთი ბაზა ბევრ კლუბს არ აქვს. მეც ყველა შემოთავაზებაზე უარი ვთქვი და "დინამოსთან" კონტრაქტის გაფორმებას დავთანხმდი.

ეგონათ, დიდ ფულს დებდნენ და სწორი გზით მიდიოდნენ, გოგუას ჩამოსვლით კი გუნდი სერიოზულ პროგრესს განიცდიდა. მაგრამ მე ასე არ ვფიქრობდი, მიდგომები არ მომეწონა. ფიფია აშენებდა ინფრასტრუქტურას, მაგრამ გუნდს - ვერა. გინახავთ კლუბი, რომელსაც თავდამსხმელი არ ჰყავს? აბა, მოაშორეთ ჯაბა დვალი და რა გუნდი იქნება დღევანდელი "დინამო", ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

რადგან ფიფიასთან კარგი ურთიერთობა მქონდა, თავდამსხმელის ჩამოყვანა ვთხოვე, მაგრამ ასე არ მოხდა და გუნდმაც ვერაფერს მიაღწია. მე კი, თავდამსხმელის არყოფნაში, გოლეადორობასაც კი მთხოვდნენ. აბა, რომელი თავდამსხმელი მე ვიყავი?

**- ამის გამო ხარ ფიფიაზე გაბრაზებული?**

- მიზეზი სხვა რამ იყო. თამაშებს ვერ ვიგებდით, ვილაცების რჩევებს აჰყვა და მერე პრემიები გაგვინახევრეს. ურთიერთობები უფრო და უფრო დაგვეძაბა. გადამწყვეტი ის შემთხვევა აღმოჩნდა, როდესაც უკმაყოფილება პირად შეურაცხყოფაში გადაიზარდა. წინა სეზონში გორის "დილასთან" ერთ-ერთი მატჩის შემდეგ მითხრა, რომ, თურმე, წაგება ჩემი ბრალი იყო, უგულოდ ვითამაშე და ა.შ. ეს ველარ მოვითმინე და ჩვენი კონფლიქტის მთავარი მიზეზი გახდა. სეზონის დასრულების შემდეგ კი გამანათხოვრა.

21 წელია, რაც ფეხბურთს ვთამაშობ და კარიერის აწყობას ვცდილობ. ამ პერიოდში ბევრი ტკივილიც ვნახე, სიხარულიც და იმედგაცრუებაც. მაგრამ 3 თვეში "დინამომ", მანამდე კი ქეცბაიამ ამ კარიერის დანგრევა და ჩემი ნაშრომნაწვალების წყალში ჩაყრა მოინდომეს. ფეხბურთელის ისეთი გაწირვა, რასაც აქ ქართველები ერთმანეთს ვუკეთებთ, სხვაგან წარმოუდგენელია. საერთოდ, ქეცბაია, ფიფია და ყველა ხელმძღვანელი უნდა ხვდებოდეს, რომ მოთამაშეც ადამიანია და ღირსება და ამბიცია გააჩნია.

**- ურთიერთობები ვერც "დინამოსთან" ააწყვე და ვერც თემურ ქეცბაიასთან. იქნებ, თავად ხარ კონფლიქტური?**

- ქეცბაიას თუ ჰგონია, რომ "შე კაი დედმამიშვილოსა" და "ტოს" მაღალ ტონში ძახილით სიმართლეს ამტკიცებს, ძალიან ცდება. მასაც დავუჯდები პირდაპირ ეთერში, ფიფიასაც და ბოლოს და ბოლოს, ხალხმა გაიგოს, მე ვარ ასეთი აუტანელი, თუ რა ხდება. ისინი ცდილობენ, ჩემზე არასწორი ინფორმაციები გაავრცელონ და კარიერა დამინგრიონ.

**- ალბათ, ნაკრებში თამაშზე აღარც ფიქრობ.**

- ძალიანაც ბევრს ვფიქრობ და მინდა! მთელი ხმით გაჰკიოდა, გოგუა ფეხბურთელი არ არისო და ხორვატიის შემდეგ საქართველოს ნაკრების კარი გადამიკეტა. გული მწყდება, ასეთი კაცი რომ არის ჩვენი ნაკრების მწვრთნელი. ეს საქართველოს ნაკრებია, არა ქეცბაიასი და პირადი კონფლიქტებითა და შეხედულებით გუნდს არ უნდა აკომპლექტებდეს, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემს შემთხვევაში ასე მოხდა. "პირველი არხის" ჟურნალისტს დავით მინაშვილს არაერთხელ უთქვამს, რომ ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა დაგროვდა. ქეცბაია კი ჟურნალისტებს ლაპარაკს არ აცლის და ხალხი შეცდომაში შეჰყავს. თუმცა, მიმაჩნია, რომ ყველაზე მწვავე კითხვები მისთვის არ დაუსვამთ.

თავად ხომ უნდა ნაკრების მწვრთნელობა? ჰოდა, მე ნაკრებში დაბრუნება მსურს, მაგრამ მისი პირადი ინტერესის გამო, უკვე წელიწად-ნახევარია, ეს შანსი მესპობა. ან რას ერჩოდა სირაძეს, რომელიც ბოლო წლებში, ნაკრების ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი იყო?

დილა

# ჯულელის წასვლას უარყოფენ

## გორულ კლუბს შვეიცარიელები შემოსავენ

სულ რაღაც ერთი წელი გავიდა, რაც გორის "დილა" შინაგან საქმეთა სამინისტრომ აიყვანა. ფინანსურად არც ისე დალხენილ კლუბს, რომელიც მუდამ უმაღლეს ლიგაში დარჩენისა თუ აღზევებისთვის იბრძოდა, უცებ ყველა სხვა კლუბზე მდიდარი ბიუჯეტი აღმოაჩნდა – ყველაფერი კონკიას ზღაპარს ჰგავდა.

შედეგად, მეორეხარისხოვანი მოთამაშეების ნაცვლად, "დილაში" რუსეთიდან, კვიპროსიდან, უნგრეთიდან, ხორვატიიდან, უზბეკეთიდან, ბელარუსიდან და ავსტრიიდან ამბიციური მოთამაშეები, საქართველოს, ხორვატიისა და რუსეთის ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებში ნათამაშები ფეხბურთელები დაიმატეს. ჩვენს პირობებში, ზღაპრული ხელფას-პრემიები დაუნიშნეს და მოხდა პრეცედენტი, რომ რეგიონის კლუბში თამაში სარფიანი გახდა.

წლეულს "დილა" საქართველოს თასს დაეუფლა, ევროპის ლიგის პლეი ოფამდე გააღწია და დღეისათვის "ტრანსფერმარკტ"-ის ექსპერტთა შეფასებით, ყველაზე ძვირად ღირებული ქართული კლუბია, ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის (IFFHS) საკლუბო რეიტინგში კი საქართველოს ოთხ წარმომადგენელს შორის საუკეთესო პოზიცია უკავია.

მაგრამ შსს-ს პატრონობის ქვეშ გადასვლის დღიდან ისმოდა ხმები, რომ ეს ერთჯერადი პროექტი იყო და სეზონის დასრულებამდე კლუბს სამინისტრო აღარ მიხედავდა. ეს ხმები მას შემდეგ გაძლიერდა, რაც პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული "ქართული ოცნების" წევრებმა **ირაკლი სესიაშვილმა** და **ლევან ყიფიანმა** სამინისტროების მიერ სპორტული კლუბების დაფინანსების არამიზნობრიობაზე ილაპარაკეს. ნოემბერში, მედიასთან შეხვედრისას ეს ღიადაც გაცხადდა: „დილას" მენეჯერმა **გია ისიანმა** და დირექტორმა **ზურაბ დალაქიშვილიმა** თქვეს, რომ კლუბს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აღარ აფინანსებს, პროექტი შეჩერებულია და სულ მალე გორის „დილას" ორი სოლიდური სპონსორი ეყოლება შვეიცარიიდან და ავსტრიიდანო.

მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ ლაპარაკია. ფაქტი კი "დილას" პრესსამსახურის ხელმძღვანელმა, **ფრიდონ კერვალიშვილმა** გვითხრა: გორის „დილას" მენეჯერად **გია ისიანის** დანიშვნამ პირველი ხელშესახები შედეგი უკვე გამოიღო. ამიერიდან კლუბს შვეიცარიული სპორტული პროდუქციის მწარმოებელი კომპანია Gpard შემოსავს, რაც გია ისიანის ვიზიტის შედეგად გადაწყდა. ახალი ტექნიკური სპონსორის პრეზენტაცია დღეს, გორში თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე შედგება. შვეიცარიული კომპანიის წარმომადგენელი "დილას" იმ მაისურას წარადგენს, რომლითაც გუნდს ახალი სეზონიდან ვიხილავთ. გარდა ამისა, სტუმარი სრულ სათამაშო კომპლექტს ერთ-ერთ ადგილობრივ ბავშვთა გუნდსაც გადასცემს.

ახალ ტექნიკურ სპონსორთან დაკავშირება ლიხტენშტეინური კომპანია Sports Factory-ს საშუალებით გახდა შესაძლებელი. მისი მეპატრონე ამ ქვეყნის ფეხბურთის ლეგენდა, 38 წლის **მარიო ფრიკი** გახლავთ. ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში, მას 1999–2000 წლებში „ციურიხში" **მიხეილ ყაველაშვილთან** და **გოჩა ჯამარაულთან** ერთადაც უთამაშია.



მამუკა ჯულელი

Sports Factory-მ საკუთარ თავზე აიღო ევროპაში გორის „დილასთვის" სპონსორების მოძიება და Gpard-თან მოლაპარაკება წარმატებით დაასრულა. შვეიცარიული კომპანია ქართულ კლუბს სპორტული ეკიპირებით 3 წლის განმავლობაში უზრუნველყოფს. კომპანიას სხვა ქართულ კლუბებთან თანამშრომლობის სურვილიც აქვს.

გარდა ამისა, მარიო ფრიკის კომპანია Sports Factory შვეიცარიასა და ლიხტენშტეინში "დილას" შეკრებების ორგანიზებაზე, მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და მრავალი სხვა მიმართულებით იმუშავებს.

გავრცელდა ხმები, თითქოს, საშემოდგომო ეტაპის დასრულების შემდეგ, რუსეთის ნაციონალური ლიგის გუნდ "ხიმკიში" გადადიან "დილას" მენეჯერი **მამუკა ჯულელი** და იმ მოთამაშეთა ნაწილი, რომლებზეც წლებია ის ზრუნავს.

თუმცა, "დილაში" ამ ხმებს უარყოფენ და ამბობენ, რომ ჯულელი გორული კლუბის მიტოვებას არ აპირებს.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სიტუაცია

● ინტერვიუ



**„ზესტაფონის" ბანაკში მოვლენები ბოლო დღეებში ელვისებური სისწრაფით იცვლებოდა, რასაც, საბოლოოდ, გუნდიდან მთავარი მწვრთნელების, დავით მუჯირისა და ზაზა ზამთარაძის წასვლა მოჰყვა. სამაგიეროდ, არ დადასტურდა გავრცელებული ინფორმაცია „ზესტაფონიდან" ოთხი ფეხბურთელის – ზურაბ მენთეშაშვილის, თორნიკე აფციაურის, ზაალ ელიავასა და ზურაბ მამალაძის წასვლის თაობაზე. ისინი სხვებთან ერთად ვარჯიშობენ და შესაძლოა, მათი ნაწილი მოედანზე უახლოეს ტურშივე ვიხილოთ.**
**შეგახსენებთ, წინა ტურში „ზესტაფონმა" შესუსტებული შემადგენლობით ითამაშა და აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ იყო, საქართველოს მოქმედი ჩემპიონი ივანწმინდაში საჩხერის „ჩიხურასთან" 1:3 რომ დამარცხდა. ის მატჩი ფეროელებმა დუბლშემადგენლობის მწვრთნელის, გიორგი მიქაძის ხელმძღვანელობით ჩაატარეს, გუშინ კი საზოგადოებისთვის „ზესტაფონის" ახალი დამრიგებლის ვინაობა გახდა ცნობილი.**
**ეს კახა კაჭარავა გახლავთ, რომელიც ამჟამად საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელია, სამწვრთნელო კარიერის უდიდესი პერიოდი კი თბილისის „დინამოში" აქვს გატარებული...**

# ზესტაფონი 2012: კაჭარავამ უნდა გაასამოს

„ზესტაფონში" მომხდარი მჭექი ამბები დასასრულს უახლოვდება – გაფიცული ფეხბურთელები ზესტაფონში დაბრუნდნენ, მე-19 ტურის გადადებულ შეხვედრაში ითამაშეს, ვარჯიში განაახლეს და ახალი მწვრთნელ-კონსულტანტიც დაუნიშნეს – **კახა კაჭარავა.**

2012 წელს „ზესტაფონს" უკვე მესამე დამრიგებელი ეყოლება, **გიორგი ჭიაბრიშვილის, ზაზა ზამთარაძისა** და **დავით მუჯირის** დუეტის შემდეგ.

ჭიაბრიშვილის ხელმძღვანელობით „ზესტაფონმა" წლეულს საქართველოს ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა, რაც ადვილი ნამდვილად არ იყო. რამდენჯერმე მომხდარა, რომ საქართველოს ჩემპიონობისთვის რეალურად მხოლოდ ერთი გუნდი იბრძოდა, 2011/12 წლების სეზონში კი ასე არ იყო, „ზესტაფონს" შმაგად ეპაექრებოდა რუსთავის „მეტალურგი", ჩემპიონატის მიწურულს „ზესტაფონმა" სტუმრად მოახერხა „მეტალურგის" დამარცხება – ეს ფინალის ტოლფასი შეხვედრა იყო.

ჩემპიონთა ლიგის შესარჩევშიც ჭიაბრიშვილი გახლდათ ფეროელთა თავკაცი, მაგრამ... გუნდი რამდენიმე საკვანძო ფეხბურთელმა დატოვა, შევსებას რაც შეეხება, „ზესტაფონში" მეტწილად ახალგაზრდა, პერსპექტიული, მაგრამ ევროტურნირისთვის ჯერაც გამოუცდელი მოთამაშეები მივიდნენ. „ზესტაფონი" მასზე მაღალბიუჯეტიან ბაქოს „ნეფთჩის" გადაეყარა და პირველ შეხვედრაში სტუმრად 0:3 წააგო. უკვე ძალიან აშკარად ჩანდა, რომ ამ შემდგენლობით „ზესტაფონი" ჩემპიონთა ლიგის თუ ევროპა ლიგის ჯგუფში ვერ მოხვდებოდა.

ევროსარბიელზე ხელმოცარვის შემდეგ ჭიაბრიშვილს მომდევნო გამოცდა საქართველოს ჩემპიონატში ელოდა, მაგრამ სეზონის სტარტზე გუნდს მნიშვნელოვანი წარმატებები არ ჰქონია და „ზესტაფონისა" და ჭიაბრიშვილის გზებიც გაიყარა.

ჭიაბრიშვილი „ზესტაფონში" უწინდელ მიმართულებას აგრძელებდა – ბურთის გაგორება, კომბინაციური თამაში, ის რისკი და ავანტიურა, რაც ასე ძალიან ალამაზებს ფეხბურთს, ანუ ჭიაბრიშვილი მხოლოდ შედეგზე არ იყო მომართული, წინაც იყურებოდა, მაგრამ დროში ვერ ჩაეტია.

ვის უნდა გაეწვრთნა „ზესტაფონი"? გაჩნდა კულუარული ინფორმაცია, რომ კლუბის პრეზიდენტი **ილია კოკაია** სერიოზულად დაფიქრდა უცხოელი სპეციალისტის მიწვევაზე. ამოტივტივდა საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცის, **ალენ ჟირესის** კანდიდატურაც, თუმცა არჩევანი ისევ ქართველებზე შეჩერდა – ზამთარაძე და მუჯირი, ვინც ერთი პერიოდი მწვრთნელობის პარალელურად „ზესტაფონში" ფეხბურთელობასაც ითავსებდა.

მუჯირი-ზამთარაძის დუეტმა ნორმალურად იმუშავა, არცთუ ცოტა ქულა აილო „ზესტაფონმა". ისიც გასათვალისწინებელია, რომ გუნდს ამ მწვრთნ-ელების ხელში არ გაუვლია მოსამზადებელი პერიოდი, მუჯირმა და ზამთარაძემ „ზესტაფონი" ფაქტობრივად შუა გზაზე ჩაიბარეს. „ზესტაფონში" ხელახლა დააწყებინეს ფეხბურთის თამაში **რატი წინამძღვრიშვილს,** რომელმაც ოთხი გოლის გატანა მოახერხა. შუა გზაში წარმოებდა სასელექციო სამუშაოებიც, „ზესტაფონმა" ლეგიონერები აიყვანა – სერბი **იგორ ილიჩი** და კოტდიუვუარელი **ბოტი გოა.**

მე-18 ტურში „ზესტაფონმა" შინ „ვიტ ჯორჯიასთან" 1:2 წააგო და მონასტერიც აირია – ფეხბურთელებს ხელფასი გაუნახევრდათ და გაიფიცნენ, ზამთარაძემ და მუჯირმა კი გვითხრეს, კლუბის ხელმძღვანელობამ ეს გადაწყვეტილება ჩვენთან კონსულტაციის გარეშე მიიღო და ისლა დაგვრჩენია, „ზესტაფონს" გავეცალოთო.

ახლა კი კაჭარავას მოუწევს „ზესტაფონის" გაწვრთნა. ეს მწვრთნელი 46 წლის გახლავთ, თუმცა გამოცდილება ალბათ საკმარისზე მეტი აქვს - ორი წელი იყო „დინამო თბილისის" მწვრთნელი, თანაც იმ დროს, როცა კლუბს რთული პერიოდი ჰქონდა. „დინამო" ალბათ ყველა ქართველი სპეციალისტისთვის განსაკუთრებული და დიდი სკოლაა, რაც კარგად აწრთობს მწვრთნელს ყველანაირი სიძნელისთვის. კაჭარავამ იცის, როგორ დაალაგოს ურთიერთობა ფეხბურთელებთან, კლუბის პრეზიდენტთან, მასმედიასთან და გულშემატკივრებთან – მას აქვს ამის გამოცდილება და როცა „ზესტაფონის" შეთავაზებას დათანხმდა, ალბათ ესეც გაითვალისწინა, „ზესტაფონი" ხომ სპეციფიკური კლუბია.

კაჭარავამ „ზესტაფონი" ზედა ექვსეულში უნდა დატოვოს – ამ ეტაპზე სხვა ამოცანა გუნდს ვერც ექნება. წინ სამი ფინალივით შეხვედრა ელის.

**დავით თავართქილაძე**

# კაჭარავა ფეროელთა მწვრთნელ-კონსულტანტია

## ჯერ უკონტრაქტოდ, კლუბსა და ნაკრებს შორის არჩევანი პირველი ეტაპის შემდეგ გაკეთდება

...46 წლის კაჭარავას „ზესტაფონის" მთავარ მწვრთნელს ჯერ ვერ ვუწოდებთ. იგი იმერულ კლუბში ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულებამდე მწვრთნელ-კონსულტანტის სტატუსით იმუშავებს და ამის შემდეგ გაირკვევა, გააგრძელებს თუ არა „ზესტაფონში" მოღვაწეობას.

კაჭარავას გუნდთან ერთად ერთი კონკრეტული ამოცანა აქვს გადასაჭრელი – „ზესტაფონი" უმაღლესი ლიგის საუკეთესო ექვსეულში უნდა მოხვდეს. პირველი ეტაპის დასრულებამდე სამი ტურია დარჩენილი და ფეროელები მდევარ „მეტალურგს" ორიოდე ქულით უსწრებენ.

გუშინ ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით „ზესტაფონმა" საკუთარ ბაზაზე პირველად ივარჯიშა. ხვალ იმერული კლუბი ბოლნისის „სიონს" მასპინძლობს და უკვე შეგვიძლია იმის თქმა, რომ ამ მატჩისთვის ბევრად ძლიერ შემადგენლობას მოუყრის თავს, ვიდრე წინა ტურში. თუმცა დანაკლისიც არის - ტრავმირებულია ზესტაფონელთა ნახევარმცველი ლევან შარიქაძე, ხოლო თორნიკე გორგიაშვილსა და მამუკა კობახიძეს სიცხე აქვთ.

„ლელო" კახა კაჭარავას ესაუბრა.

**- „ზესტაფონში" თქვენი დარჩენა პირდაპირ არის დამოკიდებული ზეექვსეულში მოხვედრა-ვერმოხვედრაზე?**

- საკითხი ასე კონკრეტულად არ დგას. მთავარია, პროგრესის ნიშნები გამოჩნდეს, თუმცა, რა თქმა უნდა, შედეგს უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ და ყველაფერს გავაკეთებთ საუკეთესო ექვსეულში დასამკვიდრებლად. პირველი ეტაპის დასრულებისთანავე „ზესტაფონის" ხელმძღვანელობასთან ჩემს მომავალზე ვიმსჯელებთ. დღეს კი კონტრაქტზე და შორსმიმავალ გეგმებზე საუბარი ნაადრევია, ახლა მთლიანად მიმდინარე წელს დარჩენილ სამ მატჩზე ვართ კონცენტრირებულნი.

**- რით ახსნით „ზესტაფონის" ასეთ არასტაბილურ ასპარეზობას?**

- ჩემი მხრიდან ამაზე საუბარი მიზანშეწონილი არ იქნება. ყველა მწვრთნელს თავისი ხედვა აქვს და არ იქნება სწორი, ჩემი კოლეგების მუშაობა რომ შევაფასო. მე შემიძლია, საკუთარ ნამუშევარზე ავიღო პასუხისმგებლობა და გუნდის წარმატებისთვის მაქსიმუმი გავიღო.

**- ზეექვსეულში მოხვედრის შანსებს როგორ შეაფასებთ?**

- „მეტალურგს" ორი ქულით ვუსწრებთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი ჩვენს ხელთაა. საკმაოდ ძლიერი კონკურენტი გვყავს და წინ დიდი ბრძოლები გველის, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, ეს რბოლა „ზესტაფონის" გამარჯვებით რომ დასრულდეს.

**- თქვენი უპირველესი ამოცანა, ალბათ, გუნდში ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაა.**

- ორ-სამ დღეში ვერც ერთი მწვრთნელი ვერ შეძლებს გუნდის გარდაქმნას, აი ფეხბურთელთათვის საკუთარი თავის რწმენის მოკლე დროში დაბრუნება კი სრულიად შესაძლებელია. ჩემი უპირველესი ამოცანა სწორედ ეს არის და მჯერა, „სიონთან" მატჩში ეს



უკვე გამოჩნდება, ახლო მომავალში კი იმასაც შევძლებ, „ზესტაფონში" ჩემი საფეხბურთო ხედვა განვახორციელო.

**- პირველი ეტაპის ბოლო ტურში „დინამოს" ეთამაშებით. ამ მატჩს პირადად თქვენთვის განსაკუთრებული დატვირთვა უნდა ჰქონდეს...**

- რასაკვირველია, ეს ჩემთვის ერთი რიგითი შეხვედრა არ იქნება. „დინამო" სერიოზულ აღმავლობას განიცდის და მის წინააღმდეგ თამაში იოლი არ არის. თუმცა სჯობს, „დინამოსთან" მატჩზე ვრცლად მოგვიანებით ვისაუბროთ, რადგან ახლა მთლიანად „სიონთან" მოახლოებულ დაპირისპირებაზე ვართ კონცენტრირებულნი.

**- საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატს ზოგადად როგორ შეაფასებთ?**

- სამწუხაროდ, დონეში რაიმე ხელშესახებ პროგრესს ვერ ვხედავ.

**- „ზესტაფონის" სამწვრთნელო შტაბს თქვენ გარდა ვინმე თუ შეემატა?**

- ჯერჯერობით, არა. სამწვრთნელო შტაბის დაკომპლექტებაზე იმ შემთხვევაში ვიფიქრებ, თუ ჩემი „ზესტაფონში" დარჩენა გადაწყდება.

**- საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ხართ. როგორ აპირებთ ამ ორი საქმის შეთავსებას?**

- შეთავსებას არ ვაპირებ. „ზესტაფონში" იმიტომ მივედი, რომ ამ წლის ბოლომდე ნაკრები აღარ იკრიბება. თუ „ზესტაფონთან" პირველი ეტაპის შემდეგ კონტრაქტი გავაფორმე, ნაკრებს აუცილებლად დავტოვებ.

**- 19-წლამდელთა ნაკრების მზადების გეგმებში რაიმე სიახლე ხომ არ არის?**

- ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ გუნდი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდისთვის სათანადოდ მოემზადოს. უკვე გადაწყვეტილია, რომ ელიტრაუნდის წინ შეკრებას სერბეთში გავივლით, სადაც ადგილობრივ ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს ჩავატარებთ. მიმდინარეობს მოლაპარაკებები პორტუგალიისა და კვიპროსის ფეხბურთის ფედერაციებთან და დიდია იმის შანსი, რომ სპარინგები ამ ქვეყნის 19-წლამდელებთანაც გავმართოთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფოტოები: www.fczestafoni.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი



# ირაკლი სირბილაძე: შესაძლოა, ინტერიდან წავიდე

**ირაკლი სირბილაძე, შესაძლოა, რომელიმე ძლიერი ევროპული ლიგის კლუბში ვიხილოთ. ამის შესახებ 30 წლის თავდამსხმელმა "ლელოს" განუცხადა.**

**სირბილაძისთვის 2012 წელი განსაკუთრებული აღმოჩნდა: 12 ნოემბერს, ჰელსინკიში ფინეთის უმაღლესი ლიგის დაჯილდოების ცერემონიაზე სირბილაძემ სპეციალური პრიზი მიიღო და გალა-წარმოდგენის მთავარი გმირი გახდა. გარდა იმისა, რომ "ინტერის" ქართველი ლეგიონერი სეზონის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ვეიკაუსლიგის საუკეთესო თავდამსხმელადაც აღიარეს.**

**ირაკლიმ ჯერ კიდევ შარშან აჩვენა მშვენიერი შედეგი – ტურკუს კლუბში პირველ 8 შეხვედრაში 8 გოლი მიითვალა, წლეულს კი ვეიკაუსლიგის ბომბარდირთა დავაში თავიდანვე დაწინაურდა და საბოლოოდ, სეზონში ყველაზე მეტი - 17 გოლი გაიტანა.**

**ამ ორი ტიტულის გარდა, სირბილაძემ სანაკრებო მიწვევითაც გაიხარა: თემურ ქეცბაიამ 15 აგვისტოს, ლუქსემბურგთან ამხანაგურ შეხვედრაში ეროვნული ნაკრებში პირველად ათამაშა ტანმაღალი თავდამსხმელი, რომელსაც მანამდე არც ერთ ასაკობრივ ნაკრებში არ ენდობოდნენ - მერე შესარჩევი ციკლის შეხვედრებიც ჩაატარა.**

**30 წლის ფორვარდი იმედოვნებს, რომ უფრო მაღალი დონის ჩემპიონატში ითამაშებს. ლოგიკური გამოდგა ვარაუდი, რომ წარმატებული სეზონის შემდეგ, სირბილაძეს საინტერესო მიწვევები ექნებოდა:**

- არ გამოვრიცხავ, რომ მომავალი სეზონი რომელიმე სხვა ლიგაში დავიწყო. საკმაოდ ძლიერი საფეხბურთო ქვეყნების ძლიერი ლიგების კლუბები დაინტერესდნენ.

**- როგორც შევიტყვეთ, განსაკუთრებით, სკანდინაველები აქტიურობენ.**

- შვედეთის, დანიის ან ნორვეგიის კლუბში გადასვლას არ გამოვრიცხავ. მაგრამ ჯერ გადაწყვეტით ვერაფერს გეტყვით. "ინტერთან" კონტრაქტი მხოლოდ მომავალი წლის ბოლოს მიმთავრდება და ორი ვარიანტია: შეიძლება ახლა წავიდე, ან კონტრაქტის დასრულებას დაველოდო და მერე თავისუფალი აგენტის სტატუსით სადაც მინდა, იქ წავალ.

**- მაგრამ წასასვლელად ახლა საუკეთესო დრო გაქვს: ლიგის ბომბარდირი გახდი, ფინეთში საუკეთესო თავდამსხმელად გაღიარეს, ნაკრებში მიგიწვიეს.**

- გეთანხმებით და მეც არ მსურს, რომ ეს ერთი წელი დავკარგო. რა ტიტულის მოპოვებაც თავდამსხმელს შემეძლო, ფინეთში უკვე მოვიპოვე. მაგრამ კონტრაქტის გასაწყვეტად თანხა არის გადასახდელი და ამაზე ვარ დამოკიდებული – კლუბი თუ გადაიხდის, ახლავე გადავიდოდი. და თუ ეს ვერ მოახერხა, კიდევ ერთი წელი დავრჩები.

**- დასრულებული სეზონი შენთვის ძალიან წარმატებული გამოდგა. ამაში ხელი რა ფაქტორებმა შეგიწყვეს?**

- ეს შრომის, მწვრთნელისა და თანაგუნდელების დამსახურებაა. და კიდევ: სეზონისთვის ფიზიკურად ავთო ბერიძემ ძალიან კარგად მომამზადა.

**- ამ კაცს ყველა აქებს, არადა, ფეხბურთს არ აკარებენ.**

- არ აფასებენ და ვილაცების ჩამოყვანაში დიდი ფულს იხდიან. არადა, სრული პასუხისმგებლობით ვამბობ - ბერიძის მსგავსი მცოდნე სპეციალისტი ბევრი არ მინახავს, მისნაირები კი ევროპაში ბევრ გუნდს არ ჰყავს.

**- შენი აზრით, საქართველოს ნაკრებს მუნდიალის შესარჩევ ჯგუფში რომელი ადგილის დაკავება შეუძლია?**

- მესამე ადგილი რეალური მგონია. ანუ დარჩენილ შეხვედრაში ქულების მაქსიმალური რაოდენობა უნდა ავიღოთ. ფინეთს შინ უნდა მოვუგოთ. საფრანგეთთან და ესპანეთთან მატჩებზე კი არ ვიცი, რა მოხდება. უმძიმესი შეხვედრები გველის.

**- დაბოლოს: რა იყო 2012 წელს შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა?**

- ძალიან კარგი წელი იყო. ჩემპიონი რომ გავმხდარიყავი, კიდევ უკეთესი იქნებოდა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ეროვნულ ნაკრებში მიწვევა იყო. ქეცბაიას ინტერესმა დიდი სტიმული მომცა. ეს უფრო მნიშვნელოვანიც კი იყო, ვიდრე პირადი ტიტულები.

**მერაბ მამულაშვილი**

## დუბლების ჩემპიონატი

### XIX ტური

| | |
|---|---|
| სიონი – დინამო (თბ) | 0:2 |
| დილა – ტორპედო | 2:0 |
| კოლხეთი – დინამო (ბთ) | 1:0 |
| ვიტ ჯორჯია – მეტალურგი | 2:1 |
| ზუგდიდი – მერანი | 1:0 |
| ჩიხურა – ზესტაფონი | 4:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 19 | 13 | 2 | 4 | 50-22 | 41 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 19 | 12 | 3 | 4 | 45-23 | 39 |
| 3. ზუგდიდი | 19 | 11 | 4 | 4 | 33-17 | 37 |
| 4. ზესტაფონი | 19 | 10 | 5 | 4 | 56-34 | 35 |
| 5. ტორპედო | 19 | 8 | 4 | 7 | 28-24 | 28 |
| 6. ჩიხურა | 19 | 8 | 4 | 7 | 25-25 | 28 |
| 7. დილა | 19 | 8 | 3 | 8 | 22-23 | 27 |
| 8. მეტალურგი | 19 | 7 | 4 | 8 | 32-35 | 25 |
| 9. კოლხეთი | 19 | 7 | 2 | 10 | 20-38 | 23 |
| 10. დინამო (ბთ) | 19 | 6 | 2 | 11 | 25-32 | 20 |
| 11. მერანი | 19 | 4 | 2 | 13 | 10-40 | 14 |
| 12. სიონი | 19 | 0 | 5 | 14 | 14-47 | 5 |

## ჭაბუკთა ლიგა. XIV ტური

### 1995-96 წლებში დაბადებულნი

| | |
|---|---|
| დილა – ზუგდიდი | 6:0 |
| სიონი – მერანი | 5:2 |
| ჩიხურა – ტორპედო | 1:4 |
| 35-ე ს.ს. – საბურთალო | 2:4 |
| დინამო (თბ) – ლოკომოტივი | 5:2 |
| მეტალურგი – დინამო (ბთ) | 4:0 |
| ბაია – ვიტ ჯორჯია | 0:0 |
| ზესტაფონი – კოლხეთი (ფ) | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალურგი | 14 | 10 | 2 | 2 | 36-13 | 32 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 14 | 9 | 4 | 1 | 35-11 | 31 |
| 3. ლოკომოტივი | 14 | 8 | 3 | 3 | 35-18 | 27 |
| 4. დილა | 14 | 8 | 2 | 4 | 26-19 | 26 |
| 5. დინამო (თბ) | 14 | 8 | 1 | 5 | 35-21 | 25 |
| 6. საბურთალო | 14 | 8 | 1 | 5 | 34-21 | 25 |
| 7. ტორპედო | 14 | 7 | 4 | 3 | 32-18 | 25 |
| 8. ზესტაფონი | 14 | 7 | 3 | 4 | 25-17 | 24 |
| 9. ბაია | 14 | 5 | 5 | 4 | 28-30 | 20 |
| 10. 35-ე ს.ს. | 14 | 4 | 2 | 8 | 18-22 | 14 |
| 11. ზუგდიდი | 14 | 4 | 2 | 8 | 17-35 | 14 |
| 12. დინამო (ბთ) | 14 | 3 | 4 | 7 | 11-22 | 13 |
| 13. კოლხეთი | 14 | 3 | 4 | 7 | 8-27 | 13 |
| 14. სიონი | 14 | 3 | 3 | 8 | 16-23 | 12 |
| 15. ჩიხურა | 14 | 2 | 3 | 9 | 11-44 | 9 |
| 16. მერანი | 14 | 1 | 1 | 12 | 12-38 | 4 |

### 1997-98 წლებში დაბადებულნი

| | |
|---|---|
| ჩიხურა – ტორპედო | 1:3 |
| სიონი – მერანი | 0:6 |
| 35-ე ს.ს. – საბურთალო | 0:2 |
| დინამო (თბ) – ლოკომოტივი | 2:0 |
| მეტალურგი – დინამო (ბთ) | 3:0 |
| ბაია – ვიტ ჯორჯია | 1:0 |
| ზესტაფონი – კოლხეთი (ფ) | 2:0 |
| დილა – ზუგდიდი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 14 | 11 | 2 | 1 | 66-10 | 35 |
| 2. საბურთალო | 14 | 10 | 4 | 0 | 62-8 | 34 |
| 3. ლოკომოტივი | 14 | 10 | 2 | 2 | 55-12 | 32 |
| 4. ბაია | 14 | 9 | 4 | 1 | 33-9 | 31 |
| 5. მეტალურგი | 14 | 9 | 1 | 4 | 26-13 | 28 |
| 6. ტორპედო | 14 | 7 | 2 | 5 | 27-24 | 23 |
| 7. დილა | 14 | 7 | 2 | 5 | 15-25 | 23 |
| 8. 35-ე ს.ს. | 14 | 6 | 2 | 6 | 26-14 | 20 |
| 9. ზესტაფონი | 14 | 6 | 2 | 6 | 19-39 | 20 |
| 10. ვიტ ჯორჯია | 14 | 5 | 2 | 7 | 14-17 | 17 |
| 11. მერანი | 14 | 3 | 6 | 5 | 19-18 | 15 |
| 12. კოლხეთი | 14 | 3 | 4 | 7 | 10-25 | 13 |
| 13. დინამო (ბთ) | 14 | 3 | 1 | 10 | 10-42 | 10 |
| 14. ზუგდიდი | 14 | 2 | 2 | 10 | 7-39 | 8 |
| 15. ჩიხურა | 14 | 0 | 4 | 10 | 8-61 | 4 |
| 16. სიონი | 14 | 0 | 2 | 12 | 6-57 | 2 |

კოლხეთი

# კოლხეთმა თერთმეტი დაითხოვა

## ფოთში ფოთელები ითამაშებენ

ფოთის "კოლხეთი" მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში ბოლო ადგილზეა, ფინანსური პრობლემებიც მიეძალა, რასაც ასეთი გაგრძელება მოჰყვა - გუნდის დატოვებამ მოუწია თერთმეტ ფეხბურთელს.

"კოლხეთის" ფეხბურთელები აღარ არიან: **არდალიონ მიქაბერიძე, პაატა დათუნაიშვილი, ზვიად ჩხეტიანი, ლაშა ქებაძე, ჯემალ გაბუნია, გიორგი ცხადაია, მიხეილ კობერიძე, ლევან რთველიაშვილი, ავთო ბაგაშვილი, ლუკა ხომასურიძე და ვასილ ლუჭაშვილი.**

"კოლხეთში" გვითხრეს, რომ ამიერიდან აქცენტი ახალგაზრდა, ადგილობრივ ფეხბურთელებზე გაკეთდება, ამ ეტაპზე გუნდი შევსებას დუბლშემადგენლობიდან მიიღებს.

ამ ეროვნულ ჩემპიონატში "კოლხეთმა" ჯერ ერთი თამაშიც კი ვერ მოიგო და, ალბათ, ამიტომაც მიმართა ასეთ რადიკალურ ზომას.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონი

# შოთამ გიუნეშს ვერ აჯობა

**შოთა არველაძის** გაწვრთნილ "ქასიმფაშას" გუშინ ცოტა დააკლდა თურქეთის თასის ჯგუფურ ეტაპზე გასასვლელად. "ქასიმფაშას" მეტოქე **შენოლ გიუნეშის** "ტრაბზონსფორი" იყო. შოთამ ფეხბურთელობისას სწორედ გიუნეშის გაწვრთნილ "ტრაბზონსფორში" გააცნო საკუთარი თავი თურქეთს და წუხელ ყოფილი გუნდის წინააღმდეგ პაექრობამ მოუწია.

"ქასიმფაშა" **იოზერის** გოლით დაწინაურდა მე-7 წუთზე. "ტრაბზონი" ბურთის ფლობაში აღემატებოდა მოწინააღმდეგეს და 88-ე წუთზე ანგარიშის გათანაბრებაც მოახერხა **მიერჟეევსკის** თავური გოლით. 11-მეტრიანების სერიაშიც უფრო იღბლიანი გიუნეშის გუნდი გამოდგა, არადა "ქასიმფაშამ" პენალტებამდე ორი აშკარა საგოლე მომენტი გაანიავა.

"ქასიმფაშას" გუშინ სამი წამყვანი მოთამაშე აკლდა: **ფაბიან ერნსტი, ჯალმა და უჩე.**

**დავით თავართქილაძე**



შოთა არველაძე

თბილისის ფეხბურთის ფედერაცია

# კანდიდატი მხოლოდ ცაავაა

დღეს, 14 დეკემბერს, 12:00 საათზე, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საკონფერენციო დარბაზი თბილისის ფეხბურთის ფედერაციის VIII ყრილობას უმასპინძლებს.

ორგანიზაციის წარმომადგენელმა, **რევაზ მგელაძემ** გვაცნობა, რომ პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატურის რეგისტრაციის ვადა 30 ნოემბერს ამოიწურა, განაცხადი კი მხოლოდ მოქმედმა პრეზიდენტმა, **გრიგოლ ცაავამ** წარადგინა. ასე რომ, დღეს მოულოდნელობას არ უნდა ველოდოთ – წესით, ცაავა თბილისის ფეხბურთს კიდევ ოთხი წლით უხელმძღვანელებს.

მგელაძის თქმით, თბილისის ფეხბურთის ფედერაციაში დამთავრდა ყოველწლიური კონკურსი-გამოკითხვა, რომლის მიზანიც თბილისის საუკეთესო საფეხბურთო სკოლის, გუნდისა და მწვრთნელის გამოვლენა იყო. გამარჯვებულთა ვინაობას ყრილობის შემდეგ დაასახელებენ და დააჯილდოებენ.



გრიგოლ ცაავა

აღსანიშნავია, რომ ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე ყრილობის მიმდინარეობის პირდაპირი ტექსტური რეპორტაჟი იგეგმება.

**მერაბ მამულაშვილი**

რეგიონი. მინიფეხბურთი

# ასათიანის თასი თელაველებს დარჩათ

**სახალისო** ფეხბურთის საქართველოს რეგიონული ოფისისა და კახი ასათიანის სახელობის ფონდის ორგანიზებით გუშინ თელავმა გივი ჩოხელის სახელობის სტადიონზე მინიფეხბურთში **კახი ასათიანის** ხსოვნისადმი მიძღვნილ ფინალურ ტურნირს უმასპინძლა 10-11 წლის ბავშვებს შორის. მონაწილეობდნენ: თელავის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოსა და ყვარლის გუნდები. მთავარი პრიზისთვის ბრძოლაში თელავის და ყვარლის გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

პირველი ტაიმი თელაველების სასარგებლოდ 1:0 დამთავრდა. მატჩის მეორე ნახევარში კი მათ კიდევ 4 უპასუხო ბურთი გაუტანეს მეტოქეს — 5:0.

გამარჯვებულებს კახი ასათიანის სახელობის თასის გარდა დიპლომები და მედლები გადაეცა.

ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, მწვრთნელი და სპორტული მოღვაწე კახი ასათიანი დაიბადა თელავში 1947 წელს. დღემდე გამოუძიებელი მისი მკვლელობიდან 10 წელი გავიდა.

**ლეილა ხეჩოშვილი**
თელავიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალიის თასი. 1/8 ფინალი

# მოგება ტრავმების ფასად

## იუვეს სამი ფეხბურთელი დაუშავდა



სებასტიან ჯოვინკოს გოლმა "იუვენტუსი" მეოთხედფინალში გაიყვანა

**პარმა-კატანია 1:1 პენ. 3:4**

გოლები: 1:0 პაბონი (12), 1:1 ლოდი (19-პენ.).
**პარმა (3-5-2):** პავარინი - ძაკარდო (46. სანტაკროჩე), ბენალოუანე, პალეტა - ვალდესი (67. მარკიონი), ნინისი, პაროლო, ბიაბიანი, გობი - პაბონი, ამაური (74. ბელფოდილი).
**კატანია (4-3-3):** ფრიზონი - კაპუანო, ალვარესი, ლეგროტალიე, ბელუში - ალმირონი (97. კეკო), ლოდი, სალიფუ - მორიმოტო (69. ბერგესიო), ბარიენტოსი, კასტრო (98. მარკეზე).

**იუვენტუსი-კალიარი 1:0**

გოლი: 1:0 ჯოვინკო (57).
**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - ბარცალი, ბონუჩი, დე ჩელიე - ისლა, ვიდალი (16. ასამოა), პადოინი, მარონე, პოგბა - ჯოვინკო, ბენდტნერი (44. მატრი).
**კალიარი (4-3-3):** ავრამოვი - პერიკო, როსეტინი, მურუ, დელ ფაბრო - ეკდალი (46. დესენა), ერიკსონი, კაპელინი (77. პირედა) - პინილია, რიბეირო, იბარბო.

"რომას" შემდეგ იტალიის თასის მეოთხედფინალში "კატანია" და "იუვენტუსი" გავიდნენ - სიცილიელებმა გასვლაზე "პარმა" მოინელეს, ტურინელებმა კი საკუთარ კედლებში "კალიარი".

განსაკუთრებულ ინტერესს "იუვეს" ჯახი იწვევდა, რომელიც სარდინიულ გუნდს ოპტიმალურთან მიახლოებული შემადგენლობით დაუპირისპირდა. ტურინელებმა უპირატესობით წარმართეს მთელი შეხვედრა და მეორე ტაიმში, გამარჯვების გოლიც გაიტანეს. შედეგიანი დარტყმა **სებასტიან ჯოვინკოს** ანგარიშზეა, რომელმაც შეუცვლელად ითამაშა, ჯერ **ნიკლას ბენდტნერის**, შემდეგ კი **ალესანდრო მატრის** მხარდამხარ.

იტალიელი ჟურნალისტები კი ყველაზე მეტად იმაზე ამახვილებენ ყურადღებას, რომ ეს სათასო პაექრობა "იუვეს" სამი ფეხბურთელის ტრავმად დაუჯდა. სასტარტო შემადგენლობაში **ემანუელე ჯაკერინი** უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოთელვის დროს დაშავდა და მის ნაცვლად, **არტურო ვიდალმა** ითამაშა. ბედის ირონიით, ჯერ კიდევ მე-16 წუთზე ვიდალიც დაშავდა და **კვადვო ასამოათი** შეიცვალა. ტაიმის მიწურულს უკვე ნიკლას ბენდტნერი დაიმტვრა და მის ნაცვლად მოედანზე **ალესანდრო მატრი** შევიდა. ნამატჩევს, **ანტონიო კონტემ** სწორედ ტრავმებზე გაამახვილა ყურადღება:

*"თითქოს დავითარსეთ და მოკლე მონაკვეთში ერთბაშად სამი ფეხბურთელი დაგვიშავდა. იმედია, სერიოზული არაფერია და სამივე მალე დაგვიბრუნდება. რაც შეეხება შეხვედრას, მთლიანობაში კმაყოფილი ვარ და შეგირდების მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. იტალიის თასის მოგება ჩვენი ერთ-ერთი მიზანია".*

● მწვრთნელი

# რეიას უქმად ყოფნა მოჰბეზრდა

## და წინადადებებს ელოდება

**ედუარდო რეია** ნახევარი სეზონია უქმად არის და როგორც "კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტს განუცხადა, მზადაა სამწვრთნელო საქმიანობას დაუბრუნდეს. 67 წლის სპეციალისტი ბოლოს "ლაციოს" ედგა სათავეში და გასული სეზონის ფინიშზე, პოსტი თავისივე სურვილით დატოვა. იქამდე "ნაპოლის" და ცოტა ხნით სპლიტის "ჰაიდუკს" მესაჭეობდა. დროა, სიტყვა თავად რეიას გადავცეთ:

*"ზაფხულიდან მოყოლებული, დრო შესანიშნავად გავატარე, რადგან პირველად ბოლო ხუთ წელიწადში, ჩემზე არანაირი ზეწოლა არ ყოფილა. კარგად დავისვენე, ძალა მოვიკრიბე და მზად ვარ, სამწვრთნელო საქმიანობას დავუბრუნდე. "ნაპოლისა" და „ლაციოში" გატარებული პერიოდი უდიდესი გამოცდილების მომტანი იყო და ვეცდები, მთელი ეს ცოდნა ახალ გუნდში გამოვიყენო. შემოთავაზებები აქამდეც მქონდა, მაგრამ უარს ვამბობდი, ზამთარში კი ყველა წინადადებას სიამოვნებით განვიხილავ".*

ედი რეიამ "ლაციოს" თამაშიც შეაფასა და შემდეგი განაცხადა: *"ვფიქრობ, რომ ვლადიმირ პეტკოვიჩი ჩემს დაწყებულ საქმეს აგრძელებს და ეს ძალიან მახარებს. დიდად არც ტაქტიკა შეუცვლია, არც სტრატეგია და არც შემადგენლობა. უნარიანად ხელმძღვანელობს გუნდს და შედეგიც სახეზეა. ვფიქრობ, რომ კლაუდიო ლოტიტომ მისი დანიშვნით აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო".*



ედუარდო რეია

● ტრავმა

# დესტრო ლაზარეთში



მატია დესტრო

**იტალიური** სპორტული პრესის ცნობით, "რომა"-"ატალანტას" სათასო პაექრობაში **მატია დესტრო** დაშავდა და ჯერჯერობით, გაურკვეველი დროით ჩამოშორდა ფეხბურთს. 21 წლის ფორვარდმა ბერგამოელთა კარში გოლი გაიტანა, შემდეგ კი ორთაბრძოლაში ხისტად შევიდა და მოედანი კოჭლობით დატოვა.

დესტროს გამოკვლევა ჩაუტარდა, თუმცა ექიმთა საბოლოო ვერდიქტი რამდენიმე დღეში გვეცოდინება. წინასწარი პროგნოზით, ტრავმა მძიმე არაა, თუმცა ფეხბურთელს შესაძლოა ერთი, ან ორი მატჩის გამოტოვებამ მოუწიოს. თუმცა, ეს მაინც ვარაუდებია, რადგან ექიმები დიაგნოზის დასმისგან თავს იკავებენ.

მატიას ტრავმამ **ზდენეკ ზემანი** შეაშფოთა - ბოლო პერიოდში, ახალგაზრდა თავდამსხმელი ნაყოფიერად ირჯებოდა და გოლი გოლზე გაჰქონდა. ჩეხი სპეციალისტის თქმით, ძალიან მალე დესტრო გუნდის მთავარ დამრტყმელ ძალად მოგვევლინება.

● ინტერი



მასიმო მორატი

# მორატი: სკუდეტოსთვის ვიბრძოლებთ

## თუ კარგი ვარიანტი გამოჩნდა...

**"ინტერის" გარშემო უამრავი ჭორ-მართალი ვრცელდება, რომელთა შესახებაც თითქმის ყველა ნომერში გვიწევს წერა. თუმცა, ვითარებაში უკეთ გასარკვევად საუკეთესო საშუალება ინფორმაციის პირველი პირისგან მიღებაა. ჟურნალისტებს "ნერაძურის" პრეზიდენტი მასიმო მორატი გაესაუბრა და თემების მიხედვით, საკუთარი პოზიცია გაგვაცნო...**

### სნეიდერი

ვესლი სნეიდერი გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია და მისი გასხვისების სურვილი არ გვაქვს, თუმცა გადაჭრით რაიმეს თქმა დღეს შეუძლებელია. ბევრი ამბობს, რომ სნეიდერის გაყიდვით ალებული თანხა ახალი ფეხბურთელების დამატებაში დაიხარჯება. დანამდვილებით შემიძლიათ გითხრათ, რომ სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობა საერთოდ არ არის დაკავშირებული სნეიდერთან. ზოგადად, სატრანსფერო კამპანიაში ჩართვას არ ვაპირებთ, მაგრამ თუ კარგი ვარიანტი გამოჩნდა, პოზიციის შეცვლაც არ იქნება პრობლემა. მოკლედ, ჯერჯერობით დაკვირვების ფაზაში ვართ.

### კასანო

როდესაც ხელოვანს მუზა ეწვევა, მისი შეჩერება შეუძლებელია... ასეა ანტონიო კასანოც, თუ თამაში წაუვა, მოედანზე ყველაფერი გამოსდის. "ნაპოლისთან" შეხვედრაში ფრედი გუარინს ბრწყინვალე პასი გაუკეთა, რომლის მსგავსი იშვიათად მინახავს. ბევრი ამბობს, რომ ანტონიო იდეალურ ფორმაში არაა და 90 წუთი თამაში უჭირს, თუმცა ეს მცდარი მოსაზრებაა - ანდრეა სტრამაჩონი მას ტაქტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე ცვლის და არა იმიტომ, რომ იღლება. თანამედროვე ფეხბურთში, იშვიათია თავდამსხმელი შეუცვლელად ასპარეზობდეს. კასანო გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია და ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ "ინტერში" თავს შესანიშნავად გრძნობს. პირად საუბარში აქვს ნათქვამი, რომ ჩვენთან ყველაზე ბედნიერია, რაც ჩემთვის ბევრს ნიშნავს.

### სკუდეტო

ვფიქრობ, რომ სკუდეტოს მოპოვება შეგვიძლია და ბოლო მატჩებმა ამაში კიდევ უფრო დამარწმუნა. მართალია, "იუვენტუსი" ძალიან ძლიერი კონკურენტია, მაგრამ ჩვენც ვვითარდებით და დროთა განმავლობაში კიდევ უფრო მოვუმატებთ. დღეს, რთულია სათქმელია, რომელ ადგილზე ვიქნებით მაისში, მაგრამ ჩემპიონობისთვის ბრძოლა რომ შეგვიძლია, ამას წყალი არ გაუვა.

● მილანი

# პატო ჯანზეა და წასვლა არ სურს

## პაცინიმ სკუდეტო ახსენა

"მილანს" საუკეთესო დროება ნამდვილად არ უდგას, მაგრამ მიჯრით მოგებული შეხვედრებით მდგომარეობა შედარებით გამოისწორა. სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილიდან ამოძვრა და ლიდერთა მარაქაში გაერია, რაც უკვე საქმეა. თანაც, ეს ყველაფერი **მასიმილიანო ალეგრისთან** ერთად, ანუ მწვრთნელმა პოსტის შენარჩუნება მოახერხა. სადამდე გაგრძელდება "როსონერის" პროგრესი და რას შეიძლება მიაღწიოს ალეგრის გუნდმა მიმდინარე სეზონში? - ამაზე თავისი მოსაზრება ჟურნალისტებს 28 წლის ფორვარდმა **ჯამპაოლო პაცინიმ** გაუზიარა:

*"ბოლო მატჩებში მოპოვებულმა გამარჯვებებმა ოპტიმიზმით აგვავსო და დღეს, ბევრად უფრო ნათელ ფერებში ვხედავ მომავალს. გულშემატკივართა ნაწილი სულაც სკუდეტოზე ოცნებობს და ეს უკვე კარგია, განსაკუთრებით იმ ფონზე, თუ როგორ დავიწყეთ სეზონი. ჩემპიონობაზე რა გითხრათ და, სამეულში მოხვედრა კი ნამდვილად შეგვიძლია. რატომ გაგვიჭირდა სეზონის სტარტზე? - ეს ბუნებრივიცაა, რადგან გუნდი ერთბაშად არაერთმა ჩემპიონმა დატოვა. მათ გარეშე "მილანი" წარმოუდგენელი იყო და ადაპტაციისთვის გარკვეული დრო დაგვჭირდა. მართალია, ლეგენდების წასვლა ჩემთვის ყველაზე იოლი გადასატანი იყო, რადგან "მილანში" მხოლოდ ზაფხულს გადმოვედი, მაგრამ თანაგუნდელებზე ამან დამთრგუნველად იმოქმედა. ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდა და ყველაზე ცუდი უკან მოვიტოვეთ. მჯერა, პროგრესი გაგრძელდება".*

ამასობაში, **ალეშანდრე პატო** გამოჯანმრთელდა და მზადაა, მოედანს დაუბრუნდეს - ამბობენ, რომ 23 წლის ბრაზილიელმა ფორვარდმა ზამთარში შეიძლება კლუბი გამოიცვალოს და ამ ყველაფერზე თავად გააკეთებს კომენტარს: *"მთავარია, რომ სრულიად ჯანმრთელი ვარ და მოედანს უახლოეს შეხვედრაში დავუბრუნდები, დანარჩენი მეორეხარისხოვანია. რაც შეეხება ჩემს სამომავლო გეგმებს, "მილანის" ფეხბურთელი ვარ და არსად წასვლის სურვილი არ მაქვს. თუმცა, კლუბის მესვეურთა პოზიცია ჩემთვის უცნობია და ვერ გამოვრიცხავ, რომ სარფიანი წინადადების შემთხვევაში, ჩემი გასხვისების საკითხი არ დადგეს დღის წესრიგში. ვნახოთ, ამას მომავალი გვიჩვენებს - პირადად მე, "როსონერიში" ყველაფერი მაკმაყოფილებს".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ალეშანდრე პატო

ეროვნული ბიბლიოთეკა



რასიზმის წინააღმდეგ

# ახალი იდეები პრობლემების დასაძლევად

ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირმა მხარი დაუჭირა საფეხბურთო ასოციაციის ინიციატივას ფეხბურთელთა მხრიდან რასიზმის გამოვლენის შემთხვევაში "დამნაშავის" მინიმუმ 5-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასჯის შესახებ. აქამდე სანქციას ასოციაცია საქმის მასალების შესწავლის შემდეგ საკუთარი ინიციატივით აწესებდა. ასე მაგალითად, "ლივერპულის" თავდამსხმელმა **ლუის სუარესმა პატრის ევრასთვის** "ნეგრიტოს" წოდებისთვის 8 მატჩი გამოტოვა, **ანტონ ფერდინანდისთვის** შავი სასქესო ასოს დაძახებისთვის კი **ჯონ ტერის** 4 მატჩი აკმარეს.

"დეილი მეილმა" ვრცელი მასალა შემოგვთავაზა **დევიდ ბერნშტეინისა** და მისი ორგანიზაციის გეგმების შესახებ. ასოციაციაში ლეგიონერებისთვის (!) კულტურის სავალდებულო გაკვეთილების დანიშვნასაც გეგმავენ, რომელიც იდეის ავტორების აზრით, უცხოელებს დისკრიმინაციული ჩარჩოებისგან თავის დაღწევაში დაეხმარება. როგორც ირკვევა, დამუშავებულია 92-პუნქტიანი გეგმა. ერთ-ერთი ნაბიჯი, რაც რასიზმთან და ეთნიკურ შეუთავსებლობასთან საბრძოლველად არის გამიზნული, ფეხბურთში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების წახალისებაა. რაკი ინგლისში ძალიან ბევრი აზიური წარმომავლობის ბავშვია, მათ გარკვეული შეღავათები დაუწესდებათ თუკი ისინი შვილებს ფეხბურთზე შეიყვანენ.

ამას გარდა იგეგმება ცხელი ხაზის ამუშავება, რომელიც ნებისმიერ მსურველს, იქნება ეს ფეხბურთელი თუ გულშემატკივარი, მისცემს საშუალებას, რომ ანონიმურობის დაცვის გარანტიით ინფორმაცია მიაწოდოს რასიზმის გამოვლინების კონკრეტული შემთხვევების შესახებ. შესაძლებელი იქნება "ტვიტერზე" განთავსებული პოსტების მითითებაც კი, რათა წესრიგი მეტ-ნაკლებად ვირტუალურ სივრცეშიც დამკვიდრდეს. იგეგმება უახლოესი ტექნოლოგიების გამოყენება, რათა გამოვლინდეს მინდორზე რასიზმის გამოვლენის ყველა შემთხვევა. ამიერიდან ინგლისში მიწვეულ უცხოელ მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს ცალკე გააცნობენ ამ კამპანიის წესებს, რათა მომავალში გაუგებრობები თავიდან იქნას აცილებული. ცალკე შემუშავდება რეკომენდაციები მატჩის მონაწილე ყოველი პირისა და სტადიონზე მომსახურე სტიუარდებისთვის, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ისინი, თუკი მსგავსი ფაქტის მოწმენი გახდებიან.

მას შემდეგ, რაც აღნიშნული დოკუმენტი საბოლოო სახეს მიიღებს, ის პრემიერლიგის წევრ 92 კლუბს გადაეგზავნება, რათა უკანასკნელებმა ფეხბურთელებსა და რიგით თანამშრომლებს გააცნონ. მოსალოდნელია, რომ რასისტული და შოვინისტური გამოხდომების გარდა ანალოგიური წესით დაისჯება ჰომოფობიური და ტრანსფობიური შინაარსის ქცევებიც. ბრიტანეთის სპორტის სამინისტროში საფეხბურთო ასოციაციის ინიციატივას აღფრთოვანებულები შეხვდნენ.



ლუის სუარესსა და პატრის ევრას შორის მომხდარმა კონფლიქტმა ინგლისურ ფეხბურთში ანტიფობიურ კამპანიას ახალი სული შთაბერა

არსენალი

# დიქტატორი ვენგერი

## და გაჭიანურებული კრიზისის მოგვარების გზები

"არსენალის" ალმასრულებელი დირექტორი **ივან გაზიდისი** მეოთხელიგელ "ბრედფორდთან" ლიგის თასის 1/4-ფინალში წაგების შემდეგ გულშემატკივართა კლუბის წარმომადგენლებს შეხვდა, სადაც ბოდიში მოიხადა წარუმატებლად მიმდინარე სეზონის გამო და აღუთქვა, რომ ხელმძღვანელობა ყველაფერს გააკეთებს იანვარში შემადგენლობის გასაძლიერებლად. შეხვედრის შემდეგ მხარეებმა ჟურნალისტებთან კომენტარები ცალ-ცალკე გააკეთეს. "კლუბის მმართველი რგოლის წარმომადგენლები აცხადებენ, ეჭვიც არ ეპარებათ, რომ შეძლებენ სოლიდური სახსრების გამოყოფას იმ ფეხბურთელების შესაძენად, რომელსაც გუნდის მთავარი მწვრთნელი მოითხოვს. ფანებს ისღა დაგვრჩენია, იანვარს დავუცადოთ, რათა დავინახოთ, რამდენად გამართლდება ჩვენთვის მოცემული პირობა," – აცხადებს ფანკლუბის პრესსამსახურის ხელმძღვანელი **ტიმ პეიტონი**.

გაზიდისს საიანვრო გეგმების გარდა კომენტარის გაკეთება იმაზეც მოუხდა, თითქოს ხელმძღვანელობა გუნდიდან არსენ ვენგერის გაშვებას აპირებდეს. *"დავილალე ერთი და იმავეს მტკიცებით, რომ ვენგერის პოსტს საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ "ბრედფორდთან" წაგების შემდეგ გულშემატკივრებისაც მესმის, რადგან ამ შეხვედრამ ბევრი ვაացოფა. ფანტასტიკური მხარდამჭერები გვყავს, რომლებიც ბევრად უფრო მეტს იმსახურებენ, ვიდრე ბოლო წლებში მიიღეს. ჩვენ სწორედ მათთვის ვმუშაობთ და შედეგის მისაღებად ყველაფერს გავიღებთ. დიახ, უამრავი შეცდომა დავუშვით, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრსაც ვცდილობთ. ჩვენ საკმარისი შემოსავალი და სოლიდური ფინანსური რეზერვი გვაქვს. ვფიქრობ, მოვიდა დრო, რომ ფული ჭკვიანურად დავხარჯოთ. ვგრძნობთ, რომ სერიოზული ზეწოლის ქვეშ გვიწევს მუშაობა, მაგრამ საჭირო ფეხბურთელებს მაინც მოვნახავთ. ფაქტია, რომ ამჟამად შექმნილი მდგომარეობა არავის აძლევს ხელს,"* – აცხადებს გაზიდისი Goal.com-თან ინტერვიუში.

### ნერვების თამაში მარცხის გამო თუ...

როგორც ჩანს, მარცხმა ასოციაციის თასზე ჩრდილოლონდონელთა ბანაკში სიტუაცია მეტისმეტად დაძაბა. ოთხშაბათ დილას ინგლისურ პრესაში პირველი ინფორმაციები გაჩნდა ფეხბურთელებსა და მთავარ მწვრთნელს შორის კონფლიქტის შესახებ, ასევე სამწვრთნელო შტაბის წევრებს შორის ურთიერთობის დაძაბვის თაობაზე.

"ტელეგრაფის" ინფორმაციით, მას მერე, რაც ვენგერმა ჟურნალისტებს განუცხადა, ფეხბურთელებთან პრეტენზია არ მაქვს, რადგან წარმატებისთვის თავი არ დაუზოგავთო, ფრანგი გასახდელში ჩავიდა და მოთამაშეებს სწორედ უინიციატივობაში დასდო ბრალი და სამარცხვინო წაგება სწორედ მათ გადააბრალა. გასახდელში შემხვედრი პრეტენზიები გამოითქვა ფეხბურთელების მხრიდანაც. მაგალითად, **ლუკას პოდოლსკიმ ოლივიე ჟირუს** არყოფნის დროს ცენტრფორვარდის პოზიციაზე **ჟერვინიოს** დაყენება გააპროტესტა, რასაც იმით ასაბუთებდა, რომ ივუარელისთვის ეს პოზიცია ძალიან უცხოა, მაშინ როცა თავად მას კარიერის დიდი ნაწილი სწორედ თავდამსხმელად აქვს ნათამაშები და არა ვინგერად. პრეტენზიები გამოხატა "არსენალის" კიდევ ერთმა ახალწვეულმა **სანტი კასორლამაც**. "დეილი მირორის" მტკიცებით, ფეხბურთელებმა მწვრთნელისგან მოკლე პასებით თამაშის სტილიდან ინგლისური ფეხბურთისთვის ჩვეულ, გრძელ გადაცემებზე გადასვლა მოითხოვეს.

"ტელეგრაფი" "არსენალის" ყოფილი ფეხბურთელის **სტიუარტ რობსონის** სიტყვებზე დაყრდნობით ვენგერსა და მის ასისტენტ **სტივ ბოულდს** შორის კონფლიქტზეც წერს. უკანასკნელი ფრანგისგან დაცვითი ხაზის ფეხბურთელებთან მუშაობისას მეტ დამოუკიდებლობას ითხოვს, მაშინ, როცა ვენგერი "მეთოფეთა" ლეგენდარული უკანახაზელის სამუშაო პროცესის მთლიანად გაკონტროლებას ცდილობს. *"ბოულდი კარგი მწვრთნელია, მაგრამ მას ფეხბურთელებთან მუშაობის საშუალება არ ეძლევა. საწვრთნელი პროცესი პრაქტიკულად მის გარეშე მიმდინარეობს. ვენგერს კი ყველა დეტალზე ყურადღების გამახვილების საშუალება არ აქვს. გამოდის, რომ მთავარი მწვრთნელი წინასამატჩო დარიგებებს ფეხბურთელებს ისე აძლევს, რომ ვარჯიშზე მათ სრულად ვერც აკონტროლებს. რაც მთავარია, ის საშუალებასაც კი არავის აძლევს, რომ ამ პროცესში ჩაერთოს. შედეგად "არსენალი" რეგრესის გზას ადგას. სულ სხვანაირად დგას საქმე "მანჩესტერ იუნაიტედში". ალექს ფერგიუსონს ვარჯიშზე მწვრთნელები იმიტომ კი არ ჰყავს, რომ უკანასკნელებმა მას თავი ყველაფერზე დაუქნიონ, არამედ იმიტომ, რომ მათი აზრი ყველაფერზე მოისმინოს,"* – აცხადებს რობსონი.

London Evening Standart-მა ინფორმაციის გადამოწმება თავად ბოულდთან სცადა. "არსენალის" მწვრთნელმა ტელეფონს არ უპასუხა, რის შემდეგაც ჟურნალისტები უკვე სტივის უახლოეს გარემოცვას დაუკავშირდნენ, რომელთაც განაცხადეს, რომ ბოულდი აღშფოთებულია მსგავსი ჭორებით და მათზე კომენტარის გაკეთებაც კი უჭირს.


ტელეგრაფი ვენგერსა და სტივ ბოულდს შორის არსებულ კონფლიქტზე წერს

ამბები

### იჯარა და ახალი კონტრაქტები

SKY SPORTS-ის ინფორმაციით, "ლივერპული" იანვარში ურუგვაელი ცენტრალური მცველის, 22 წლის **სებასტიან კოატესის** რომელიმე პრემიერლიგურ კლუბში იჯარით გაშვებას გეგმავს. ნიჭიერი სტოპერი **დანიელ აგერსა** და **მარტინ შკრტელთან** კონკურენციის გამო პრაქტიკულად უთამაშებელია. სებას სეზონის განმავლობაში 8 თამაში აქვს ჩატარებული და აქედან მხოლოდ 2 სასტარტოში. როგორც წერენ, მისით ყველაზე მეტად "ქუინზ პარკია" დაინტერესებული.

Liverpool Daily Post კი წერს, რომ მერსისაიდული კლუბი მარჯვენა მცველის, 19 წლის **ანდრე უისდომის** შენარჩუნებას აპირებს. უისდომს ახალ, გაუმჯობესებულ კონტრაქტს სთავაზობენ. ანდრე დრო და დრო იდეალურად ახერხებს **გლენ ჯონსონის** შეცვლას და **ბრენდან როჯერსის** მოხიბვლაც მან სწორედ ამით შეძლო. დაბოლოს, **პეპე რეინას** ტრავმის პერიოდში **ბრედ ჯონსმა** ესპანელი გოლკიპერი სრულფასოვნად ჩაანაცვლა, რაც შეუმჩნეველი არავის დარჩენია. კლუბი ჯონსს ორწლიან ხელშეკრულებას სთავაზობს. 30 წლის ავსტრალიელს ისიც უნდა ესმოდეს, რომ "ენფილდზე" მას მხოლოდ სათადარიგო მეკარედ განიხილავენ.

### პარტიზანი უარყოფს

ბელგრადის "პარტიზანის" ოფიციალურმა ვებგვერდმა უარყო ინგლისურ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს სერბულმა კლუბმა 18 წლის შემტევი ნახევარმცველი **ლაზარ მარკოვიჩი** "ჩელსის" მიჰყიდა. კლუბის პრეზიდენტის **დრაგან ჯურიჩის** მტკიცებით, გუნდის საუკეთესო ფეხბურთელი, მინიმუმ ზაფხულამდე, ბელგრადიდან ფეხს არ მოიცვლის. "პრესით გავრცელებული არასწორი ინფორმაცია უკვე აღარავის უკვირს. გარწმუნებთ, აქამდე მარკოვიჩის ტრანსფერთან დაკავშირებით არც ერთ კლუბს ოფიციალურად არ მოუმართავს. ვადასტურებ, რომ მის მიმართ ინტერესი არის, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რადგან ზაფხულამდე მის გაშვებას მაინც არ ვაპირებთ".

აქვე გეტყვით, რომ ასაკის მიუხედავად ფეხბურთელმა სერბეთის ნაკრებში უკვე 6 შეხვედრის გამართვა მოასწრო.

### ნანის კიდევ ერთი მოსურნე

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ იანვარში "მანჩესტერ იუნაიტედმა" შესაძლოა **ლუიშ ნანი** "არსენალს" **თეო უოლკოტში** გაუცვალოს. 26 წლის პორტუგალიელზე იტალიური პრესა განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებს. "ეშმაკებს" ფეხბურთელის 6-თვიან იჯარას "რომა" სთავაზობს. როგორც "გაძეტა დელო სპორტი" წერს, მხარეებმა მოლაპარაკებების პირველი რაუნდი უკვე გამართეს. "არსენალისა" და "რომას" გარდა ნანის გადაბირება "ინტერსაც" სურს.

### კომპანის ამბავი ჯერ გაურკვეველია

XVI ტურში "მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრის პირველ ტაიმში "სიტის" მუხლის ტრავმის გამო გუნდის კაპიტანი **ვენსან კომპანი** დააკლდა. 26 წლის ბელგიელის ჯანმრთელობის შესახებ მას მერე ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდებოდა. გუშინ კი გაირკვა, რომ ფეხბურთელს მინიმუმ ორი კვირა დასჭირდება გამოჯანმრთელებისთვის. ასე რომ, "ქალაქელებს" დაცვის ლიდერი ხვალ "ნიუკასლთანაც" დააკლდებათ და ერთი კვირის თავზე "რედინგთანაც". 26 დეკემბერს "სანდერლენდთან" მისი ასპარეზობა კი გამორიცხული ნამდვილად არ არის.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. კოპა დელ რეი. 1/8 ფინალი. I მატჩები

# მესის ბრწყინვალე 88, ჟოზეს ცუდი 6

**ბილბაო-ეიბარი 1:1 (0:0)**

**გოლები:** 0:1 არუაბარენა (73-პენ), 1:1 ადურისი (88)

*შენიშვნა: ეიბარი მერვედფინალში გავიდა და 19 დეკემბერს „მალაგასთან" ითამაშებს.*

**მალიორკა-სევილია 0:5**

**გოლები:** 0:1 ნეგრედო (13), 0:2 ნეგრედო (18), 0:3 მედელი (26), 0:4 ბოტია (47), 0:5 ლუნა (84)

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - ნსუე, ა. კონსეისაო (46. ბიგასი), ჟერომელი, კევინი - მარტი, ფონტასი - მ. ფერნანდესი (46. კრისტეტო), ჯოვანი დოს სანტოსი, ალფარო (80. ბრანდონი) - არისმენდი.

**სევილია (4-2-3-1):** პალოპი - კოკე, ბოტია, ფასიო, ფ. ნავარო - მედელი, კონდობია (65. ერვასი) - ხესუს ნავასი, რაკიტიჩი (51. ლუნა), დელ მორალი - ნეგრედო (46. რეიესი).

*საპასუხო მატჩი 9 იანვარს*

**კორდობა-ბარსელონა 0:2**

**გოლები:** 0:1 მესი (11), 0:2 მესი (74)

**კორდობა (4-2-3-1):** საისარი - ხ. ფერნანდესი, გასპარი (81. დამიანი), ალბერტო, ფუენტესი - გარაი, კაბალიერო - პედრო, ვიკო (87. აინა), დუბარბიე - რენელია (62. პატინიო).

**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - დანი ალვეში (77. მონტოია), პიკე, მასკერანო, ალბა - ჩავი, სონგი, ტ. ალკანტარა - ვილია (83. ტელიო), მესი, პედრო (66. სანჩესი).

*საპასუხო მატჩი 8 იანვარს*

**სელტა-რეალი 2:1**

**გოლები:** 1:0 ბერმეხო (55), 2:0 ბუსტოსი (77), 2:1 რონალდო (86)

**სელტა (4-2-3-1):** ს. ალვარესი - მალიო, კაბრალი, ტუნიესი, ლაგო - ოუბინია, კრონდელი - ა. ფერნანდესი, ბერმეხო (83. ვილა), პარკი (63. დე ლუკასი) - ასპასი (74. ბუსტოსი).

**რეალი (4-2-3-1):** ადანი - ვარანი, პეპე, რ. კარვალიო, არბელოა - ესიენი (64. კაკა), ჩაბი ალონსო - დი მარია (46. იოზილი), მოდრიჩი, რონალდო - ბენზემა (32. კალეხონი).

*საპასუხო მატჩი 9 იანვარს*

**ატლეტიკო-ხეტაფე 3:0**

**გოლები:** 1:0 დ. კოშტა (18-პენ), 2:0 ფილიპე ლუიში (79), 3:0 დ. კოშტა (87)

**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში - მ. სუარესი, გაბი - კოკე, არდა თურანი (89. ტიაგო), ადრიან ლოპესი (16. რ. გარსია) - დ. კოშტა (91. მანკილიო).

**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - ვალერა, აბრაამი, ალექსისი, მ. ტორესი - ხ. როდრიგესი, ლასენი (76. ხ. ტორესი) - პედრო ლეონი, ბარადა (65. ა. ვასკესი), ლაფიტა - დ. კასტრო (79. გავილანი).

*საპასუხო მატჩი 10 იანვარს*



ლიონელ მესის 88-ე გოლი

**ესპანეთის თასის ადრეული ეტაპიდან ბილბაოს „ატლეტიკი" მესამე რანგის გუნდმა გამოაგდო! ლეო მესიმ მორიგი დუბლი შეასრულა და 2012 წელს გოლების რაოდენობა 88 გაუხდა; მადრიდის „რეალმა" წააგო (!) და რომ არა რონალდოს გოლი, საპასუხო მატჩის წინ ძალზე საშიშ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, მადრიდის „ატლეტიკომ" და „სევილიამ" თითქმის ყველაფერი გადაწყვიტეს პირველ რაუნდში - ასეთია ოთხშაბათის მატჩების მოკლე დახასიათება.**

## ობსტრუქცია ოდინდელ გმირს

ბასკური „ეიბარი" სეგუნდა B დივიზიონის ბინადარია, ეს გუნდი 1940 წელს შეიქმნა, თუმცა ლა ლიგაში ერთხელაც არ უთამაშია. ამ გუნდის მიღწევა 2004/05 წლების სეზონში მე-4 ადგილია, როცა ბასკებს 3 ქულა დააკლდათ და მათ ნაცვლად „ალავესი" ავიდა ელიტაში. და აი, ასეთმა გუნდმა ბილბაოს „ატლეტიკს" მეტოქის მოედანზე გატანილი გოლის წყალობით „კოპა დელ რეის" მერვედფინალის საგზური წაართვა და „მალაგასთან" რანდევუ დაიმსახურა.

**მარსელო ბიელსამ** „მოახერხა" ის, რაც „ატლეტიკს" 20 წლის დავიწყებული ჰქონდა, ბოლოს მესამე რანგის გუნდმა ბასკური გრანდი 1992 წელს გამოთიშა თასიდან (ეს გუნდი „ხერესი" იყო).

ალსანიშნავია, რომ **ფერნანდო ლორენტე** სტარტერი იყო, მაგრამ „სან მამესმა" ერთ დროს მთავარ გმირს ისეთი ობსტრუქცია მოუწყო, რომ ბიელსა იძულებული გახდა, ლორენტე შესვენებაზე შეეცვალა. შეგახსენებთ, - „მეფელომმა" განაცხადა, რომ როცა კი კონტრაქტი დაუსრულდება, მისი ფეხი არ იქნება „ატლეტიკში". ამის მერე ლორენტეს გულშემატკივრები, სტვენით აჯილდოებენ ხოლმე. სხვათა შორის, სწორედ მისმა შემცვლელმა **არიც ადურისმა** გაიტანა თამაშის მიწურულს, თუმცა ამ გოლმა „ბილბაო" სირცხვილისგან ვერ იხსნა.

**მარსელო ბიელსა** (ბილბაო): „ძალიან დამწუხრებული ვარ, ამ მარცხს ახსნა და გამართლება არა აქვს".

## მესის დუბლით

კორდობაში „ბარსელონას" ვიზიტს ქალაქში ნამდვილი ზეიმი მოჰყვა, დიდი აჟიოტაჟი იყო სტადიონზეც. ერთადერთი, რაც ამ განწყობას არ შეეფერებოდა მინდვრის საფარი იყო. ამის მიუხედავად, **ლეო მესის** შეჩერება ვერავინ შეძლო - ლეგენდარულმა არგენტინელმა ტაიმებში თითო გოლი გაიტანა მასპინძელთა კარში. არბიტრი **დელ სერო გრანდე** მართალი იყო, როცა „კორდობას" გოლი გააუქმა, თამაშგარე მდგომარეობის გამო. საპასუხო მატჩი წმინდა ფორმალობაა.

**რაფა ბერხესი** (კორდობა): „ვფიქრობ, ერთი გოლი დავიმსახურეთ".

**ტიტო ვილანოვა** (ბარსელონა): „ძალიან კმაყოფილი ვარ დავიდ ვილიას თამაშით, მესის ერთი გოლი მისი დამსახურებაა".

## მოურინიოს მეექვსე მარცხი

ამ სეზონში **ჟოზე მოურინიომ** უკვე მეექვსედ (!) წააგო. ცოტა არ იყოს, მეტისმეტია. ამჯერად, „სამეფო კლუბი" ვიგოში დამარცხდა „სელტასთან". „ბალაიდოსი" ესპანეთის იმ იშვიათ სტადიონთაგანი იყო, სადაც **კრიშტიანო რონალდოს** გოლი არ გაეტანა, მატჩის ბოლო წუთებზე, 0:2-ზე პორტუგალიელმა მეგოლემ გაიტანა და „რეალი" ამ დაპირისპირებაში ისევ ფავორიტად აქცია.

„სელტას" შუახაზში ძალიან პროდუქტიული იყო **ბორხა ოუბინია,** მასპინძლები **მარიო ბერმეხომ** და **კრისტიან ბუსტოსმა** დააწინაურეს. განსაკუთრებით, ამ უკანასკნელის დარტყმა იყო ალსანიშნავი - ყუმბარისებული, რომლის წინააღმდეგაც **ადანმა** ვერაფერი გააწყო.

კიდევ ერთი ცუდი ამბავი „რეალისთვის", პირველ ტაიმში ტრავმა **ქარიმ ბენზემამ** მიიღო და გუნდი კვირის მატჩისთვის ახალგაზრდა **მორატას** იმედზე დარჩა ცენტრფორვარდის პოზიციაზე.

**პაკო ერერა** (სელტა): „ჩვენი გამარჯვების მიუხედავად, მეტოქე ამ წყვილის ფავორიტად რჩება".

**ჟოზე მოურინიო** (რეალი): „სელტა" მომეწონა, მათ დამსახურებულად მოიგეს".

## კაპაროსი არ გაგდეს?

**ხოაკინ კაპაროსმა** ამოწურა თავისი შესაძლებლობები „მალიორკაში", თუ ასე გაგრძელდა ბალეარული კლუბი ლა ლიგიდანაც გავარდება, თან ამას ჩემპიონატის დასრულებამდე გაიფორმებს. საოცარია, მაგრამ გუშინ სალამოს კაპაროსი ჯერ კიდევ არ იყო მოხსნილი. მიჩელის გუნდმა სტუმრად 5:0 იმარჯვა და ამ დაპირისპირებაში ყველაფერი გადაწყვიტა.

**ხოაკინ კაპაროსი** (მალიორკა): „მე მჯერა ამ ფეხბურთელებისა და იმისიც, რომ ჩემი კიდევ სჯერათ კლუბში".

**მიჩელი** (სევილია): „ჩვენ დღეს „სევილიას" მრისხანე მხარე ვნახეთ, რომელსაც ეს გუნდი ხანდახან გამოაჩენს ხოლმე, ჩემი სურვილია, მუდამ ასე იყოს".

## ფალკაომ ბარსამდე დაისვენა

მადრიდულ დერბიში, „ატლეტიკოს" **დიეგო კოშტას** შემართებაც ეყო „ხეტაფეს" გასანადგურებლად, **რადამელ ფალკაომ** კი „ბარსელონასთან" მატჩის წინ დაისვენა. ბრაზილიელმა ფორვარდმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თუ ის საკუთარ ემოციებს აკონტროლებს, თამაშის მიმდინარეობის გარდატეხა შეუძლია, მის ანგარიშზე დუბლია, ერთიც მისმა თანამემამულე მცველმა **ფილიპე ლუიშმა** გაიტანა.

**ლუის გარსია** (ხეტაფე): „ჩვენ დაპირისპირება 15-წუთიან მონაკვეთში წავაგეთ".

**დიეგო სიმეონე** (ატლეტიკო): „თასს პატივი უნდა ვცეთ, ჯერ არაფერია გადაწყვეტილი, რჩება საპასუხო შეხვედრაც".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



კორდობაში ბარსას ვიზიტმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი

# გამარჯვება ლამაზი ფეხბურთით

**მონტერეი-ჩელსი 1:3**

**მონტერეი (4-4-1-1):** ოროსკო – ს. პერესი (57. რ. ოსორიო), ბასანტა, მიერი, დ. ჩავესი – კორონა, მესა (82. სოლისი), ნ. კარდოსო, ვ. აიოვი – ს. დელგადო (83. კარენიო) – დე ნიგრისი.

**ჩელსი (4-2-3-1):** ჩეხი – ასპილიკუეტა, ივანოვიჩი, კეჰილი, ე. კოული – დავიდ ლუისი (63. ლამპარდი), ობი მიკელი – მატა (74. პ. ფერეირა), აზარი, ოსკარი – ფ. ტორესი (79. მოზესი).

**გოლები:** 0:1 მატა (17), 0:2 ფ. ტორესი (46), 0:3 დ. ჩავესი (48-საკ. კარში), 1:3 დე ნიგრისი (90).

**კარში დარტყმა:** 9-13 (3-5); **თამაშგარე:** 3-3; **კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 8-11; **ბურთის ფლობა:** 49-51;

**მაყურებელი:** 36 648

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს მექსიკის 4-გზის ჩემპიონი და კონკაკაფის ჩემპიონთა ლიგის ბოლო ორი სეზონის გამარჯვებული "მონტერეი" და ევროპის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული "ჩელსი" დაუპირისპირდნენ. მექსიკელებს გუნდის ერთ-ერთი ლიდერი და ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი **უმბერტო სუასო** არ ჰყავდათ, რომლის ადგილიც ძირითადში **ალდო დე ნიგრისმა** დაიკავა. მართალია, ამ უკანასკნელმა გოლის გატანა შეძლო, მაგრამ ამ ბურთს არაფერი შეუცვლია და გარდა ამისა, "მონტერეის" სუასოს არყოფნა აშკარად ეტყობოდა.

შეხვედრა ლონდონელთა უპირატესობით წარიმართა და **რაფაელ ბენიტესის** შეგირდებმა იოლი გამარჯვება მოიპოვეს. ანგარიში მე-17 წუთზე **ხუან მატამ, ოსკარის** და **ეშლი კოულის** მიერ გათამაშებული შესანიშნავი კომბინაციის შემდეგ გახსნა. მეორე ტაიმში თავი **ფერნანდო ტორესმა** გამოიჩინა, რომელსაც გოლის გატანაში რიკოშეტი დაეხმარა, ამ მომენტიდან ორ წუთში კი მექსიკელთა მარცხენა მცველმა **დარვინ ჩავესმა** ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

მექსიკელებმა მხოლოდ პრესტიჟის გოლის გატანა მოახერხეს, რომელიც თავის ანგარიშზე ალდო დე ნიგრისმა ჩაიწერა. ლონდონის "ჩელსი" ფინალში "კორინთიანსს" დაუპირისპირდება, "მონტერეი" კი მესამე ადგილისთვის ეგვიპტურ "ალ აჰლის" შეხვდება.

მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი **ხუან მატა**, შეხვედრის შემდეგ BBC-ის გაესაუბრა: *"ჩვენი თამაშით კმაყოფილი ვარ. "ჩელსისთვის" ეს ტურნირი ძალიან მნიშვნელოვანია და მიხარია, რომ "მონტერეისთან" ლამაზ სტილში მოვიგეთ და მე ერთ-ერთი გოლი გავიტანე. მართალია, მეტი გოლის გატანაც შეგვეძლო, მაგრამ 3:1 საკმაოდ კარგი შედეგია. საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულნი ვართ, მაგრამ ვიცით, რომ "კორინთიანსთან" საკმაოდ რთული მატჩი გველის. ეს ნამდვილი საფეხბურთო ზეიმი იქნება, რომელშიც, იმედი მაქვს, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება".*

ფინალური შეხვედრა კვირას, 16 დეკემბერს, თბილისის დროით 14:30 საათზე დაიწყება.

**ტატო ბაციკაძე**



ხუან მატამ საკუთარი გუნდის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა.

ამბები

## მარკესმა რედ ბულსი დატოვა

MLS-ში გატარებული 2,5 წლის შემდეგ, **რაფაელ მარკესმა** "ნიუ იორკ რედ ბულსის" დატოვება გადაწყვიტა. მხარეებმა კონტრაქტი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გაწყვიტეს. ამის შესახებ 33 წლის მექსიკელმა საკუთარ ვებსაიტზე დაწერა. მარკესმა "რედ ბულსის" რიგებში ზუსტად 50 მატჩი ჩაატარა და ამერიკა ტიტულის გარეშე დატოვა. მექსიკელი ახლა თავისუფალი აგენტია და სასურველ კლუბში გადასვლა იანვრიდან შეუძლია.

## ბოკაში ბიანკი ბრუნდება

არგენტინული პრესის ინფორმაციით, "ბოკა ხუნიორსის" ახალი დამრიგებელი, ამ გუნდის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მწვრთნელი, **კარლოს ბიანკი** გახდება. 63 წლის ბიანკიმ, რომელიც ბოლოს მადრიდის "ატლეტიკოში" (2005/06 სეზონი) მუშაობდა, "ბოკას" მწვრთნელის რანგში არგენტინის ჩემპიონატი 4-ჯერ მოიგო, 3-ჯერ ლიბერტადორესის თასის გამარჯვებული გახდა, 2-ჯერ კი საკონტინენტთაშორისო თასს დაეუფლა.

არგენტინელი ჟურნალისტების მტკიცებით, ბიანკი უკვე შეხვდა "ბოკა ხუნიორსის" პრეზიდენტ **დანიელ ანხელიჩის** და თითქმის ყველაფერზე შეუთანხმდა. როგორც ამბობენ, სპეციალისტი კლუბთან 2-წლიან ხელშეკრულებას გააფორმებს და არგენტინაში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელი გახდება.

**ტატო ბაციკაძე**

● გერმანია. ბუნდესლიგა. პარასკევის მატჩის წინ

# ბუნდესლიგის კლასიკა მიუნხენში

## დამატებითი ინტრიგა: დანტე ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ

გერმანიის ჩემპიონატის პირველი წრის უკანასკნელი ტური დღეს ძალიან საინტერესო მატჩით დაიწყება: „ბაიერნისა" და „გლადბახის" დუელი ხომ ბუნდესლიგის კლასიკაა. რატომ? იმიტომ, რომ 1963 წლის შემდეგ, ანუ, მას მერე, რაც ბუნდესლიგა დაარსდა, მიუნხენურ გრანდს ყველაზე მეტი ჩემპიონობა აქვს მოპოვებული (21), მეორე-მესამე ადგილებს კი ამ მხრივ სწორედ მიონხენგლადბახისა და დორტმუნდის „ბორუსიები" იყოფენ (5-5).



**დღეს**

**ბაიერნი–ბორუსია (მ) 23:30**

**დისკვალიფიკაცია:** დემსი (ბორუსია /მ/)
**ტრავმა:** ბადშტუბერი, ჩანი, ლუის გუსტავო, რობენი - დემსი

**ბოლო 6 მატჩი**

+4=2-0 +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 88 თამაში: +42=26-20, (169:110)

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ბოატენგი, დანტე, ალაბა - ხავი მარტინესი, შვაინშტაიგერი - თ. მიულერი, კროოსი, რიბერი - მანჯუკიჩი.

**ბორუსია /მ/ (4-2-2-2):** ტერ შტეგენი - იანჩკე, შტრანცლი, ბრუვერსი, ვენდტი - ნორდტვეიტი, მარქსი - რუპი, არანგო - პერმანი, ჰანკე.

მიუხედავად იმისა, რომ წინ სეზონის მთელი მეორე ნახევარია, ალარავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ „ბაიერნი" მორიგ ტიტულს მოიპოვებს, რადგან რეკორდმაისტერი მიმდინარე სეზონში ბრწყინვალედ ასპარეზობს და მე-17 ტურის წინ მეორეადგილოსან „ლევერკუზენს" უკვე 11 ქულით უსწრებს.

*„ჩვენ არ მოვდუნდებით და ყველა შეხვედრაში მაქსიმალურად კონცენტრირებულები ვიქნებით,"* - აცხადებს „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი **იუპ ჰაინკესი**, რაც იმას ნიშნავს, რომ დღეს საღამოს „გლადბახს" ურთულესი ბრძოლა ელის. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ჰაინკესმა განსაკუთრებით თავისი გუნდის დაცვის ხაზი აქო, რაც ლოგიკურია, რადგან „ბაიერნს" 16 ტურში მხოლოდ ექვსი გოლი აქვს გაშვებული.

თუმცა ბოლო დროს „გლადბახიც" დასტაბილურდა და ექსპერტების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ „ბორუსიას" მიუნხენში წარმატების მიღწევა შეუძლია - წარმატება კი ამ გუნდისთვის ფრეც იქნება. ფაქტია, რომ „გლადბახს" 4-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს და ბოლო დროს ძალიან ეფექტურად გამოიყურება. *„ამ სეზონში ჯერაც ვერ ვაჩვენეთ ჩვენი საუკეთესო თამაში. ჩვენ დიდი პოტენციალი გვაქვს, რომელსაც, იმედია, სწორედ მიუნხენში გამოვავლენთ,"* - ეს სიტყვები მიონხენგლადბახელთა თავდამსხმელ **მაიკ ჰანკეს** ეკუთვნის.

### პრემია მორიგი რეკორდისთვის

„ბილდის" ინფორმაციით, მიუნხენური გრანდის ხელმძღვანელები ფეხბურთელებს განსაკუთრებულ პრემიას შეპირდნენ იმ შემთხვევაში, თუ „ბაიერნი" 2012 წლის დარჩენილ ორივე მატჩს (დღეს „გლადბახთან", სამშაბათს გერმანიის თასზე „აუგსბურგთან") მოიგებს. „გლადბახის" დამარცხებით რეკორდმაისტერს თავისივე რეკორდის (44 ქულა 2005/2006 წლების სეზონის პირველ წრეში - მაშინ „ბაიერნს" ფელიქს მაგათი წვრთნიდა) გამეორება შეუძლია. შეგახსენებთ, რომ მიუნხენელებმა შემოდგომის ჩემპიონობა 14 ტურის შემდეგ გაინაღდეს, რაც ასევე რეკორდი გახლდათ და რეკორდია ისიც, რომ მიუნხენურმა გრანდმა პირველი წრის გასვლით მატჩებში მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა.

### ყოფილი გლადბახელი დღეს ბაიერნის დაცვის ბურჯია

გასულ შაბათს „ბაიერნმა" „აუგსბურგი" 2:0 დაამარცხა და ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში მეთერთმეტედ შეინახა კარი მშრალად, რაც სხვებთან ერთად, ბრაზილიელი ცენტრალური მცველის, **დანტეს** დამსახურებაა, რომელიც მიუნხენურმა გრანდმა ზაფხულში სწორედ „გლადბახიდან" გადაიბირა და რომელიც დღეს ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ ითამაშებს, რაც ამ მატჩს დამატებით ინტრიგას სძენს. 29 წლის ბრაზილიელი ყურადღების ცენტრში არა მარტო ამიტომ, არამედ იმიტომაც მოექცევა, რომ სეზონის წინ მას „ბაიერნის" სასტარტო შემადგენლობაში თავის დამკვიდრებას ბევრი არ უწინასწარმეტყველებდა, ახლა კი რეკორდმაისტერის დაცვის ბურჯია.

*„დანტე ერთ-ერთი საუკეთესო მცველია მათ შორის, ვისთან ერთადაც მითამაშია,"* - თანაგუნდელს აქებს „ბაიერნის" მეკარე **მანუელ ნოიერი**.

*„დანტე თავის საქმეს ყველა შეხვედრაში ხუთიანზე აკეთებს. ჩემი აზრით, ის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური მცველია,"* - ეს კი „ბაიერნის" კაპიტნის, **ფილიპ ლამის** სიტყვებია.

ბავარიელებმა „გლადბახს" დანტეში 4.7 მილიონი ევრო გადაუხადეს და მიუნხენში მას თავიდან **ჰოლგერ ბადშტუბერის** შემცვლელად მოიაზრებდნენ, ძირითადში კი ამ უკანასკნელთან ერთად **ჟერომ ბოატენგს** უნდა ეთამაშა. მაგრამ ბრაზილიელმა მიუნხენში ჩასვლისთანავე დაამტკიცა, რომ მეტს იმსახურებდა და ბოატენგი სასტარტოდან ამოაგდო.

*„დანტეს პირველად რომ შევხვდი, ვუთხარი, ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას ვერ მოგცემ-მეთქი, რაზეც თავი დამიქნია. მაგრამ ვარჯიშებზე იმდენად კარგად გამოიყურებოდა, რომ შანსი მივეცი და როგორც ხედავთ, დღეს გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. დანტე შემდგარი, ჩამოყალიბებული ფეხბურთელია - მშვიდია, გამოცდილი და გაწონასწორებული,"* - ამბობს ჰაინკესი. ბრაზილიელმა ბუნდესლიგის თექვსმეტივე მატჩში იასპარეზა. შედარებისთვის, ბოატენგმა 12 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, ტრავმირებულმა ბადშტუბერმა სამში, ხოლო **დანიელ ვან ბუიტენმა** კი მხოლოდ ერთ შეხვედრაში იასპარეზა.

*„დანტეს თამაშის ნაკითხვა შეუძლია, ის ჩვენი უკანა ხაზის უსაფრთხოების ერთ-ერთი უმთავრესი გარანტია. ახლა უკვე ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ჯანმრთელი და კარგ ფიზიკურ ფორმაში მყოფი დანტე ყოველთვის ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს,"* - ასკვნის ჰაინკესი.

ცხადია, ითამაშებს დღესაც და ყოფილ თანაგუნდელებთან დაპირისპირება ბრაზილიელისთვის განსაკუთრებული მოვლენაა - დანტემ მიონხენგლადბახელთა რიგებში სამწელიწად-ნახევარი გაატარა და ბუნდესლიგის 119 შესაძლო მატჩიდან 93-ში იასპარეზა.

წარმატების რეცეპტი? დანტე ამბობს: *„ყოველთვის და ნებისმიერ სიტუაციაში პოზიტიურად ვფიქრობ."* მისივე თქმით, მიუნხენელებმა არ უნდა მიიჩნიონ, რომ უკვე ჩემპიონები არიან - ასეთ შემთხვევაში რეკორდმაისტერს უპირატესობის განიავების საფრთხე დაემუქრება. დანტეს პერსონალური მიზანი კი მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე ასპარეზობაა - მომდევნო მუნდიალი ხომ მის სამშობლოში, ბრაზილიაში, ტარდება.

დანტეს „სელესაოში" ჯერ ერთხელაც არ უასპარეზია, მაგრამ ამბობს, რაკი „ბაიერნში" ვთამაშობ, უფრო მეტი შანსი მაქვს, რომ ნაკრებში გამომიძახონო. ფაქტია, რომ თუ ასე გააგრძელა, ბრაზილიის ნაკრებში მისი დებიუტი მალე შედგება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 16 | 13 | 2 | 1 | 43-6 | 41 |
| 2. ლევერკუზენი | 16 | 9 | 3 | 4 | 30-22 | 30 |
| 3. ბორუსია (დ) | 16 | 7 | 6 | 3 | 32-19 | 27 |
| 4. აინტრახტი | 16 | 8 | 3 | 5 | 31-27 | 27 |
| 5. შალკე | 16 | 7 | 4 | 5 | 26-22 | 25 |
| 6. შტუტგარტი | 16 | 7 | 4 | 5 | 20-25 | 25 |
| 7. ჰამბურგი | 16 | 7 | 3 | 6 | 18-18 | 24 |
| 8. ბორუსია (მ) | 16 | 6 | 6 | 4 | 24-25 | 24 |
| 9. ფრაიბურგი | 16 | 6 | 5 | 5 | 21-17 | 23 |
| 10. ჰანოვერი | 16 | 7 | 2 | 7 | 31-29 | 23 |
| 11. მაინცი | 16 | 7 | 2 | 7 | 21-20 | 23 |
| 12. ვერდერი | 16 | 6 | 3 | 7 | 27-28 | 21 |
| 13. ნიურნბერგი | 16 | 5 | 4 | 7 | 16-21 | 19 |
| 14. ვოლფსბურგი | 16 | 5 | 4 | 7 | 17-25 | 19 |
| 15. ფორტუნა | 16 | 4 | 6 | 6 | 18-21 | 18 |
| 16. ჰოფენჰაიმი | 16 | 3 | 3 | 10 | 22-38 | 12 |
| 17. აუგსბურგი | 16 | 1 | 5 | 10 | 11-28 | 8 |
| 18. ფიურტი | 16 | 1 | 5 | 10 | 10-27 | 8 |

**ბომბარდირები:** 10 – იბიშევიჩი (შტუტგარტი), კისლინგი (ლევერკუზენი), ა. მაიერი (აინტრახტი); 9 – ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/), მანჯუკიჩი (ბაიერნი), თ. მიულერი (ბაიერნი), სალაი (მაინცი); 7 – დოსტი (ვოლფსბურგი).

● მოსალოდნელი ტრანსფერი

# ოვერმარსი გვეუბნება: გლადბახს სულეიმანი უნდა!

## გერმანელები აიაქსს 3 მილიონს სთავაზობენ



მირალემ სულეიმანი

რაკი მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" ევროპალიგის ჯგუფური ეტაპი წარმატებით დასძლია და პლეი ოფში გავიდა, უეფასგან ამისათვის ფულსაც მიიღებს და ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „გლადბახი" ამ თანხას გუნდის გაძლიერებას მოახმარს. ამსტერდამის „აიაქსის" მენეჯერმა **მარკ ოვერმარსმა** გუშინ ჩვენს გერმანელ კოლეგებს დაუდასტურა, რომ მიონხენგლადბახელებს ჰოლანდიური გრანდის 24 წლის შემტევი ნახევარმცველის, 24 წლის **მირალემ სულეიმანის** გადაბირება უნდათ. „გლადბახის" თავკაცი **ლუსიენ ფავრი** ამ უკანასკნელს **ლუუკ დე იონგისთვის** იდეალურ მეწყვილედ მიიჩნევს. „ტრანსფერმარკტის" ცნობით, სულეიმანის ფასი 7 მილიონი ევროა.

*„გლადბახი" სერიოზულადაა დაინტერესებული, თუმცა მირალემის გადაბირების სურვილი თურქულმა „ბეშიქთაშმაც" გამოთქვა. ჩვენ მოლაპარაკებებისთვის მზად ვართ, რადგან ვფიქრობთ, რომ ტრანსფერი ჩვენთვისაც კარგი იქნება და თავად სულეიმანისთვისაც, რომელიც ბოლო დროს „აიაქსის" ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება,"* - აცხადებს ოვერმარსი.

ალსანიშნავია, რომ სულეიმანის კონტრაქტს „აიაქსთან" ვადა სეზონის ბოლოს ეწურება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამსტერდამელებს იანვარში ამ ტრანსფერით ხეირის ნახვის ბოლო შანსი აქვთ. ფეხბურთელის ფასი 7 მილიონია, მაგრამ „აიაქსს" ამდენს არავინ გადაუხდის, რადგან ზაფხულში მას კონტრაქტი ისედაც უმთავრდება. „ბილდის" ცნობით, „გლადბახი" „აიაქსს" 3 მილიონ ევროს შესთავაზებს.

სულეიმანი სწრაფი და ტექნიკური შემტევია - შეუძლია როგორც გამთამაშებლად, ისე ორივე ფლანგზე გარემარბად თამაში. ჰოლანდიის ჩემპიონატის 143 მატჩში მის ანგარიშზე 43 გოლი და 28 საგოლე პასია.

● ტრანსფერი

# ფიურტი წინა ხაზს აძლიერებს



ნიკოლა ჯურჯიჩი

გუშინ გავრცელებული ცნობების თანახმად გადაწყვეტილია, რომ ბუნდესლიგის აუტსაიდერი „ფიურტი" იანვარში თავდასხმას **ნიკოლა ჯურჯიჩით** გააძლიერებს. ეს უკანასკნელი გერმანულ კლუბში „ჰელსინგბორგიდან" გადავა, სადაც „ჰაუგესუნდიდანაა" განათხოვრებული. ნორვეგიულმა კლუბმა გუშინ გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ „ჰაუგესუნდის" სპორტული დირექტორი **ასბიუორნ ჰელგელანდი** ტრანსფერს დათანხმდა და ჯურჯიჩიც ბედნიერია, კარიერის გერმანიაში გაგრძელების შანსი რომ ეძლევა. „ბილდის" ცნობით, ფიურტელებს 26 წლის ფორვარდი 1.3 მილიონი ევრო დაუჯდებათ.

ჯურჯიჩმა მიმდინარე სეზონში თავი ევროპალიგაში გამოიჩინა: „ტვენტეს" ორი მატჩის ჯამში 3 გოლი გაუტანა, „ჰანოვერს" კი მისსავე მოედანზე ერთი გოლი შეუგდო. 2012 წელს 41 ოფიციალურ მატჩში მის ანგარიშზე 31 გოლია.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

● დორტმუნდის ბორუსია

# რიკენი: კლოპი დიდ გუნდს აშენებს!

## ლარსს არ გაუკვირდება, ბორუსიამ ჩემპიონთა ლიგა რომ მოიგოს

დორტმუნდის „ბორუსიამ" 1997 წელს ჩემპიონთა ლიგა რომ მოიგო, იმ ტრიუმფის ერთ-ერთი უმთავრესი გმირი **ლარს რიკენი** გახლდათ, რომელმაც ფინალში „იუვენტუსს" ბრწყინვალე გოლი გაუტანა. დღეს უკვე 36 წლის ლარსი „ბორუსიაში" ბავშვთა ფეხბურთის კოორდინატორად მუშაობს. „შპორტ აინსისთვის" მიცემულ ინტერვიუში რიკენმა დღევანდელ „დორტმუნდზე" ისაუბრა.

*„მიუხედავად „ბაიერნთან" 14-ქულიანი ჩამორჩენისა, დარწმუნებული ვარ, რომ ბიჭები ბოლომდე იბრძოლებენ და თუ მიუნხენელებს კრიზისი დაეწყებათ, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ზედიზედ მესამედ გახდნენ გერმანიის ჩემპიონები, რაც ისტორიული მოვლენა იქნებოდა. თუმცა მეც ვფიქრობ, რომ შანსი ძალიან მცირეა, რადგან „ბაიერნი" ამ სეზონში არ ჰყავს ისეთ გუნდს, რომელსაც შეიძლება კრიზისი დაეწყოს,"* - აცხადებს რიკენი ხსენებულ ინტერვიუში.

სამაგიეროდ, ლარსის აზრით, „დორტმუნდს" ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლია. ყოველ შემთხვევაში, რიკენს არ გაუკვირდება, მაისში ევროპის ელიტარული საკლუბო ლიგის თასი სწორედ **იურგენ კლოპის** გუნდმა რომ ალმართოს.

*„კლოპი დიდ გუნდს აშენებს. ყველაზე მთავარი ის არის, რომ მიუხედავად ზედიზედ ორი ჩემპიონობისა, ფეხბურთელებს მოტივაციის ნაკლებობა არ ეტყობათ. მონდომების ხარისხით ეს გუნდი იმ „დორტმუნდს" მაგონებს, რომელმაც 1997 წელს ჩემპიონთა ლიგა მოიგო. მაშინაც დამშეული გუნდი გვყავდა. შტეფან როიტერს, მათიას ზამერს, იურგენ კოლერს და ანდი მიოლერს ყველა თამაშის მოგება უნდოდათ და გამარჯვებებით არასდროს კმაყოფილდებოდნენ. ამიტომაც არ გამიკვირდება, კლოპის გუნდმა ჩემპიონთა ლიგა რომ მოიგოს,"* - მიიჩნევს რიკენი.

### სუბოტიჩს ახალი კონტრაქტი [illegible]

აქვე გაცნობებთ, რომ დორტმუნდელებს ცენტრალურ მცველ **ნევენ სუბოტიჩთან** ახალი კონტრაქტის გაფორმება უნდათ და უკვე კონკრეტული წინადადებითაც მიმართეს. ნევენის აქტუალურ ხელშეკრულებას ვადა 2014 წლის ზაფხულამდე აქვს და „ბორუსიას" შეფებმა კონტრაქტის 2016 წლამდე გახანგრძლივება შესთავაზეს - რა თქმა უნდა, გაუმჯობესებული პირობებით. „ბილდის" ცნობით, დათანხმების შემთხვევაში სუბოტიჩი წელიწადში 3 მილიონ ევროს მიიღებს.



*„ნევენთან პირველი მოლაპარაკებები უკვე გავმართეთ და იმედი გვაქვს, რომ ჩვენს წინადადებას დათანხმდება,"* - ეს „დორტმუნდის" სპორტული დირექტორის, **მიხაელ ცორკის** სიტყვებია. „ბორუსია" იმიტომ ჩქარობს, რომ გავრცელებული ცნობების თანახმად, სუბოტიჩის გადაბირებაზე „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ბარსელონა" ფიქრობენ.

● ლევერკუზენი

# პოლონელი ტალანტი ბაიერს მიუახლოვდა

## მილიკი ლევერკუზენში ალბათ იანვარშივე გადავა

**არკადიუშ მილიკი** პოლონური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევა - მას უკვე **რობერტ ლევანდოვსკის** ადარებენ და უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ. გავრცელებული ცნობების თანახმად, 18 წლის პოლონელ თავდამსხმელს თვალი „ლივერპულმა", „არსენალმა", „ინტერმა" და „სევილიამ" დაადგეს, მაგრამ მილიკის გადაბირებასთან ყველაზე ახლოს ლევერკუზენის „ბაიერია".



არკადიუშ მილიკი

გერმანული კლუბი მოლაპარაკებებს ოფიციალურად არ ადასტურებს, მაგრამ „კიკერის" ცნობით, მილიკის „ლევერკუზენში" გადასვლა თითქმის გადაწყვეტილია და ფორვარდი, რომელმაც „გორნიკის" რიგებში 40 მატჩში 12 გოლი გაიტანა და პოლონეთის ეროვნულ ნაკრებში უკვე 4 მატჩი აქვს ჩატარებული, „ფარმაცევტებს" იანვრიდანვე შეუერთდება.

„ბაიერს" მილიკი **შტეფან კისლინგის** შემცვლელად სჭირდება. 28 წლის კისლინგს მიმდინარე სეზონში 10 გოლი აქვს გატანილი და ტრავმა რომ მიიღოს, ლევერკუზენელებს მისი ხეირიანი შემცვლელი არ ჰყავთ. კისლინგის შეცვლა მხოლოდ 24 წლის **ჟუნიორ ფერნანდესს** შეუძლია, რომელიც ვერა და ვერ შეეგუა გერმანიას. „კიკერის" ცნობით, „ლევერკუზენს" მილიკის სანაცვლოდ 3-დან 4 მილიონამდე ევროს გადახდა მოუწევს. ამ სეზონში არკადიუშს 15 მატჩში 7 გოლი აქვს გატანილი.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ელვა.ჯი
პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო
www.elva.ge

ჩვენ გჩუქნით წიგნებს!
ეს წიგნები მაღაზიებში 35 ლარამდე ღირს
იჩქარეთ, მხოლოდ 31 დეკემბრამდე!

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო" და „პალიტრა მედიის" კიდევ ერთი გამოცემა და აირჩიეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L." - ის წიგნი ბესტსელერები:

„მოგზაურობათა დიდი ილუსტრირებული ატლასი"
„დავით აღმაშენებელი" - კონსტანტინე გამსახურდია (2 წიგნად)
„ვეფხისტყაოსანი" (3 D)




| მედია "პალიტრის" გამოცემები | 1 ეგზ. ფასი | ერთეულის რაოდენობა 1 წლის მანძილზე | 1 წლის ფასი |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1 | 52 | 52 |
| არსენალი | 2 | 26 | 52 |
| ბომონდი | 5 | 12 | 60 |
| გზა | 1 | 52 | 52 |
| და... ქალი | 2 | 12 | 24 |
| ისტორიანი | 2 | 12 | 24 |
| კარიბჭე | 1 | 26 | 26 |
| კარუსელი | 0.80 | 52 | 41.60 |
| ლელო | 0.80 | 312 | 249.60 |
| ლიტ. პალიტრა | 2 | 12 | 24 |
| ოჯახის მკურნალი | 1 | 26 | 26 |
| რეიტინგი | 1.50 | 52 | 78 |
| საბავშვო კარუსელი | 1 | 52 | 52 |
| სიტყვა და საქმე | 1 | 260 | 260 |
| სიტყვა და საქმე (კატალოგი) | 2 | 52 | 104 |
| ყველა სიახლე | 1 | 52 | 52 |
| Georgian Journal | 2 | 52 | 104 |

დაგვიკავშირდით, პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო ელვა.ჯი ტელ.: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76 www.elva.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

● კოპა სუდამერიკანა. ფინალი. საპასუხო მატჩი



ლუკას მოურა კოპა სუდამერიკანას თასით



შესვენებისას მოედანზე სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა

# სკანდალური ფინალი

**სან პაულო–ტიგრე 2:0**

**I მატჩი 0:0**

**სან პაულო** (4-2-2-2): როჟერიო სენი – როდოლფო, რაფაელ ტოლოი, პაულო მირანდა, ბრუნო კორტესი – დენილსონი, ველინგტონი – ლუკას მოურა, ჟადსონი – ოსვალდო (45. დუგლასი), ვილიან ჟოზე.

**ტიგრე** (4-4-2): ალბილი – გოდოი, პაპარატო, ეჩევერია, ორბანი – გალმარინი, გ. დიასი, დ. ფერეირა, ლეონე – ბოტა, მახიოლო.

**გოლები:** 1:0 ლუკას მოურა (23), 2:0 ოსვალდო (28).

**გაფრთხილება:** დენილსონი, როჟერიო სენი, ოსვალდო – გალმარინი, გოდოი, გ. დიასი.

**გაძევება:** პაულო მირანდა (45) – გ. დიასი (45).

ბრაზილიური "სან პაულო" 2012 წლის კოპა სუდამერიკანას გამარჯვებულად გამოცხადდა. დიახ, გამოცხადდა, რადგან საპასუხო ფინალური შეხვედრა არ დასრულებულა. "ტიგრეს" ფეხბურთელებმა მეორე ტაიმში მინდორზე გამოსვლაზე უარი განაცხადეს, რადგან არგენტინელების განცხადებით, სტადიონზე მომუშავე პოლიციამ, მათ წინააღმდეგ ძალა გამოიყენა.

მოედანზე სიტუაცია პირველი ტაიმის დასრულებისთანავე დაიძაბა. ყველაფერი **ლუკას ორბანის** და **ლუკას მოურას** კონფლიქტით დაიწყო, რასაც ლამის გუნდური ჩხუბი მოჰყვა. შედეგად არბიტრმა ყვითელი ბარათები ჩამოარიგა, ხოლო **პაულო მირანდას** და **გასტონ დიასს** წითელი ბარათი უჩვენა. დაძაბულობამ მოედნიდან გასახდელში გადაინაცვლა, სადაც არგენტინელთა განცხადებით კონფლიქტში პოლიცია ჩაერია.

ლუკას ორბანი: *"პოლიცია ჩვენ გასახდელში შემოვარდა და ისინი მეკარე დამიან ალბილს იარაღით დაემუქრნენ, ამის შემდეგ კი ფიზიკურად გაგვისწორდნენ".*

"ტიგრეს" კაპიტანმა **მარტინ გალმარინმა** დაადასტურა ის ფაქტი, რომ პოლიცია შეიარაღებული იყო და ფეხბურთელებს ემუქრებოდა. ამის საპასუხოდ, სან პაულოს პოლიციის უფროსმა, ბრაზილიურ პრესასთან განაცხადა: *"გასახდელში შეიარაღებული არავინ იყო. პოლიცია კონფლიქტში მხოლოდ მაშინ ჩაერია, როდესაც ეს აუცილებელი გახდა - ამ დროს გასახდელში "ტიგრეს" ფეხბურთელები და სამწვრთნელი შტაბის წევრები, სტადიონის დაცვასთან ჩხუბობდნენ, მაგრამ ვიმეორებ, რომ პოლიციიდან შეიარაღებული არავინ იყო".*

სანამ ფეხბურთელები ჩხუბს დაიწყებდნენ, მანამ მოედანზე "სან პაულო" დომინირებდა. ბრაზილიელებმა ორი სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს და ორბურთიანი უპირატესობით დაწინაურდნენ. 23-ე წუთზე ანგარიში ლუკას მოურამ გახსნა, რომელიც იანვრიდან "პარი სენ ჟერმენში" გადავა და "სან პაულოში" ბოლო მატჩს ატარებდა. მოურას გოლიდან 5 წუთში კი თავი **ოსვალდომ** გამოიჩინა და "ტიგრე" ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

პირველი ტაიმის დასრულების შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე უკვე მოგახსენეთ. ჩილელი მსაჯი **ენრიკე ოსესი** არგენტინელებს რეგლამენტით გათვალისწინებული დროის განმავლობაში ელოდა, რის შემდეგაც მატჩი დაასრულა და "სან პაულოს" ფეხბურთელებს ზეიმის საბაბი მისცა. თასი ლუკას მოურამ ჩაიბარა, რომელსაც მანამდე **როჟერიო სენიმ** კაპიტნის სამკლავური გადასცა. 20 წლის ფეხბურთელმა დანაპირები აასრულა და "სან პაულოს" ტიტულით გამოეთხოვა. ბრაზილიელებმა კოპა სუდამერიკანა ისტორიაში პირველად მოიგეს და რეკოპა სუდამერიკანას ეგიდით (ევროპის სუპერთასის ანალოგია) "კორინთიანსთან" თამაში გაინაღდეს.

● საფრანგეთი. ლიგა 1. XVII ტურის შეჯამება

# ცარიელ სტადიონზე

მარსელის "ოლიმპიკმა" კორსიკაზე, ცარიელი ტრიბუნების წინაშე ("ბასტია" ქომაგების ცუდი ქცევის გამო დასჯილია) ურთულესი მატჩი მოიგო და ლიდერთან სხვაობა შეამცირა. სტუმრებმა **მატიო ვალბუენას** და **ანდრე აიუის** გოლების წყალობით იმარჯვეს. "ბორდოს" და "ბლექბერნის" ყოფილმა ფორვარდმა **ანტონი მოდესტემ** სხვაობა კი შეამცირა, მაგრამ "ბასტიას" დრო აღარ ეყო და "მარსელმა" გასვლაზე ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა.

საკუთარი გუნდის თამაშით კმაყოფილი იყო **ელი ბოპი**: *"მაყურებლის გარეშე თამაში ძალიან უცნაური იყო. დღეს საკმაოდ კარგად გავისარჯეთ, მაგრამ პირველ ტაიმში მეტი გოლის გატანაც შეგვეძლო. უკანასკნელ პერიოდში სტუმრად კარგად ვთამაშობთ, რაც კარგია, მაგრამ სახლში ასეთივე თავდაჯერებულები უნდა ვიყოთ. წარმატების მისაღწევად საჭიროა სტაბილურობა, რაც ბოლო დროს აშკარად გვაკლია".*

სენსაციური შედეგი დაფიქსირდა ლიონში, სადაც "სტად ჟერლანზე" სათამაშოდ საფრანგეთის ყველაზე სუსტი გუნდი ჩავიდა. "ნანსის" ლიგა 1-ის მიმდინარე სეზონში მხოლოდ ერთი გამარჯვება (პირველ ტურში "ბრესტთან") აქვს მოპოვებული. მიუხედავად ამისა და მიუხედავად "ლიონის" კარგ ფორმაში ყოფნისა, ანგარიში სტუმრებმა გახსნეს (**ჟორდან ლოტიე**). მასპინძლებმა **მიშელ ბასტოსის** გოლით წონასწორობა კი აღადგინეს, მაგრამ მეორე გოლის გატანა ვერ შეძლეს და დაუგეგმავი ქულები დაკარგეს, რითაც "პარი სენ ჟერმენს" და "მარსელს" სატურნირო ცხრილში მიახლოების საშუალება მისცეს.

*"დღეს ბიჭებმა ისე ვერ ითამაშეს როგორც შეუძლიათ, მაგრამ გარდა ამისა ასევე არ გაგვიმართლა. საგოლე მომენტებს თავი რომ დავანებოთ, ორი დაუგეგმავი ცვლილების განხორციელება მომიხდა - რევეიეს გარდა, პირველი ტაიმის დასრულებისთანავე ლაკაზეტიც ტრავმის გამო შევცვალე. ძნელი სათქმელია შეძლებენ თუ არა ისინი კვირას "პარი სენ ჟერმენთან" თამაშს".* – განაცხადა მატჩის შემდეგ "ლიონის" მწვრთნელმა **რემი გარდმა**.

საფრანგეთის ჩემპიონატის მომდევნო, მე-18 ტური ამ შაბათ-კვირას გაიმართება და როგორც უკვე მიხვდით, ტურის ცენტრალური შეხვედრა "პარკ დე პრენსზე" შედგება, სადაც პსჟ "ლიონს" უმასპინძლებს, თუმცა ამაზე ვრცლად ხვალინდელ ნომერში ვისაუბრებთ.

**ტატო ბაციკაძე**

## ქართული სპორტი

● ძიუდო

# შავდათუაშვილი მაყურებლად მიიწვიეს

ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** (66) და უმაღლესი კატეგორიის მსაჯი **ვლადიმერ ნუცუბიძე** გუშინ ტიუმენში გაფრინდნენ, სადაც საერთაშორისო ტურნირი ტარდება 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში. იქ მიწვეულია სულ 8 სპორტსმენი - ტიუმენელთა ჯილა, მსოფლიოს პრიზიორი **მუსა მოგუშკოვი**, ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი, ფინალში შავდათუაშვილთან დამარცხებული უნგრელი **მიკლოშ უნგვარი**, მონღოლი მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **ცაგანბაატარ ხაშბაატარი**, ესპანელი მსოფლიოს ვიცე და ევროპის ჩემპიონი **სუგოი ურიარტე**, ევროპის აზერბაიჯანელი ვიცე-ჩემპიონი **ტარლან კერიმოვი**, ახალგაზრდებში მსოფლიოს ყაზახი ჩემპოიონი, აზიის პირველობისა გამარჯვებული **სერგეი ლიმი**, ევროპის პრიზიორი. სლოვენიელი **როკ დრაკშიჩი** და ჩვენებური.

ოღონდ შავდათუაშვილი ამ საჩვენებელ ტურნირში არ იჭიდავებს, მხოლოდ მაყურებლად დაესწრება მას პრესტიჟის ასამაღლებლად. სამაგიეროდ, იმსაჯებს ნუცუბიძე.

მოგეხსენებათ, შავდათუაშვილი თიაქარის ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციო პერიოდს გადის. მან ვარჯიში კი დაიწყო და თანდათან დატვირთვებსაც ზრდის, მაგრამ ჯერ ბოლომდე მაინც ვერ იხარჯება. ექიმები საბოლოო პასუხს 18 დეკემბერს ეტყვიან, როცა ოპერაციიდან სამი თვე შესრულდება. იმედია, დასტაქართა პასუხი დადებითი იქნება, რადგან სარეაბილიტაციო პერიოდი გეგმაზომიერად, გართულებების გარეშე მიდის. თავად სპორტსმენი იმედოვნებს, რომ 9-10 თებერვალს გასამართ პარიზის „დიდ მუზარადზე" იჭიდავებს.

**ირაკლი თავაძე**

● შეკითხვა „ლელოს"

**შეკითხვა:** გამიგია, რომ ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ქალაქს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი 7-8 წლით ადრე ასახელებს, რათა მოსამზადებლად საკმარისი დრო დარჩეს. მაინტერესებს, გადაწყდა თუ არა, სად ჩატარდება ზაფხულის 2020 წლის ოლიმპიური თამაშები.

**კახა ლეჟავა**
თბილისი

**პასუხი:** არა ჯერ არ გადაწყვეტილა. წლეულს 15 თებერვალს ამოიწურა კანდიდატი ქალაქების წარდგენის ვადა. კანდიდატთა შორის ვერ მოხვდა იტალია, რომელიც ფავორიტად მოიაზრებოდა. მიზეზად რთული ეკონომიკური სიტუაცია დასახელდა. კანდიდატთა ოფიციალური სია ასეთია: მადრიდი (ესპანეთი), სტამბოლი (თურქეთი), დოჰა (კატარი), ტოკიო (იაპონია) და ბაქო (აზერბაიჯანი). ყველა ქალაქს თავიანთი ქვეყნები აძლევენ ოლიმპიადის მასპინძლობის თანხმობას და შესაბამისად მაღალ დონეზე ჩატარების გარანტიას. თითოეულ კანდიდატს გარდა ფინანსური და ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფისა, აქვს უპირატესობის სხვა სპექტრი, რასაც ისინი დამატებით კოზირად მიიჩნევენ.

გაისად სექტემბერში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი კანდიდატებიდან ყველა სპექტრის შეჯერებით ერთს მიანიჭებს უპირატესობას და ის გახდება 2020 წლის ოლიმპიადის მასპინძელი.

● კრივი

# ევროპულ რინგს სამი ჩვენებური შემორჩა




კალინინგრადში 19-22 წლის მოკრივეთა ევროპის პირველ ჩემპიონატში გუშინ ოთხი წონითი კატეგორიის სპორტსმენებმა მოსინჯეს ძალები. 56 კილოში საქართველოს ნაკრების წევრმა **ვენეტიკ გრანოსიანმა** სლოვენიელ ბლაც სკრზანეცს აჯობა, 81 კილოში **იაგო კიზირიამ** უკრაინელი სერგეი ჟუკი დაჯაბნა, 75 კილოში **რომან თავაძემ** ბელარუს ევგენი დოლგაველცთან წააგო, ხოლო მძიმე წონაში **თორნიკე პურიჭამიაშვილი** მანტას ვალავიჩუსს (ლიტვა) დანებდა.

უკვე გაუწყეთ, რომ, თავაძის გარდა, წინადღეს კიდევ ოთხი ჩვენებური გამოეთიშა შეჯიბრებას: ვადიმ კირილენკა (ბელარუსი) - **მიხეილ კაზანჯიანი** (49 კგ) 24:7, სტეფან ივანოვი (ბულგარეთი) - **სევერიან ჭილაძე** (52 კგ) 15:10, მარკ ოჰარა (ირლანდია) - **ალეკო ჭადაშვილი** (60 კგ) 12:9, დმიტრი გალაგოტი (მოლდოვა) - **ირაკლი მელიქიშვილი** (64 კგ) 21:10.

შეჯიბრების პირველ დღეს ევროპის ჩემპიონატის მე-3 პრიზიორმა **ზაალ კვაჭატაძემ** (69 კგ) სომეხ ჰრაირ მათევოსიანს სძლია - 14:10. ამდენად, ევროპის ჩემპიონატს ერანოსიანი, კიზირია და კვაჭატაძე შემორჩნენ.

**ვაჟა დანელია**

● სამბო

# სეზონი ოქრო-ვერცხლით დაასრულეს

წლევანდელი სპორტული სეზონის ბოლო ასპარეზობაზე ქართველმა სამბისტებმა რუსეთში, კრასნოდარის მხარის ქალაქ არმავირში იჭიდავეს.

მსოფლიოს ორგზის და ევროპის ჩემპიონის, აშოტ მარქარიანის სახელობის A კატეგორიის მეცხრე საერთაშორისო ტურნირზე ჩვენმა სამბისტებმა თითო ოქროსა და ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

ეს შეჯიბრება იმითაც იყო გამორჩეული, რომ ქ. არმავირის ტურნირი ჭიდაობა სამბოს დაარსების 50 წლის საუბილეო თარიღს დაემთხვა. უცნაური იყო მხოლოდ ერთი - ათის ნაცვლად შეჯიბრება ოთხ წონით კატეგორიაში გაიმართა.

ჩემპიონ-პრიზიორებისათვის ცნობილმა სამბისტმა და ბიზნესმენმა აშოტ მარქარიანმა სოლიდური ფულადი პრემიები დააწესა.

ქართველებიდან ტურნირის გამარჯვებული გახდა **ლევან ნახუცრიშვილი** (68 კგ).

ერთი ნაბიჯი დააკლდა ოქრომდე და ვერცხლის მედალი მოიპოვა **ზვიად ოდოშაშვილმა** (62 კგ).



მარცხნიდან: ლევან ნახუცრიშვილი და ზვიად ოდოშაშვილი

ტურნირი კიდევ ორ წონით კატეგორიაში 57 და 90 კგ-ში ჩატარდა.

**გაბრიელ ბარჯაძე**
*ავტორის ფოტო*

---

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ძალოსნობაში ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, სეოკ-ის ალმასკომის წევრის გიორგი ასანიძის ძმის**

**თომა ასანიძის**

**გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტრო

# უნივერსიტეტი – აკადემიის ნაცვლად

## სასწავლებლის გამართულად აღდგენაში შოტლანდიელი გვეხმარება

საქართველოში სტუმრად იმყოფება შოტლანდიელი ექსპერტი **ჩარლი რებერნი**, რომელიც თავის ქვეყანაში სასკოლო სპორტის ფედერაციის საერთაშორისო წარმომადგენელი და შოტლანდიის პარლამენტში ინტერპარტიული სპორტული ჯგუფის წევრია. ის საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობასთან კონსულტაციებს მართავს სპორტის განვითარებისა თუ სხვა საჭირბოროტო საკითხებზე. გუშინწინ რებერნი მინისტრის მოადგილე **თამაზ თევზაძეს** და სპორტის დეპარტამენტის უფროს **ირაკლი დოლაბერიძეს** შეხვდა, გუშინ კი აუდიენცია მინისტრ **ლევან ყიფიანთან** ჰქონდა. შეხვედრას თევზაძე, დოლაბერიძე, პროფესორი **გურამ ძაგანია** და საქართველოს რაგბის კავშირის შოტლანდიელი კონსულტანტი **რიჩი დიქსონიც** ესწრებოდნენ, საუბრის თემა კი სპორტის აკადემიის აღდგენა და ფუნქციონირება იყო.

ამ უმაღლესი სასწავლებლის აღდგენა უკვე გადაწყვეტილია და ეს მხოლოდ დროის საკითხია. სადღეისოდ სასწავლო პროგრამების, მმართველობითი სისტემისა თუ ამგვარი მნიშვნელოვანი საკითხების შეჯერება მიმდინარეობს. ამ კუთხით გარკვეული მონახაზიც არსებობს, სახელწოდების შეცვლა კი უკვე გადაწყვეტილია - აკადემიის ნაცვლად მას სპორტის უნივერსიტეტი დაერქმევა, რაც რანგსა და სტატუსს აუმაღლებს. სპორტის მმართველთა სურვილია, სასწავლებელმა აკრედიტაცია ამ ზაფხულშივე გაიაროს და სექტემბერში უკვე პირველი ნაკადიც მიიღოს. ვნახოთ, რამდენად მოესწრება.

სამინისტროს ხელმძღვანელობასთან ჩარლი რებერნის გუშინდელი შეხვედრაც უნივერსიტეტის ამუშავების საკითხს დაეთმო. სტუმარ-მასპინძელმა ერთურთში ჯერ დახურულ კარს მიღმა ისაუბრეს, მერე კი მედიისთვის ბრიფინგი გაიმართა.

**ლევან ყიფიანი:** *„მოგეხსენებათ, პრიორიტეტად დავისახეთ სპორტის აკადემიის ანუ სამართლიანობის აღდგენა, რათა საქართველოს დაუბრუნდეს უმაღლესი სპორტული სასწავლებელი. ამ კუთხით ვდგამთ ნაბიჯებს და ჩვენი მეგობრების - რაგბის კავშირის, პირადად რიჩი დიქსონის დახმარებით ჩამობრძანდა ფიზიკური აღზრდის კონსულტანტი რებერნი, რომელიც გვაძლევს პირველი ეტაპისთვის აუცილებელ რჩევებს. ცხადია, ჩვენც გვაქვს გარკვეული ხედვა, ბატონ გურამ ძაგანიას და ირაკლი დოლაბერიძის ხელმძღვანელობით შექმნილია საკონსულტაციო ჯგუფი, რომელთან ერთადაც დაისახა სამომავლო გეგმები აკადემიის სწრაფად აღსადგენად და მისი რეგიონული მნიშვნელობის სასწავლებლად გარდასაქმნელად. ამ პროცესში ჩვენი ევროპელი მეგობრების კონსულტაციები ძალიან მნიშვნელოვანია. დღეს მთავრობის სხდომაზე პროექტი გავიტანეთ, რათა რაც შეიძლება მალე აღვადგინოთ აკადემია. ზუსტი ვადები სამუშაო პროცესში დადგინდება, მაგრამ გვინდა, ზაფხულში აკრედიტაცია მოესწროს“.*

**ჩარლი რებერნი:** *„ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა საქართველოში სტუმრობა. მინისტრთან შეხვედრისას დავრწმუნდი, რომ ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ სასწავლებლის აღდგენას და ამ მიმართულებით მაღალკვალიფიციური ჯგუფია შექმნილი. მოხარული ვიქნები, თუ ამ მიმართულებით მცირე წვლილს მეც შევიტან და ქართველ კოლეგებს ჩემს გამოცდილებას გავუზიარებ, თუ ეს მათ გამოადგებათ“.*

გურამ ძაგანიას, რომელიც წლების განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობდა სპორტის აწ უკვე ყოფილ აკადემიაში, მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით.



ასე გამოიყურება დღეს სპორტის აკადემიის შენობა

**- თქვენეული მოდელი რას ითვალისწინებს, როგორი ფორმით აღდგება აკადემია?**

- გადაწყვეტილია, რომ ეს იქნება სამსაფეხურიანი უნივერსიტეტი და არა აკადემია. პირველი საფეხური მოიცავს ოთხწლიან ბაკალავრიატს, მეორე - ორწლიან მაგისტრატურას და მესამე - სამწლიან დოქტურანტურას. ეს უფრო თანამედროვე, ევროპული მოდელია. რადგან საქართველო 2005 წლიდან მიერთებულია „ბოლონიის პროცესზე“, აუცილებლად უნდა ჩავჯდეთ განვითარების ევროპულ მოდელში. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი უნივერსიტეტი გახდეს ევროპული დონის.

**- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა რა მდგომარეობაშია? ალბათ, ბევრიც განადგურდებოდა...**

- საბედნიეროდ, ძირითადი ბაზა განადგურებული არაა, მხოლოდ რაღაც-რაღაცებია დაზიანებული, მაგრამ რაც გვაქვს, უკლებლივ გვიბრუნდება. დღეს მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა პროექტი, გამოიყოფა თანხა და დაიწყება ბაზის აღდგენა. გვპირდებიან, რომ უმოკლეს დროში მოესწრება ყველაფერი. გვინდა, რომ დაახლოებით მარტის ბოლომდე გავიაროთ აკრედიტაცია, რათა ივლისში უკვე გამოცდები ჩავატაროთ და სექტემბერში სწავლა დავიწყოთ.

**- ბრძანეთ, რომ ევროპული ტიპის სასწავლებელი გაკეთდება. ანუ ის ადრინდელივით მხოლოდ მწვრთნელ-მასწავლებელთა მომზადებით არ იქნება დაკავებული და უფრო ევროპულ მოდელზე გადავა, ფართოდ გაიშლება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.**

- აუცილებლად, თუმცა მსგავსი მუშაობა ადრეც იყო ჩვენს აკადემიაში. აქ იქნება როგორც მასწავლებლის, ისე სპორტსმენის მომზადება. გვინდა, ამ ფაკულტეტების გარდა იყოს პროფესიული მომზადების ფაკულტეტი, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, რათა ევროპულ სტანდარტებს მოვერგოთ. სხვანაირად ვერც აკრედიტაციას გავივლით და ვერც ისეთ კონკურენტუნარიან სპეციალისტებს გავზრდით, რომლებიც უცხოეთშიც იმუშავებენ. თუმცა ადრინდელ აკადემიას ავტორიზაცია არ სჭირდებოდა, მის დიპლომს ყველგან ცნობდნენ და აღიარებდნენ.

**- ამ ხუთწლიანმა პერიოდმა, რაც აკადემიის გაუქმების შემდეგ გავიდა, დიდი დაღი დაასვა ქართულ სპორტს...**

- ძალიან დიდი! თუნდაც მარტო ის აღვნიშნოთ, რომ მაშინდელი სპეციალისტებიდან ნახევარი აღარცაა ცოცხალი, ნერვიულობას გადაჰყვნენ! ამ 5-წლიანი პერიოდის ავბედითი კვალი ახლაც ჩანს, მაგრამ 2-3 წლის მერე კიდევ უფრო ცხადად დაგვეტყობა.

ირაკლი თავაძე



მარცხნიდან: რიჩი დიქსონი, ჩარლი რებერნი, ლევან ყიფიანი, გურამ ძაგანია და ირაკლი დოლაბერიძე

წყალბურთი

# 19-ში ისევ ვულიაგმენთან

ევროპის წყალბურთელ ვაჟთა 21 კლუბი ჩაება წლეულს ჩემპიონთა ლიგაში მთავარი პრიზის მოსაპოვებლად. ჯგუფური ტურნირის დამთავრების შემდეგ მერვედფინალში 16 გუნდი იასპარეზებს. ქართული წყალბურთის ისტორიაში პირველად ევროტურნირში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი „ლიგამუსი-თბილისი“ მონაწილეობს, რომელმაც პირველი წრის ზედიზედ ოთხი შეხვედრა (უნგრეთის „ეგერთან“ მატჩი 2013 წლისთვის გადაიდო) დათმო. კლუბი მთლიანად ადგილობრივი კადრებითაა დაკომპლექტებული. ისინი კი საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის მდიდარი გამოცდილებით არ გამოირჩევიან, ამიტომაც უჭირთ ევროპელებთან გამკლავება. გუნდის მთავარ მწვრთნელ **რევაზ ჩომახიძეს** ამ ეტაპზე უცხოელი წყალბურთელების მოწვევა ნაადრევად მიაჩნია. „ჯერ ჩვენი ძალები უნდა შევამოწმოთ: ვნახოთ, რა შეგვიძლია, რა პერსპექტივა გვაქვს და, თუ საჭირო გახდება, გაძლიერებაზე მერე ვიზრუნოთ“, - გვითხრა მთავარმა მწვრთნელმა.

ჩომახიძის შეგირდებმა პირველი წრის ბოლო მატჩი შინ საბერძნეთის სამგზის ჩემპიონსა და ოთხგზის თასის მფლობელ „ვულიაგმენთან“ დათმო - 5:15. განმეორებით პაექრობას ელადელები 19 დეკემბერს უმასპინძლებენ. ამავე დღეს ითამაშებენ: „შუურმანი“ (ჰოლანდია)-„ეგერი“ (უნგრეთი), „ვასპო-98“ (გერმანია)-„სპარტაკი“ (ვოლგოგრადი).

პირველი წრის შემდეგ A ჯგუფში ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: „ვულიაგმენი“ - 15 (67:27), „სპარტაკი“ - 12 (57:35), „ეგერი“ - 6 (44:30), „შუურმანი“ - 6 (32:54), „ვასპო-98“ - 3 (25:57), „ლიგამუსი-თბილისი“ - 0 ქულა (28:50).

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი

# ბასილაშვილი მეოთხედფინალშია



ნიკოლოზ ბასილაშვილი

ანტალიაში ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) პირველ ნომრადაა განთესილი თბილისელი **ნიკოლოზ ბასილაშვილი**, რომელმაც გასულ უქმეებზე ამავე ქალაქში ერთი შეჯიბრება უკვე მოიგო. ამჯერად კი ორი წრე გაიარა: ასპარეზობის სტარტზე ბელგიელ იანიკ ვანდენბალკეს სძლია 7:6, 6:2, მომდევნო შეხვედრა მაკედონიელი მირონ შაბანის მძლეველ (6:2, 6:0) დენის ნოვაკს (ავსტრია) უნდა დაპირისპირებოდა, მაგრამ ეს უკანასკნელი გუშინ ჩვენებურს არ გამოუცხადდა და წაგება ჩაეთვალა. მეოთხედფინალში ბასილაშვილი ტურნირზე მე-7 ნომერ შერიფ სარბისთან (ეგვიპტე) გაარკვევს ურთიერთობას. წარმატების შემთხვევაში ტომისლავ ბრკიჩსა (ბოსნია-ჰერცეგოვინა) და მათიას ვინერს (გერმანია) შორის უძლიერესს შეხვდება.

ვაჟა დანელია

დიდი სპორტის კარიბჭესთან



# ანი გვილავა

აკადემიური ნიჩბოსნობა

**დაიბადა** 1997 წლის 18 ნოემბერს.

**სწავლობს** მცხეთის მე-2 სკოლის მე-9 კლასში.

**ვარჯიში** ნიჩბოსნობაში დაიწყო 3 წლის წინათ **იასონ ბუჯიაშვილთან** ბაიდარათი. ერთი წელიწადია აკადემიურ ნიჩბოსნობაში **დიმიტრი ლოლუასთან** იმაღლებს ოსტატობას.

**შედეგები.** საქართველოს ვიცე-ჩემპიონი ბაიდარაში 2010-2011 წლებში. აკადემიურ ნიჩბოსნობაში საქართველოს ჩემპიონი ერთადგილიანი ნავით, მინგეჩაურის საერთაშორისო რეგატის მე-3 პრიზიორი.

**გატაცებულია** ფრენბურთითა და კარატეთი.

**ჰობი.** მუსიკა, წიგნების კითხვა. საყვარელი წიგნები: პაოლო კოელიოს „ალქიმიკოსი“.

**ოცნებობს** ახალგაზრდა ნიჩბოსანთა 2013 წლის მსოფლიოს პირველობის კვარცხლბეკზე ასვლასა და ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე.

ვაჟა დანელია
ავტორის ფოტო

ჭადრაკი

# ბლიცსა და რაპიდში

პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში დღეს დაიწყება და ოთხ დღეს გასტანს ბლიცსა (პარტიისთვის 3 წუთს + 2 წამი) და რაპიდში (15 წუთს + 10 წამი) მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 800-მდე წარმომადგენელი იასპარეზებს, მათ შორის - 60 დიდოსტატი. საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ ცნობილი მოჭადრაკეები - ალექსეი დრეევი, ვლადიმირ მალახოვი, სერგეი რუბლიოვსკი (ყველა - რუსეთი), ალექსე შიროვი (ლატვია), არკადი ნაიდიჩი, დანიელ ფრიდმანი (ორივე - გერმანია), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი) და სხვები. განაცხადში რეიტინგით 35-ე ნომრადაა განთესილი საქართველოს ექსჩემპიონი **თორნიკე სანიკიძე** (2567).

საგულისხმოა, რომ შარშან რაპიდში ევროპის ჩემპიონობა **ბაადურ ჯობავამ** მოიპოვა (მეორე-მესამე ადგილებზე რუსი სანან სიუგიროვი და პოლონელი რობერტ კემპინსკი გავიდნენ). წლეულს ჩვენებური ტიტულის დაცვას ვერ ახერხებს, რადგან პეკინში ინტელექტუალურ თამაშებში იასპარეზებს.

ვაჟა დანელია

## მილოცვა

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრების ლიდერს, 2008 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულს, საერთაშორისო დიდოსტატ **ნანა ძაგნიძეს** ვულოცავთ ვაჟის - ნიკოლოზის დაბადებას და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ!

**საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

შესაძლო მეტოქეები

# ყველაზე სწრაფად მზარდი სარაგბო ერი

**2015 წელს ინგლისში გასამართ მსოფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრები შესაძლოა C ჯგუფში მოხვდეს, სადაც მეორე ნომრად წილისყრამ არგენტინის ნაკრები გაამწესა. „პუმები“ ბოლო ათწლეულია მსოფლიოს რაგბიში დიდი ნაბიჯებით მიიწევენ წინ. ამიტომ, მათთან კიდევ ერთხელ შეხვედრა და ღირსეულად თამაში „ბორჯღალოსნებისთვის“ დიდი პატივია.**

არგენტინის ნაკრები ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი გუნდია. მსოფლიოს თასის გათამაშებაში „ბორჯღალოსნები“ პუმებს ორჯერ დაუპირისპირდნენ. 2007 წელს საფრანგეთში ჩვენი ეროვნული გუნდი 3:33 დამარცხდა. შარშან კი, ახალ ზელანდიაში პირველი ტაიმი 7:5 მოვუგეთ, თუმცა არგენტინელებმა მატჩის ბოლო ათ წუთში მაინც იძალეს და 7:25 გვაჯობეს.

ამასთან ერთად, 2009 წლის შემოდგომაზე ქართული რაგბის 50 წლისთავთან დაკავშირებით არგენტინის A ნაკრები სტუმრობდა. ის შეხვედრა „ბორჯღალოსნების“ გამარჯვებით დასრულდა. 2013 წელს საქართველოსა და არგენტინის ნაკრებები კიდევ ერთხელ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ივნისში არგენტინის რაგბის კავშირმა ჩვენი ეროვნული გუნდი „პუმებთან“ საასპარეზოდ დაპატიჟა.

საქართველოს ნაკრების თავკაცმა **მილტონ ჰეიგმა** შესაძლო მეტოქეებზე კომენტარისას თქვა:

*„არგენტინის ნაკრებს ქართველი მორაგბეები კარგად იცნობენ. ივნისში ამ გუნდთან კიდევ ერთხელ ვითამაშებთ და იქ გამოჩნდება, რამდენად დიდია მანძილი გუნდებს შორის“.*

შეგახსენებთ, რომ არგენტინის ნაკრებმა წლეულს პირველად იასპარეზა ოთხი ერის გათამაშებაში სამხრეთ ნახევარსფეროს ბობოლებთან ერთად და ექვსი თამაშიდან ერთი ფრედ დაასრულა, ხუთი წააგო. მიუხედავად ამისა, „პუმების“ დებიუტი ერთხმად შეფასდა როგორც წარმატებული, ვინაიდან გუნდი ახალბედასავით სულაც არ გამოიყურებოდა. მეტიც, შინ სამხრეთ აფრიკასთან ფრედ დასრულებული მატჩი 16:16 სენსაციად იქნა აღქმული.

ნოემბრის ტესტებზე არგენტინელებმა პირველივე მატჩში უელსის ნაკრებს სძლიეს. მეორე და მესამე შეხვედრებში კი, შესაბამისად საფრანგეთისა და ირლანდიის ნაკრებებთან, გუნდს აშკარად ეტყობოდა გადაღლა და ორივე მატჩში დამარცხდა.

ახლა კი, ცოტა რამ არგენტინელების სამსოფლიოთასო ბატალიების შესახებაც ვთქვათ. ყველაზე დიდ წარმატებას „პუმებმა“ 2007 წელს საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს თასზე მიაღწიეს, სადაც მასპინძელთა გუნდი ორჯერ დაამარცხეს - ჯერ ჯგუფურ ტურნირში და მერე მესამე ადგილისთვის მატჩში.

შეგახსენებთ, რომ „პუმებმა“ ჯგუფში საფრანგეთის ნაკრების ძლევის შემდეგ ნამიბიის, ირლანდიისა და საქართველოს ნაკრებები დაამარცხეს და პირველი ადგილი დაიკავეს. **მარსელო ლოფედას** სამწყსო შესანიშნავად ირჯებოდა. პუმების ლიდერები **ავგუსტინ პიშო, ფელიპე კონტეპომი** და „რაგბის მარადონად“ შერაცხილი **ხუან მარტინ ერნანდესი** შეუჩერებელნი იყვნენ. თუმცა გუნდის ძლიერ მხარედ მაინც შერკინება მიიჩნეოდა, სადაც გამოირჩეოდნენ **როდრიგო რონსერო, მარიო ლედესმა და ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე.**

არგენტინის ნაკრებმა იმდენად აღაფრთოვანა თანამემამულეები, რომ საფეხბურთო სუპერკლასიკო ბუენოს აირესის „ბოკა ხუნიორსსა“ და „რიველ პლეიტს“ შორის, რამდენიმე დღით გადაიტანეს, რადგან ამ მატჩის გამართვის თარიღი არგენტინისა და შოტლანდიის ნაკრებების მეოთხედფინალურ მატჩს დაემთხვა.



„პუმებმა“ შოტლანდიელებს სძლიეს, თუმცა მერე ნახევარფინალში მსოფლიოს თასის მომავალ მფლობელთან, სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდთან დამარცხდა 13:37. მესამე ადგილისთვის მატჩში კი, როგორც უკვე ვთქვით, საფრანგეთის ნაკრებს აჯობეს და „პუმები“ სამშობლოში გმირებივით მიიღეს. 2007 წლის მსოფლიოს თასის გათამაშება არგენტინაში რაგბის განვითარების კატალიზატორად იქცა.

ელიტაში მოსახვედრად „პუმებმა“ საკმაოდ გრძელი და ძნელი გზა განვლეს. მათი ასპარეზობა მსოფლიოს რაგბის უდიდეს ფორუმებზე ყოველთვის როდი იყო შთამბეჭდავი. 1987 წელს ახალ ზელანდიაში გამართულ პირველ მსოფლიოს თასზე არგენტინის ნაკრები პირველივე შეხვედრაში ფიჯის ეროვნულ გუნდთან დამარცხდა, ამას მოჰყვა უიმედოდ წაგებული მატჩი მასპინძელთა გუნდთან. ბოლოს კი სანუგეშოდ არგენტინელებმა იტალიის ეროვნულ გუნდს სძლიეს - 25:16.

ოთხი წლის შემდეგ არგენტინელებმა ჯგუფურ ტურნირში სამივე შეხვედრა წააგეს, ისევე როგორც 1995 წელს სამხრეთ აფრიკაში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში. აღსანიშნავია, რომ „პუმებმა“ აფრიკის კონტინენტზე ყველაზე სუსტად მიჩნეულ იტალიის ნაკრებსაც ვერ აჯობეს და გათამაშება თავჩაღუნულებმა დატოვეს.

არგენტინის ნაკრები გაცილებით უკეთ იყო ორგანიზებული 1999 წლის მსოფლიოს თასის გათმაშებისას. პირველ მატჩში, რომელიც რეკონსტრუირებულ კარდიფის „მილენიუმზე“ გაიმართა, „პუმებმა“ მასპინძლებთან წააგეს, თუმცა მერე ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვეს სამოასა და იაპონიის ეროვნულ გუნდებთან დაპირისპირებაში. პლეი ოფში სამხრეთამერიკელებმა მოულოდნელად ირლანდიის ნაკრებსაც სძლიეს - 28:24, თუმცა მერე მეოთხედფინალში ვერას გახდნენ ფრანგებთან - 26:47. ამ ტურნირზე საუკეთესო მექულე არგენტინელი დამრტყმელი **გონსალო კესადა** გახდა, რომელმაც გუნდს 102 ქულა მოუტანა.

2003 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში, რომელიც ავსტრალიაში გაიმართა, არგენტინის ნაკრებმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. ნამიბიისა და რუმინეთის ნაკრებებთან გამარჯვების შემდეგ, „პუმებმა“ ავსტრალიისა და არგენტინის ნაკრებებთან წააგეს და პლეი ოფის მიღმა დარჩნენ.

2007 წლის ტურნირზე უკვე გიამბეთ. შარშან კი „პუმებმა“ მეოთხედფინალში გააღწიეს, სადაც ახალი ზელანდიის ნაკრებთან დამარცხდნენ.

# ყველაზე არასტაბილური...

**ინგლისში C ჯგუფის მესამე ნომერი ტონგას ეროვნული ნაკრებია. ეს ქვეყანა წყნარი ოკეანის კუნძულებზეა განლაგებული და როგორც პოლიტიკურად, ისევე სარაგბო თვალსაზრისით ავსტრალიის სატელიტად მიიჩნევა.**

ტონგას ნაკრებთან ქართველი მორაგბეების ნაცნობობა გასული საუკუნის მიწურულს შედგა. 1999 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების საკვალიფიკაციო ეტაპზე „ბორჯღალოსნები“ ტონგელებს რეპეშაჟში დაუპირისპირდნენ. პირველი შეხვედრა ტონგაში გაიმართა და მასპინძლების გამარჯვებით 37:6 დასრულდა.

იმ დროს ქართულ რაგბის დიდად არ ულხინდა და ტონგაში ვოიაჟი ერთი გახმაურებული ინციდენტით აღინიშნა. მატჩის წინ მოსამზადებლად ჩვენი ეროვნული გუნდი ფიჯიზე ჩავიდა და როცა ტონგაში გამგზავრების დრო დადგა, აღმოჩნდა, რომ სასტუმროს საზღაური გადახდილი არ იყო. ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი იძულებული გახდა, გირაოდ ნაკრების მთავარი მწვრთნელი, აწგარდაცვლილი **გურამ მოდებაძე** დაეტოვებინათ. ცხადია, მოგვიანებით თანხა გადაიხადეს. ნაკრების თავკაცი ტონგაში გუნდთან ერთად იყო.

განმეორებითი შეხვედრა თბილისში ორი კვირის თავზე გაიმართა და საქართველოს ნაკრებმა მინიმალური სხვაობით - 28:27 მოიგო. მას შემდეგ ტონგის ეროვნულ ნაკრებს აღარსად გადავყრივართ.

ლონდონში გამართული წილისყრის შემდეგ ტონგას რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **ეპელი ტაიონემ** ასეთი კომენტარი გააკეთა:

*„ვფიქრობ, წილისყრა ჩვენთვის იდეალურია. ძალიან მიხარია, ჯგუფში მეტოქეებად მეზობელი ფიჯი და სამოა რომ არ გვერგო. ახლა ჩვენ მთლიანად ახალი ზელანდიისა და არგენტინის ნაკრებებთან თამაშზე ვიქნებით კონცენტრირებულები. მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყებამდე ორი წელიწადია დარჩენილი და, ვფიქრობ, ამ დროის განმავლობაში ჩვენი გუნდის თამაში კიდევ უფრო დაიხვეწება და გაძლიერდება. ასე რომ, ბობოლებთან ღირსეულად თამაშს აუცილებლად შევძლებთ“.*

ტაიონე არაფერს ამბობს შესაძლო მეტოქეებზე ევროპისა და აფრიკის კონტინენტების შესარჩევი ტურნირების გამარჯვებულებზე. ეს ძალიან კარგია, რადგან საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს მომავალ შესაძლო მეტოქესთან დაკავშირებით თავისი გეგმები აქვს. აი რა გვითხრა „ბორჯღალოსანთა“ თავკაცმა **მილტონ ჰეიგმა.**

*„ტონგას ნაკრები კარგი გუნდია. თუმცა, მე, როგორც ახალ ზელანდიელს, მაქვს ამბიცია, ჩვენი ნაკრები ისე მოვამზადო, რომ ტონგელთა დამარცხება შევძლოთ“.*



გაამართლებს თუ არა ჰეიგის ჩანაფიქრი, ამას მომავალი გვიჩვენებს. ახლა კი ტონგელთა გარდასულ დღეებს გადავავლოთ თვალი. ტონგას ნაკრები თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ყველაზე არასტაბილურ გუნდად. ასე, მაგალითად, 2011 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების ჯგუფურ ტურნირზე ტონგელებმა კანადის ნაკრებთან 20:25 წააგეს, მერე კი ტურნირის მომავალ ფინალისტს საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებს სძლიეს - 19:14.

თითქმის მსგავსი სცენარით განვითარდა მოვლენები წლეულს გამართულ ნოემბრის ტესტებზე. ტონგას ნაკრებმა იტალიაში 23:28 წააგო, მერე კი სენსაციურად დაამარცხა სტუმრად შოტლანდიის ეროვნული გუნდი 21:15, რის გამოც „სკოტების“ მთავარი მწვრთნელი **ენდი რობინსონი** გადადგა. ასე რომ, ტონგას შეუძლია შედარებით სუსტთან წააგოს და თავისზე ძლიერს მოუგოს. ეს ფაქტორი „ბორჯღალოსნებმა“ აუცილებლად უნდა გამოიყენონ. ამასთან ისიც გასახსენებელია, რომ ტონგამ ახალ ზელანდიაში იაპონიის ნაკრებს 31:18 მოუგო. ასე რომ, „თეთრი მტრედები“ ხელწამოსაკრავები სულაც არ არიან.

თუმცა ყოველთვის ასე არ იყო. ტონგას რაგბის ისტორიაში იყო კატასტროფული პერიოდებიც. მსოფლიოს პირველ თასზე „თეთრმა მტრედებმა“ სამივე მატჩი წააგეს ირლანდიის, უელსისა და კანადის ნაკრებებთან. ოთხი წლის შემდეგ კი ამ გათამაშებაში საერთოდ ვერ მოხვდნენ. 1995 წელს კი ჯგუფში მხოლოდ მაჩანჩალა კოტ დიუვარს მოუგეს, რომელმაც მსოფლიოს რაგბის უდიდეს ფორუმზე პირველად და უკანასკნელად ითამაშა.

1999 წელს კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტონგამ რეპეშაჟის გავლით შეძლო უძლიერესთა მარაქაში გარევა. აქ ტონგელები ახალი ზელანდიისა და ინგლისის ნაკრებთან ვერას გახდნენ, თუმცა მერე იტალიის დამარცხება შეძლეს და ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავეს.

2003 წელს ავსტრალიაში გამართული მსოფლიოს თასის გათამაშება ტონგელებისთვის კატასტროფული გამოდგა. მათ ჯგუფურ ეტაპზე ოთხი თამაშიდან ოთხივე წააგეს. ოთხი წლის შემდეგ „თეთრმა მტრედებმა“ მსოფლიოში მიმოფანტული ყველა საუკეთესო ტონგელი მორაგბის შეგროვება შეძლეს და ჯგუფურ ტურნირში ოთხი თამაშიდან ორი მოიგეს. შედეგად მესამე ადგილი და მომდევნო მსოფლიოს თასის საგზური მოიპოვეს.

ლეგიონერები

## გორგოძე ოცი დღით დაისვენებს

საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული „მონპელიეს“ მესამეხაზელ **მამუკა გორგოძეს** საფრანგეთის რაგბის ნაციონალური ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა 20-დღიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

1 დეკემბერს, საფრანგეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში „მონპელიე“ შინ ბასკურ „ბაიონს“ ხვდებოდა. მეორე ტაიმის დასაწყისში სტუმართა შერკინების კვაჭი **დავიდ რუმიე** გორგოძეს გვერდიდან მიეპარა და მუშტი უთავაზა. ცხადია, ამან ქართველი განარისხა და მომხვდურს მეხივით დააცხრა თავს. სადისციპლინო კომიტეტმა, რუმიეც, როგორც ჩხუბის ინიციატორი 20-დღიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი


ლებრონმა მეომრებთან წააგო

# ოკლაჰომა ახალი ლიდერია

დიდი სათამაშო დღე შედგა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში და რამდენიმე მატჩმა ძალიან საინტერესო ბრძოლაში ჩაიარა.

მხოლოდ ერთმა ტყორცნამ გადაწყვიტა "სან ანტონიოსა" და "იუტას" შეხვედრის ბედი. თუმცა დაძაბული ფინალის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო, რადგან მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე, "სპურსი" დამაჯერებლად იგებდა 8 ქულის სხვაობით. ამის შემდეგ, **გრეგ პოპოვიჩის** შეგირდები მათთვის არადამახასიათებელ შეცდომებს უშვებდნენ და მეტოქეს 14:3 გაქცევის საშუალება მისცეს. თვით **ტიმ დანკანი და ტონი პარკერიც** კი საშინლად გამოიყურებოდნენ. შეტევაში ცუდ თამაშს კიდევ შეიძლებოდა გამართლება ჰქონოდა, მაგრამ მეტოქისთვის საკუთარ ფარზე მოხსნის მიცემა, ნამდვილი დანაშაული იყო. ჯალათის როლი კი **მო უილიამსმა** იტვირთა, რომელმაც სირენასთან დაახლოებით რვა მეტრიდან ჩააგდო სამქულიანი.

■ ■ ■

**კევინ დურანტის** 35 ქულის მიუხედავად, „ოკლაჰომას" ძალიან გაუჭირდა „ნიუ ორლეანის" დამარცხება. **ბრაიან რობერტსის** ზუსტი სამქულიანის შემდეგ, ანგარიში გახდა 89:88 „თანდერის" სასარგებლოდ, სათამაშო კი ცხრა წამი რჩებოდა. პასუხად დურანტმა მხოლოდ ერთი საჯარიმო ჩააგდო, **გრეივის ვასკესს** კი შეეძლო ერთი სროლით მოესპო „ოკლაჰომასთვის" ზედიზედ მეცხრე მატჩის მოგების საშუალება, მაგრამ მისი სამქულიანი მიზანს ასცდა. „სან ანტონიოს" წაგების წყალობით, დურანტი და კომპანია რეგულარულის ლიდერი გახდა.

■ ■ ■

„შარლოტ ბობკეტსმა" კარგა ხნის წინ მოიგო სეზონში მეშვიდე მატჩი - ზუსტად იმდენი, რამდენიც მთელი შარშანდელი სეზონის განმავლობაში და იქიდან მოყოლებული, უკვე ზედიზედ ცხრა წაგება დაუგროვდა. არადა, იყო „კლიპერსთან" წარმატების შანსი - სირენამდე რვა წუთით ადრე, აუტსაიდერი მინიმალური ანგარიშით აგებდა. მაგრამ ამას მოჰყვა წუთ-ნახევრის განმავლობაში **ბარნსის** ხუთი ქულა და „ბობკეტსს" მატჩის გადარჩენის შანსი აღარ ჰქონია. თუმცა „კლიპერსთან" წაგებისთვის „შარლოტს" არ გაკიცხავენ, რადგან ამ გუნდმა ზედიზედ მერვე მატჩი მოიგო, რაც 1991-92 წლების სეზონის შემდეგ არ გაუკეთებია.

■ ■ ■

დრამატული ფინალი ჰქონდა "მაიამისა" და "გოლდენ სტეიტის" შეხვედრას. არ წაუვიდა თამაში "მეომრების" ლიდერს **სტივენ კარის**, რომელმაც მხოლოდ ცხრა ქულა დააგროვა და ექვსი შეცდომა დაუშვა. შესაბამისად, "გოლდენ სტეიტს" მოქმედ ჩემპიონთან შანსი არ უნდა ჰქონოდა. მაგრამ, "უორიორზმა" მეტოქეს ბრძოლა მოახვია თავს. სირენამდე სამი წუთით ადრე, სტუმრები მხოლოდ ოთხ ქულას აგებდნენ, რის შემდეგაც, **ჯეიმსმა** და კომპანიამ... ვერც-ერთხელ ვერ ჩააგდო. თავის მხრივ, კარიმ და **ლიმ** ანგარიში გაათანაბრეს. ტაბლოზე ეწერა 95:95 და ბოლო შეტევის უფლება სტუმარ გუნდს ჰქონდა. გადამწყვეტი სროლა თითქოს **ჯეკს** უნდა შეესრულებინა, მაგრამ გამოცდილ **ბატიესა და ალენს** შორის უთანხმოებამ ფარქვეშ სრულიად მარტო დატოვა **დრეიმონდ გრინი**. საბოლოოდ, დრაფტის 35-ე ნომრად არჩეულმა დებიუტანტმა გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

**იუტა-სან ანტონიო 99:96**

**22:28, 31:16, 18:27, 28:25**

**ი:** მილსეპი (24+12 მოხსნა+5 პასი), ჯეფერსონი (21), ჰეივორდი (19+7 მოხსნა+6 პასი), ფოიე (13).

**ს-ა:** დანკანი (22+21 მოხსნა+6 დაფარება), პარკერი (22+7 პასი), გრინი (12), სპლიტერი (10+6 მოხსნა).

**ოკლაჰომა-ნიუ ორლეანი 92:88**

**17:19, 19:25, 22:18, 34:26**

**ო:** დურანტი (35+9 მოხსნა), მარტინი (17+6 მოხსნა), უესტბრუკი (14+9 პასი).

**ნ-ო:** რობერტსი (16), ანდერსონი (14+7 მოხსნა+5 პასი), რივერსი (12), დევისი (11).

**მაიამი-გ. სტეიტი 95:97**

**28:29, 24:24, 22:24, 21:20**

**მ:** ჯეიმსი (31+5 პასი), ბოში (21+13 მოხსნა), უეიდი (14+5 პასი+3 ჩაჭრა), ალენი (14).

**გ-ს:** ტომპსონი (27+7 მოხსნა), ლი (22+13 მოხსნა), ჯეკი (20).

**შარლოტი-კლიპერსი 94:100**

**21:23, 23:26, 27:29, 23:22**

**შ:** მალენსი (19+8 მოხსნა), უოკერი (17+6 პასი), ჰენდერსონი (12), კიდ-გილკრისტი (11+8 მოხსნა), სეშენსი (11), ბიიომბო (10+9 მოხსნა).

**კ:** პოლი (19+5 მოხსნა+10 პასი), გრიფინი (19+5 მოხსნა), ბარნსი (19), ბლედსოუ (13+8 მოხსნა).

# სხვა მატჩები

დიდ ინტერესს იწვევდა ბოსტონელი **ჯეისონ ტერის** შეხვედრა თავის ყოფილ კლუბთან - "დალას მავერიქსთან". მატჩი ნამდვილ თრილერად გადაიქცა, თუმცა ამაში თავად ტერიმ მინიმალურ წვლილი დაიდო (10 ქულა და 10-დან მხოლოდ სამი ზუსტი ტყორცნა). სამაგიეროდ, სხვა კალათბურთელების წყალობით გაიწელა შეხვედრა ორ ოვერტაიმამდე.

ძირითად დროსა და პირველ ოვერტაიმში "ბოსტონს" შეეძლო გამოეგლიჯა ხელიდან მოგება - ორივე შემთხვევაში მასპინძლებს ბოლო შეტევის უფლება ჰქონდათ. მაგრამ, დალასელები შესანიშნავად თამაშობდნენ დაცვაში. საბოლოოდ, ვერც **რონდომ** და ვერც **პირსმა** წესიერად სროლა ვერ შეძლეს. მეორე ოვერტაიმში "სელტიქსმა" სწრაფად მოჰკიდა საქმეს ხელი და სირენამდე 10 წამით ადრე ოთხ ქულას იგებდა. თუმცა შემდეგ გაეპარა **ვინს კარტერი**, რომელმაც სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. მაგრამ პირსის ზუსტი საჯარიმოებისა და **კოლისონის** მიერ აცილებული სამქულიანის შემდეგ, ეს ბრძოლა მასპინძლებმა მოიგეს.

■ ■ ■

„ფინიქსმა" იქ შეწყვიტა თავისი შვიდმატჩიანი წაგებათა სერია, სადაც ამას ყველაზე ნაკლებად ელოდნენ - „მემფისთან" შეხვედრაში. ფავორიტმა, როგორც მოსალოდნელი იყო, კარგად დაიწყო მატჩი და უკვე პირველ მეოთხედში მიაღწია ორნიშნა უპირატესობას. მაგრამ ბოლოსკენ, „გრიზლისის" კარგი თამაში აღარავის ახსოვდა. სტუმრებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ ანგარიშის გასათანაბრებლად და მატჩის ოვერტაიმში გადასაყვანი შანსის დასატოვებლად. ამისთვის საჭირო იყო „სანზის" ბოლო შეტევის მოგერიება. ეს მათ თითქმის მოახერხეს - **გორან დრაგიჩი** გამოუვალ მდგომარეობაში დატოვეს, მაგრამ სლოვენიელმა მაინც მოატყუა **მარკ გასოლი** და ზუსტად ისროლა.

■ ■ ■

„ბრუკლინს" კარგი მომენტი ჰქონდა იმისთვის, რომ შეეწყვიტა თავისი ხუთმატჩიანი წაგებათა სერია. მას მეტოქედ სუსტი „ტორონტო" ჰყავდა, თან სატურნირო მდგომარეობაც გართულდა - კლუბი, რომელიც ცოტა ხნის წინ მეორე ადგილს იკავებდა აღმოსავლეთ კონფერენციაში, ახლა, „ნიუ იორკს" ოთხი მოგებით ჩამორჩება. ამიტომაც, ბრუკლინელებს კანადაში წაგების უფლება არ ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, „ნეტსის" მხრიდან პირველ ტაიმში სროლების 36 პროცენტის სიზუსტემ და 11-ის დაკარგვამ „რეპტორზს" რვა ქულით წინ გასვლის საშუალება მისცა. „ბრუკლინისთვის" გადამწყვეტი აღმოჩნდა მესამე მეოთხედი, რომელშიც რვიდან ექვსი სამქულიანი ჩააგდო და ეს 12-წუთიანი მონაკვეთი 31:19 მოიგო. „ტორონტომ" წააგო ბოლო 13 მატჩიდან 12, მათ შორის, ექვსი ზედიზედ.

■ ■ ■

ზედიზედ მეოთხე გასვლითი მატჩი მოიგო „ჩიკაგომ". „ფილადელფიას" არ ელირსა ცენტრ **ენდრიუ ბინუმის** გამოჯანმრთელება და ამიტომაც, „სიქსერზის" რიგებში არ აღმოჩნდა კალათბურთელი, რომელიც წინ დაუდგებოდა **ჟოაკიმ ნოას** (21 ქულა, 7 მოხსნა, 5 პასი). მასპინძლები დიდი შესვენებისთვის სამი ქულით იგებდნენ, მინიმალური უპირატესობა ჰქონდათ სირენამდე 5 წუთითა და 20 წამით ადრე, მაგრამ იქვე „ფილადელფიას" გამოეპარა „ბულზის" 7:0 გაქცევა.

**ტორონტო-ბრუკლინი 88:94**

**27:20, 18:17, 19:31, 24:26**

**ტ:** დევისი (24+12 მოხსნა+3 ჩაჭრა), ვალანჩუნასი (15), დეროზანი (11+5 მოხსნა+4 პასი), კალდერონი (10+15 პასი).

**ბ:** ჯონსონი (23), უოტსონი (16+6 მოხსნა), ბლეტჩი (14+9 მოხსნა), უილიამსი (12), ჰემფრიზი (11), ევანსი (9+11 მოხსნა).

**ორლანდო-ატლანტა 80:86**

**15:20, 19:26, 26:26, 20:14**

**ო:** აფლალო (16), რედიკი (13), ნელსონი (12), მური (11), დევისი (10+7 მოხსნა+4 ჩაჭრა).

**ა:** სმიტი (16+11 მოხსნა+5 დაფარება), ტიგი (16+3 ჩაჭრა), ჰორფორდი (13+13 მოხსნა), უილიამსი (11), ჰარისი (10).

**ინდიანა-კლივლენდი 96:81**

**25:29, 27:29, 28:12, 16:11**

**ი:** ჯორჯი (27+7 მოხსნა), უესტი (18+9 მოხსნა+7 პასი), ჰილი (17+7 მოხსნა), ჰიბერტი (4+12 მოხსნა+3 დაფარება).

**კ:** მაილზი (28), სამუელსი (10), ვარეჟაო (4+12 მოხსნა).

**ფილადელფია-ჩიკაგო 89:96**

**24:21, 20:20, 22:28, 23:27**

**ფ:** ჰოლიდეი (26+5 მოხსნა+9 პასი), ტერნერი (16+8 მოხსნა), ტ. იანგი (13+9 მოხსნა+4 დაფარება), ჰოუზი (10+10 მოხსნა), ნ. იანგი (10).

**ჩ:** ნოა (21+7 მოხსნა+5 პასი+3 დაფარება), დენგი (19+12 მოხსნა), ბელინელი (16), რობინსონი (14).

**ბოსტონი-დალასი 117:115 (2ო)**

**27:25, 21:18, 28:27, 20:26, 9:9, 12:10**

**ბ:** პირსი (34+6 მოხსნა+4 ჩაჭრა), რონდო (16+9 მოხსნა+15 პასი+3 ჩაჭრა), გარნეტი (16+5 მოხსნა), გრინი (15+5 მოხსნა), უილკოქსი (10+6 მოხსნა), ტერი (10+3 ჩაჭრა).

**დ:** მაიო (24+6 მოხსნა), კოლისონი (20+5 მოხსნა+6 პასი), მერიონი (16+11 მოხსნა+7 პასი), კამანი (12+5 მოხსნა), ჯონსი (12), კარტერი (10+8 მოხსნა+5 პასი), ფიშერი (10).

**მილუოკი-საკრამენტო 98:85**

**29:19, 20:20, 19:23, 30:23**

**მ:** ჯენინგსი (19), ელისი (17+8 მოხსნა+11 პასი), მბა ა მუტე (17+6 მოხსნა), ილიასოვა (16+14 მოხსნა), დენიელსი (10+6 მოხსნა), გუდენი (7+10 მოხსნა).

**ს:** ტ. ევანსი (17+7 მოხსნა), სალმონსი (16), ბრუქსი (10), ტომპსონი (8+15 მოხსნა).

**ჰიუსტონი-ვაშინგტონი 99:93**

**27:17, 18:25, 23:22, 31:29**

**ჰ:** ჰარდენი (31+3 ჩაჭრა), პარსონსი (18+8 მოხსნა), პატერსონი (13+3 დაფარება), დაგლასი (12), ლინი (10+5 მოხსნა+6 პასი), აშიქი (9+16 მოხსნა).

**ვ:** ბილი (20+6 პასი), ოკაფორი (19+6 მოხსნა), ჯორ. კროუფორდი (17+8 მოხსნა+5 პასი), უებსტერი (16+7 მოხსნა), ნენე (13+9 მოხსნა).

**მინესოტა-დენვერი 108:105**

**21:29, 30:21, 26:20, 31:35**

**მ:** პეკოვიჩი (22+11 მოხსნა), კირილენკო (18+4 ჩაჭრა), ბარეა (17+5 მოხსნა+8 პასი), რიდნური (15), კანინგემი (12), ლავი (8+14 მოხსნა).

**დ:** ფარიდი (26+14 მოხსნა+3 ჩაჭრა), გალინარი (24), ლოუსონი (17+11 პასი), ბრიუერი (14).

**ფინიქსი-მემფისი 82:80**

**21:27, 22:19, 20:17, 19:17**

**ფ:** დადლი (15+9 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), ბრაუნი (15+7 მოხსნა), დრაგიჩი (12+5 მოხსნა+8 პასი), მორისი (11), გორტატი (10+8 მოხსნა).

**მ:** გეი (21+11 მოხსნა), რენდოლფი (18+10 მოხსნა), გასოლი (15+6 დაფარება).

**აღმოსავლეთი**

| | |
|---|---|
| 1. ნიუ იორკი | 16/5* |
| 2. მაიამი | 14/6* |
| 3. ატლანტა | 13/6 |
| 4. ჩიკაგო | 12/9* |
| 5. ბრუკლინი | 12/9 |
| 6. ბოსტონი | 12/9 |
| 7. მილუოკი | 11/9 |
| 8. ფილადელფია | 12/10 |
| 9. ინდიანა | 11/11 |
| 10. ორლანდო | 8/13 |
| 11. შარლოტი | 7/14 |
| 12. დეტროიტი | 7/17 |
| 13. კლივლენდი | 5/18 |
| 14. ტორონტო | 4/19 |
| 15. ვაშინგტონი | 3/16 |

**დასავლეთი**

| | |
|---|---|
| 1. ოკლაჰომა | 18/4* |
| 2. სან ანტონიო | 18/5* |
| 3. მემფისი | 14/5 |
| 4. კლიპერსი | 16/6* |
| 5. გ. სტეიტი | 15/7 |
| 6. იუტა | 13/10 |
| 7. მინესოტა | 10/9 |
| 8. დალასი | 11/11 |
| 9. დენვერი | 11/12 |
| 10. ჰიუსტონი | 10/11 |
| 11. პორტლენდი | 9/12 |
| 12. ლეიკერსი | 9/13 |
| 13. ფინიქსი | 8/15 |
| 14. საკრამენტო | 7/14 |
| 15. ნიუ ორლეანი | 5/16 |

** - დივიზიონის ლიდერი*


ბოსტონი-დალასი

## ამარეს ვარჯიშს უკრძალავენ

„ნიუ იორკ ნიქსის" მძიმე ფორვარდი **ამარე სტაუდმაიერი** ჯერჯერობით ვერ ახერხებს ვარჯიშების დაწყებას. კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა** განაცხადა, რომ ექიმები არ აძლევენ კალათბურთელს თუნდაც ინდივიდუალური პროგრამით დატვირთვების მიღებას.

შეგახსენებთ, რომ ადრე სტაუდმაიერი 24 დეკემბერს, „ლეიკერსთან" მატჩში აპირებდა თამაშის განახლებას, მაგრამ ეს, სავარაუდოდ, არ მოხერხდება. მიმდინარე სეზონში კალათბურთელს არც ერთი მატჩი არ ჩაუტარებია მუხლზე გადატანილი ოპერაციის გამო.

## ფავორიტი ისევ მაიამია

ბუკმეიკერების აზრით, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მიმდინარე სეზონის ფავორიტად „მაიამი ჰიტია" მიჩნეული, მიუხედავად იმისა, რომ ამ გუნდს თავის კონფერენციაში მეორე ადგილი უკავია. შანსების მიხედვით, მეორეა „ოკლაჰომა-სიტი", - იტყობინება bookmakersrating.

„მაიამის" ჩემპიონობაზე კოეფიციენტი შეადგენს 2.9-ს. მოქმედ ჩემპიონს 20 მატჩში 14 მოგება აქვს და მხოლოდ „ნიუ იორკს" ჩამორჩება, რომელმაც 21 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ ხუთჯერ დამარცხდა.

აღნიშნულ რეიტინგში მეორე ადგილზე მყოფი „ოკლაჰომას" შესაბამისი კოეფიციენტია - 5.0. „თანდერმა" გუშინ ჩამოართვა რეგულარული ჩემპიონატის ლიდერობა „სან ანტონიოს". ამ უკანასკნელის ჩემპიონობაზე კოეფიციენტი 10.0-ს უტოლდება. საინტერესოა, რომ ბუკმეიკერები „სპურსზე" უფრო მეტ შანსს აძლევენ „ლეიკერსს" (კოეფიციენტი - 6.5), არადა, ეს გუნდი თავის კონფერენციაში მე-12 ადგილზეა (9 მოგება და 13 წაგება) და ჯერჯერობით პლეი ოფის ზონაშიც ვერ შედის.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი


კიმ კლაისტერსი

# კიმი საბოლოოდ წავიდა

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, 29 წლის ბელგიელმა **კიმ კლაისტერსმა** გამოსათხოვარი მატჩი ჩაატარა. შეგახსენებთ, რომ კიმმა ოფიციალურად კარიერა ამერიკის ღია პირველობის შემდეგ დაასრულა, მაგრამ გამოსათხოვარი მატჩისთვის ბელგია, კერძოდ, ქალაქი ანტვერპენი აირჩია. კლაისტერსის მეტოქე იყო 32 წლის ამერიკელი **ვენუს უილიამსი**. ბელგიელმა ორივე სეტი ერთნაირი ანგარიშით - 6:3 მოიგო.

შეხვედრას ესწრებოდა 16 ათასი მაყურებელი, მათ შორის იყვნენ ბელგიის პრინცი **ფილიპი** და მისი მეუღლე - პრინცესა **მატილდა**.

სხვათა შორის, კლაისტერსი ყოველთვის უხერხული მეტოქე იყო ვენუსისთვის. 2009 და 2010 წლების ამერიკის ღია პირველობაზე, ამერიკელის წინსვლა სწორედ კიმმა შეაჩერა და შემდეგ ჩემპიონი გახდა. ასევე, ბელგიელს 2005 წელსაც აქვს მოგებული აშშ-ის ღია, აგრეთვე 2011 წელს იმარჯვა 2011 წლის ავსტრალიის ღია პირველობაზე.

კარიერაში კიმ კლაისტერსს WTA-ის 41 ტიტული აქვს მოგებული, სულ კი ჰონორარის სახით მოპოვებული აქვს 24 442 000 დოლარი. ბელგიელი, საერთო ჯამში, 20 კვირა ლიდერობდა რეიტინგს. მან პროფესიულ ტურში 650 მატჩი ჩაატარა და 523 მოიგო.

■ ■ ■

ავტორიტეტულმა ფრანგულმა გამოცემა "ეკიპმა" გამოავლინა 2012 წლის საუკეთესო ქალი სპორტსმენი. პრიზი მიიღო მსოფლიოს მესამე ჩოგანმა, ამერიკელმა **სერენა უილიამსმა**.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის სეზონში, 31 წლის სერენამ შვიდი ტურნირი მოიგო, მათ შორის, უიმბლდონი, ამერიკის ღია და WTA-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი. ასევე, უილიამსი გახდა ლონდონის თამაშების ჩემპიონი ერთეულებსა და წყვილებში.

პრიზი სერენას გადასცა მისმა ძველმა მეტოქემ, მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ნომერმა, შვეიცარიელმა **მარტინა ჰინგისმა**.

■ ■ ■

მორიგი საჩვენებელი შეხვედრა ჩაატარა შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა**. ის აგრძელებს სამხრეთამერიკულ ტურნეს და ბრაზილიიდან არგენტინაში გადავიდა, სადაც ქალაქ ტიგრეში თავის ძველ მეტოქეს, 24 წლის არგენტინელ **ხუან მარტინ დელ პოტროს** შეხვდა.

შეხვედრა სამ სეტში დელ პოტრომ მოიგო - 3:6, 6:3, 6:4.

საინტერესოა, რომ მატჩი ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო. შეხვედრის წინ, სტადიონის ერთ-ერთ ტრიბუნაზე ბზარები აღმოაჩინეს. ამ მიზეზით, ორგანიზატორებს 150 ადამიანის ევაკუირებამ მოუწიათ.

როგორც იცით, არგენტინამდე ფედერერი ბრაზილიაში იმყოფებოდა და იქაც ერთი საჩვენებელი მატჩი წააგო - ადგილობრივ **ტომაშ ბელუჩისთან**.



დელ პოტრო და ფედერერი არგენტინაში

# 10 მთავარი მოვლენა

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნა 2012 წლის მთავარი მოვლენების სია:

10. **დავიდ ფერერი** - სეზონის ლიდერი მოგებული მატჩების (76) და ტიტულების (7) რაოდენობით.

9. **ენდი როდიკმა** ისტბურნში მოიპოვა კარიერაში მე-600 გამარჯვება და ზედიზედ მე-12 სეზონში იმარჯვა მინიმუმ ერთ ტურნირზე.

8. **ენდი მიურეი**: უიმბლდონის ფინალი, ოლიმპიადის ოქროსა და ვერცხლის მედლები, აშშ-ის ღია პირველობაზე გამარჯვება.

7. **როჯერ ფედერერმა** მეშვიდედ მოიგო უიმბლდონი და ამ მაჩვენებლით გაუთანაბრდა **პიტ სამპრასს**.

6. როჯერ ფედერერმა და **რაფაელ ნადალმა** "მასტერსის" სერიის ტურნირებზე მოგებათა რიცხვი 21-მდე (თითოეულისთვის) აიყვანეს.

5. რაფაელ ნადალის სარეკორდო - მეშვიდე გამარჯვება როლან გაროსზე.

4. **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** ზედიზედ მეორედ დაასრულა წელი პირველი ჩოგანის რანგში.

3. ნოვაკ ჯოკოვიჩმა და რაფაელ ნადალმა "დიდი სლემის" ზედიზედ ოთხი ტურნირის ფინალში გაითამაშეს მთავარი პრიზი (2011 წლის უიმბლდონი - 2012 წლის როლან გაროსი).

2. რაფაელ ნადალის ზედიზედ მერვე გამარჯვება მონტე კარლოს მასტერსზე.

1. როჯერ ფედერერმა დაამხო პიტ სამპრასის რეკორდი მსოფლიოს კლასიფიკაციაში ლიდერობის მხრივ. ამ მომენტისთვის, შვეიცარიელი ჯამში 302 კვირის განმავლობაში სათავეში ედგა ATP-ის რეიტინგს.

კრივი

# ახალი რეიტინგი და ერთი ლიდერი


პაკმენი მეშვიდეა, ფლოიდი - პირველი

გასულ უქმეებზე რვა წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, ფილიპინელმა **მენი პაკიაომ** დათმო ორთაბრძოლა მექსიკელ **ხუან მანუელ მარკესთან**, რითაც მნიშვნელოვნად შეიცვალა პოპულარული საკრივო გამოცემის - The Ring Magazine-ის პრესტიჟული რეიტინგი, რომელშიც თავმოყრილნი არიან მოკრივეები წონითი კატეგორიის გათვალისწინების გარეშე.

აქამდე, მენი პაკიაო მსოფლიოს საუკეთესო მოკრივეების კლასიფიკაციაში მეორე ადგილს იყოფდა ამერიკელ **ფლოიდ მეივეზერთან**, პირველი ადგილი კი ვაკანტური იყო. ახლა ვნახოთ, როგორ შეიცვალა რეიტინგი პაკიაოს მარცხის შემდეგ:

## 1. ფლოიდ მეივეზერი (35 წლის)

**რეიტინგში ყოფნა:** 64 კვირა

როგორც ვთქვით, ამ მომენტამდე პირველი ადგილი ვაკანტური იყო, მეივეზერი და პაკიაო კი მეორე ადგილს იყოფდნენ. მენიმ წაგების შემდეგ, ამერიკელი პირველ ადგილზე გაუშვა.

## 2. ანდრე უორდი (28 წლის)

**რეიტინგში ყოფნა:** 86 კვირა

აქამდე მესამე ადგილს იკავებდა. ზემოთ ავიდა პაკიაოს ჩავარდნის წყალობით.

## 3. ხუან მანუელ მარკესი (39 წლის)

**რეიტინგში ყოფნა:** 296 კვირა

აქამდე მარკესი მეექვსე ადგილზე იმყოფებოდა, მაგრამ პაკიაოს დამარცხების ხარჯზე პირველ სამეულში შეაღწია.

## 4. სერხიო მარტინესი (37 წლის)

**რეიტინგში ყოფნა:** 136 კვირა

შეინარჩუნა მეოთხე პოზიცია.

## 5. ედრიენ ბრონერი (23 წლის)

**რეიტინგში ყოფნა:** 1 კვირა

ახალი სახელი ტოპ-ათეულში. **ბრონერმა** დამაჯერებლად დაამარცხა **ანტონიო დემარკო**, რომელიც The Ring-ის ვერსიით საუკეთესო მოკრივე იყო მჩატე წონაში. ბრონერს პროფესიულ რინგზე წაგება არ აქვს, ხოლო უკანასკნელი 16 შეხვედრიდან 15 ვადაზე ადრე დაასრულა თავის სასარგებლოდ.

## 6. ნონიტო დონერი (30 წლის)

**რეიტინგში ყოფნა:** 188 კვირა

დონერი მეხუთე ადგილზე იმყოფებოდა, მაგრამ ქვემოთ დაეშვა ბრონერისა და მარკესის წინსვლის გამო.

## 7. მენი პაკიაო (33 წლის)

**რეიტინგში ყოფნა:** 471 კვირა

**ტიმოტი ბრედლისთან** და მარკესთან წაგებების შემდეგ, ფილიპინელი სერიოზულად დაქვეითდა რეიტინგში - მეორედან მეშვიდემდე ჩამოვიდა.

## 8. ვლადიმერ კლიჩკო (36 წლის)

**რეიტინგში ყოფნა:** 120 კვირა

აქამდე მეშვიდე ადგილზე მყოფი უკრაინელი აგრძელებს მოგებებს, მაგრამ სუპერმძიმე წონაში არასაკმარისია მაღალი დონის პრეტენდენტები.

## 9. ტიმოტი ბრედლი (29 წლის)

**რეიტინგში ყოფნა:** 116 კვირა

დაუმარცხებელი ბრედლიც ერთი საფეხურით უკან ჩამოვიდა იმის გამო, რომ დებიუტანტი ბრონერი დაწინაურდა.

## 10. რობერტ გერერო (29 წლის)

**რეიტინგში ყოფნა:** 1 კვირა

ტოპ-ათეულის კიდევ ერთი დებიუტანტი. ნახევრადსაშუალო წონაში ერთ-ერთმა წამყვანმა მოკრივემ ამას წინათ, დამაჯერებლად დაამარცხა ამავე წონაში მსოფლიოს ორგზის ყოფილი ჩემპიონი **ანდრე ბერტო**. გერერო ხუთ წონით კატეგორიაში გამოდიოდა და მხოლოდ ერთი წაგება აქვს კარიერაში - 2005 წელს, მსაჯების გაყოფილი გადაწყვეტილებით დამარცხდა **გამალიელ დიასთან**, თუმცა, მოგვიანებით, ნოკაუტით აუღო რევანში.

აქვე გეტყვით, რომ ათეული დატოვეს სუპერმძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონმა, უკრაინელმა **ვიტალი კლიჩკომ**, რომელიც მეცხრე ადგილზე იყო, აგრეთვე უმჩატეს წონაში WBA-ის ვერსიით სუპერჩემპიონმა **ანსელმო მორენომ**.

■ ■ ■

ამასობაში, მენი პაკიაომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მარკესთან მტკივნეული მარცხის მიუხედავად, არ აპირებს დიდი სპორტიდან წასვლას. ფილიპინელის თქმით, მას დაჟინებით სთხოვენ რინგის დატოვებას მეუღლე და დედა, მაგრამ მენი ამბობს: *"მომავალში კიდევ მექნება ბრძოლები"*.

# მეივეზერი-ალვარესი დადასტურდა

გუშინ, პრომოუტერული კომპანიის Golden Boy-ის აღმასრულებელმა დირექტორმა **რიჩარდ შეფერმა** საბოლოოდ დაადასტურა, რომ **ფლოიდ მეივეზერი** თავის მორიგ ბრძოლას 4 მაისს გამართავს. 35 წლის ამერიკელის მეტოქე იქნება პირველ საშუალო წონაში WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი, 22 წლის მექსიკელი **საულ ალვარესი**. შეგახსენებთ, რომ თავად მეივეზერი ორი ვერსიით არის ჩემპიონი - ის პირველ საშუალო წონაში WBA-ის საჩემპიონო ქამარს ფლობს, აგრეთვე ნახევრადსაშუალო წონაშია WBC-ის ჩემპიონი.

შეფერმა ასევე განაცხადა, რომ ორივე მოკრივეს 14 სექტემბერსაც აქვს ბრძოლის გამართვა დაგეგმილი. ორივე თარიღი ყველაზე დიდ მექსიკურ დღესასწაულებს - Cinco de Mayo-სა და დამოუკიდებლობის დღეს ემთხვევა.

*"ამ მომენტში მეივეზერისთვის მოწინააღმდეგის ძიებით ვარ დაკავებული,* - ამბობს შეფერი. - *გარდა ამისა, შევხვდი ალვარესს და მან მითხრა, რაც სურს. ასე რომ, გავაგრძელებთ მუშაობას. არ შემიძლია გარკვეული დეტალების გამხელა. თითოეულისთვის რამდენიმე ვარიანტი გაგვაჩნია. სავარაუდოდ, ყველანაირი მოლაპარაკება წლის ბოლოსთვის ან იანვრის პირველი კვირისთვის დასრულდება"*.


შეტევაზე საულ ალვარესი

მძლეოსნობა

# პისტორიუსმა მაზერატის გაასწრო

კიდევ ერთხელ მოექცა ყურადღების ცენტრში ცნობილი სამხრეთაფრიკელი მორბენალი-ამპუტანტი **ოსკარ პისტორიუსი**. მან კატარის დედაქალაქ დოჰაში მეტად უცნაურ გარბენში მიიღო მონაწილეობა - 200 მეტრ მანძილზე გაეჯიბრა არაბულ ცხენს, სახელად "მაზერატის". სამხრეთაფრიკელმა დოლის ცხენს თითქმის წამზე მეტი მოუგო, - წერს გამოცემა Herald Sun.

26 წლის მძლეოსანი, რომელსაც ორივე ფეხი ამპუტირებული აქვს, დოჰაში მონაწილეობდა სპეციალურ პროგრამაში. ამ ღონისძიების მიზანი იყო ეჩვენებინათ ყველასთვის, თუ რა შედეგების მიღწევა შეუძლიათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სპორტსმენებს.


ოსკარი მაზერატის წინააღმდეგ

შეგახსენებთ, რომ ოსკარ პისტორიუსი პარალიმპიური თამაშების ექვსგზის ჩემპიონია სხვადასხვა დისტანციაზე სირბილში. გარდა ამისა, აფრიკელს არაერთხელ აქვს მონაწილეობა მიღებული ჩვეულებრივ სტარტებში. მან 2011 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატზე სამხრეთ აფრიკის ნაკრების შემადგენლობაში ვერცხლის მედალი მოიგო 4x400 მეტრზე ესტაფეტაში. ასევე გამოვიდა ოსკარი 2012 წელს, ლონდონის ოლიმპიადაზე, რითაც თამაშების ისტორიაში პირველი მონაწილე გახდა ამპუტირებული კიდურებით.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ფორმულა 1

# რომ არა ტექნიკური პრობლემები


სებასა და ლუისს ბრაზილიაში სხვანაირი ბრძოლა ექნებოდათ

საინტერესო კვლევა ჩაატარა ბრიტანულმა ყოველკვირეულმა Autosport-მა. მან გაარკვია - როგორ დასრულდებოდა 2012 წლის სეზონი, ტოპ-გუნდებს მთელი ჩემპიონატი ტექნიკური პრობლემების გარეშე რომ გაევლოთ. ამისთვის საჭირო გავიხსენოთ ყველა ტექნიკური პრობლემა ან პიტსტოპებზე შექმნილი სირთულეები.

მაგალითად, **სებასტიან ფეტელმა** ვერ მოიგო რბოლა ვალენსიაში, სადაც გენერატორის მწყობრიდან გამოსვლის გამო გამოეთიშა ბრძოლას, **ლუის ჰემილტონს** არ გაუმართლა ბარსელონაში (მისმა გუნდმა დაუშვა შეცდომა კვალიფიკაციაში), სინგაპურსა და აბუ დაბიში (გაფუჭდა გადაცემათა კოლოფი და ელექტრობა)... ამ შემთხვევაში, ლუისს ექნებოდა შვიდი გამარჯვება, ფეტელს - ხუთი, **ჯენსონ ბატონს** - ოთხი და **მარკ უებერს** - ორი.

რეალური სურათი კი ასეთი იყო - ფეტელს ხუთი მოგება, ჰემილტონს - ოთხი, **ფერნანდო ალონსოსა** და ბატონს - სამ-სამი, უებერს - ორი, **ნიკო როსბერგს, პასტორ მალდონადოსა** და **კიმი რაიკონენს** - თითო.

ეს ვარაუდები შემდეგ ფაქტორებს ეფუძნება: რომ არა ბატონის პრობლემები ჩინეთში პიტსტოპის დროს, მაშინ ის და არა როსბერგი მოიგებდა რბოლას. ბარსელონაში მთავარ პრიზს არა მალდონადო, არამედ, ჰემილტონი აიღებდა, რომელიც პოულიდან სტარტის შემდეგ დომინირებდა ტრასაზე, ვალენსიაში გაიმარჯვებდა ფეტელი და არა ალონსო, სინგაპურში - ჰემილტონი და არა ფეტელი, აბუ დაბიში კი ჰემილტონი და არა რაიკონენი.

თუ გამოვრიცხავთ საიმედოობის პრობლემებსა და გუნდების შეცდომებს, მივიღებთ უფრო ნათელ სურათს ბოლიდებისა და პილოტების კონკურენტუნარიანობის მხრივ. რომ არა, ტექნიკური მიზეზებით რბოლებიდან გამოვარდნა, ბოლო ეტაპის წინ ლიდერად ფეტელი მოგვევლინებოდა, მასთან 13-ქულიანი ჩამორჩენა ექნებოდა ჰემილტონს, ალონსო კი უკვე ველარ მიიღებდა მონაწილეობას საჩემპიონო რბოლაში, რადგან ფეტელთან 56 ქულით იქნებოდა ჩამორჩენილი.

თუ ბრაზილიის რბოლის შედეგებს გავითვალისწინებთ, ჩემპიონი ფეტელი გახდებოდა 298 ქულით. ჰემილტონს მასზე ორით მეტი მოგება ექნებოდა, მაგრამ მხოლოდ 277 ქულით დაასრულებდა ჩემპიონატს. მაგრამ სან პაულუს რბოლაში, სანამ **ნიკო ჰიულკენბერგი** ჰემილტონს დაეჯახებოდა, ლუისს ექნებოდა სეზონში მერვე რბოლის მოგებისა და პირად ჩათვლაში ფეტელის გასწრების შანსი - 302 ქულა სებასტიანის 296 ქულის წინაალმდეგ. უებერს რომც გაეტარებინა ფეტელი, გერმანელი მხოლოდ 298 ქულას დააგროვებდა.

ჰიულკენბერგი რომ არ შეჯახებოდა ჰემილტონს, არამედ სუფთად აევლო მისთვის გვერდი, მაშინ ლუისი წააგებდა ფეტელთან საერთო ჩათვლას ერთი ქულით. თუმცა ლუისს ეცოდინებოდა, რომ გამარჯვებას შეეძლო მისთვის ტიტული მოეტანა და დარჩენილი 17 წრის განმავლობაში, ძალიან დაძაბულ ბრძოლას ვნახავდით, ვიდრე რეალურად იყო სან პაულუს ტრასაზე.

როგორც ვთქვით, მეტოქეთა ტექნიკური პრობლემების გარეშე, ალონსო და "ფერარი" ვერ იბრძოლებდნენ ბოლო რბოლაში ტიტულისთვის, მაგრამ ჩემპიონატის რეალური შედეგები ლაპარაკობენ იმაზე, რომ "ფერარის" საიმედოობასთან დაკავშირებით პრობლემები არ ჰქონდა, "მაკლარენს", პირიქით, ამ მხრივ ძალიან უჭირდა.

# ფეტელი დარჩენას ადასტურებს



სებასტიან ფეტელი

2012 წელს, პრესაში პერიოდულად ჩნდებოდა ჭორები იმასთან დაკავშირებით, რომ **სებასტიან ფეტელმა** და "ფერარიმ" 2014 წლისთვის გააფორმეს ხელშეკრულება. გერმანელმა პილოტმა არაერთხელ უარყო ასეთი ჭორი, ამ სეზონის დასრულების შემდეგ კი დაადასტურა, რომ უახლოეს წლებში არ აპირებს "რედ ბულის" დატოვებას.

სებასტიან ფეტელი: *"რა თქმა უნდა, არასოდეს იცით, როგორ განვითარდება მოვლენები ცხოვრებაში, მაგრამ ფორმულა 1-ის ნებისმიერ პილოტს მხოლოდ ორი რამ სურს. ჯერ ერთი, მრბოლელი ყოველთვის უნდა იმყოფებოდეს კომფორტულ პირობებში, დალაგებული უნდა ჰქონდეს გუნდთან მყარი ურთიერთობები. მეორე: მას სჭირდება კონკურენტუნარიანი მანქანა. მე ბედნიერი ვარ, რომ ერთიც მაქვს და მეორეც. საქმე მხოლოდ სიტუაციის ობიექტურ შეფასებაში არ არის, არამედ იმაშიც, რომ ყური მიუგდო შინაგან ხმას. ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს გუნდში და ვფიქრობ, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა უფრო უკეთესები გავხდეთ"*.

არ აპირებს გუნდიდან წასვლას ტექნიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი ედრიან ნიუი: *"რედ ბული" - შესანიშნავი ადგილია სამუშაოდ. მამობრივი გრძნობები მამოძრავებს ბიჭების მიმართ, რომლებიც გუნდში მუშაობენ. ყოველთვის ვამბობდი, რომ არ მინდა მთელმა ჩემმა კარიერამ მთლიანად ავტორბოლებში ჩაიაროს, მაგრამ ახლა, სიამოვნებას ვიღებ იმისგან, რასაც ვაკეთებ. მე დავრჩები გუნდში იქამდე, სანამ ის სამსახურს შემომთავაზებს.*

*"რედ ბულში" ჩვენ კონცენტრირებულები ვართ საკუთარ პირდაპირ მოვალეობებზე და გონება არ გვეფანტება სხვა საკითხებით. ვცდილობთ პირადი ამბიციები და პოლიტიკა მინიმუმამდე დავიყვანოთ, ყოველ დღეს ვიწყებთ პოზიტიური ხასიათით და ვცდილობთ შევქმნათ ატმოსფერო, რომელშიც არავინ იქნება დამნაშავე. თუ ვინმემ დაუშვა შეცდომა, ჩვენ ერთად ვცდილობთ მის გამოსწორებას. ვახალისებთ შემოქმედებით მიდგომას, იდეების გაცვლას - ასეთი რამ შესაძლებელია მხოლოდ ისეთ სიტუაციებში, როცა ყველა თანამშრომელი იზიარებს ასეთ მიდგომას"*.

# ბერნი: შეიძლება 19 რბოლა იყოს


ბერნი ექლსტოუნი

ფორმულა 1-ის პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** ავსტრიული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მსოფლიოს 2013 წლის ჩემპიონატის კალენდარი, სავარაუდოდ, 20-დან 19 რბოლამდე შემცირდება. შეგახსენებთ, რომ ადრე ფიქრობდნენ კალენდარში ავსტრიის გრანპრის შეტანის თაობაზე, მაგრამ, როცა ექლსტოუნს ჰკითხეს - არის თუ არა "რედ ბულის" მფლობელობაში მყოფი ავტოდრომი მომავალ წელს გრანპრის ჩატარების რეალური პრეტენდენტი, ბრიტანელმა უპასუხა:

*"ავსტრია? ეს ვინ თქვა? ამის შესახებ არავისთან მქონია მოლაპარაკებები. ამ მომენტისთვის ვფიქრობ იმაზე, რომ სტამბოლში ჩავატაროთ ეტაპი, მაგრამ უფრო იქითკენ ვიხრები, რომ მომავალ წელს მხოლოდ 19 გრანპრი გაიმართება. ამაში ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ.*

*რაც შეეხება ავსტრიას, იქ კატასტროფული მდგომარეობაა სასტუმროებთან დაკავშირებით. ეს ყოველთვის დიდი პრობლემა იყო, რაც დაუშვებელია თანამედროვე ფორმულა 1-ისთვის.*

*ვფიქრობ, ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას მომავალი კვირის დასაწყისში მივიღებთ"*, - ამბობს ექლსტოუნი.

სხვათა შორის, პრესაში გავრცელდა ჭორი იმის თაობაზე, რომ მეოცე გრანპრის ჩატარების ერთ-ერთი ვარიანტი შეიძლებოდა ყოფილიყო იმოლას ტრასა, მაგრამ ქალაქის მთავრობამ უარყო ეს ვარაუდი.

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| მს. ჩემპიონატი | |
|---|---|
| **1/2 ფინალი** | |
| მონტერეი-ჩელსი | 1:3 |
| **ინგლისის თასი** | |
| **II რაუნდი** | |
| ჰასტინგსი-ჰეროგეიტი | 1:1 პენ. 2:1 |
| **იტალიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| მილანი-რეჯინა | 3:0 |
| **ესპანეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი. I მატჩები** | |
| ლევანტე-სარაგოსა | 0:1 |
| ლას პალმასი-ბეტისი | 1:1 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ობერჰაუზენი-შალკე II | 1:2 |
| **საფრანგეთი** | |
| ბორდო-სტ. ეტიენი | 0:0 |
| **ბელგიის თასი** | |
| **1/4 ფინალი. I მატჩი** | |
| ვარეგემი-გენკი | 0:5 |
| **თურქეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ქასიმფაშა-ტრაბზონი | 1:1 პენ. 1:2 |

| საბერძნეთის თასი | |
|---|---|
| **1/16 ფინალი** | |
| პლატანიასი-ანაგენისი (კ) | 3:1 |
| კავალა-აეკ | 0:0 |
| აიგინიაკოსი-პაოკ | 1:3 |
| ეთნიკოსი-ქსანტი | 1:1 |

**კალათბურთი**

| ევროლიგა | |
|---|---|
| ფენერბაჰჩე-კანტუ | 77:69 |
| ხიმკი-პანათინაიკოსი | 78:77 |
| მაკაბი-ალბა | 78:62 |
| მონტეპასკი-პროკომი | 88:95 (ო) |
| უნიკახა-შალონი | 86:62 |
| ბამბერგი-პარტიზანი | 92:90 (ო) |
| ბარსელონა-ცსკა | 75:78 |
| ბეშიქთაში-ლ. რიტასი | 66:65 |
| რეალი-ოლიმპია | 91:60 |

**ხელბურთი**

| ევროპის ჩემპიონატი | |
|---|---|
| **ქალები** | |
| შვედეთი-ჩეხეთი | 35:26 |
| ჩერნოგორია-ესპანეთი | 27:23 |
| სერბეთი-საფრანგეთი | 18:17 |
| რუმინეთი-გერმანია | 23:25 |
| ნორვეგია-დანია | 33:35 |
| რუსეთი-უნგრეთი | 31:25 |

**ჰოკეი**

| ევროტური | |
|---|---|
| რუსეთი-შვედეთი | 5:1 |
| ფინეთი-ჩეხეთი | 3:2 |

● TV პროგრამა

**14 დეკემბერი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** არგენტინის ჩემპიონატი. XIX ტურის მიმოხილვა.
**11:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVI ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVI ტური. აინტრახტი-ვერდერი.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. XVI ტური. სანდერლენდი-ჩელსი.
**16:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVI ტური. ბრედა-ფეიენოორდი.
**18:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVI ტურის მიმოხილვა.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XVI ტური. მანჩესტერ სიტი-მანჩესტერ იუნ.
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**23:00** ტელეჟურნალი – FOOTBALL MUNDIAL
**23:30** გერმანიის ჩემპიონატი. XVII ტური. ბაიერნი-ბორუსია (მ) (LIVE).
**01:30** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ვესტ ბრომვიჩი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ლეიკერსი.
**15:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-ნიუკასლი.
**17:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ჩიკაგო.
**19:15** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**20:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ლეიკერსი.
**22:00** NBA ACTION.
**23:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVII ტურის. ტვენტე-ჰერაკლესი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო. მონაკო.
**13:10** სპორტ-NEWS.
**13:40** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო. მონაკო.
**15:00** კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. ფენერბაჰჩე-კანტუ.
**17:00** სპორტ-NEWS.
**17:30** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ტოტენჰემი-პანათინაიკოსი.
**19:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-სან ანტონიო.
**21:30** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**22:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო. მონაკო.
**00:00** რაგბი. ჰეინეკენის თასი. ედინბურგი-რასინგი (LIVE).

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 3 | 6 | (წვიმა) |
| ქუთაისი | 7 | 7 | (წვიმა) |
| ბათუმი | 8 | 8 | (წვიმა) |
| ფოთი | 7 | 8 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 3 | 6 | (თოვლჭყაპი) |
| გორი | 1 | 3 | (თოვლი) |
| თელავი | 1 | 6 | (წვიმა) |
| სიღნაღი | 3 | 6 | (წვიმა) |
| ბაკურიანი | -8 | -2 | (თოვლი) |
| ბორჯომი | -5 | 3 | (თოვლი) |
| მესტია | -6 | 0 | (თოვლი) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1678 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6646 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6863 |
| 100 რუსული რუბლი | 5.4165 |

● ავტოსპორტი

# რუბენსი ინდიკარს ტოვებს


ბარიკელო და კანაანი

ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი, ბრაზილიელი **რუბენს ბარიკელო** 2012 წელს ინდიკარის ჩემპიონატში გამოდიოდა, მაგრამ ახლა, იძულებულია დატოვოს ეს ამერიკული სარბოლო სერია.

ვეტერანი ბრაზილიელის მეგობრები ამბობენ, რომ 2013 წელს, რუბენსი სამშობლოში გამოვა ბრაზილიის ტურინგის კლასის ჩემპიონატში - ის გუნდ Medley Full Time-ის ღირსებას დაიცავს. სხვათა შორის გასულ შემოდგომაზე ბარიკელომ უკვე სცადა ძალები ბრაზილიურ ტურინგში და იქ სამი რბოლა ჩაატარა.

ინდიკარის სერიაში ბარიკელოს თანაგუნდელი **ტონი კანაანი** ამბობს, რომ ბრაზილიელმა ვერ შეძლო სპონსორების მოძიება, რომლებიც დააფინანსებდნენ მის გამოსვლას ამერიკულ სერიაში. ამიტომაც გადაწყვიტა ტურინგში გადასვლა. ასევე 2013 წელს, რუბენსი კომენტარს გაუკეთებს ფორმულა 1-ის რბოლებს ბრაზილიის ტელევიზიისთვის.

2012 წელს, ბარიკელომ ინდიკარის სერიის გენერალურ კლასიფიკაციაში მე-12 ადგილი დაიკავა. მისი საუკეთესო შედეგი იყო - მე-4 ადგილი სონომის კალიფორნიულ ტრასაზე, ხოლო ლეგენდარულ Indy500-ზე მეათე მივიდა ფინიშთან.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოთხმოცდა...




მეგობარი მყავს ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი. არც ტოტალიზატორზეა გადარეული, ვერც ფეხბურთს თამაშობს - მწვრთნელობა იზიდავს. 2012 წლის დასაწყისში მის ოთახში შევედი და ახალი საქმიანობის შესახებ შევიტყვე: როგორც იქნა, „ბარსელონა“ ავიყვანე და ამ გუნდით ვაპირებ მაღალი მიზნებისკენ სვლასო.

გაკვირვებულმა შევხედე... მიხვდა, რომ ვიფიქრე - ამას სალად მოაზროვნედ ვიცნობდი, ასე უცბად რა დაემართა-მეთქი და უცბად განმიმარტა:

*- კომპიუტერულ ფეხბურთზე გეუბნები. „ბარსელონა“ ავიყვანე და ამ გუნდთან ერთად ახალ სეზონს ვიწყებ.*

მანამდე არ ვიცოდი, რომ კომპიუტერშიც შეიძლებოდა არა მხოლოდ ერთი მატჩის, არამედ ტურნირის თამაში. ჩემს მეგობარს პირველი შეხვედრის ჩატარება უკვე მოესწრო - 4 იანვარს კოპა დელ რეიზე „ბარსამ“ „ოსასუნა“ 4:0 დაამარცხა. 2 გოლი არგენტინელმა ლეო მესიმ გაიტანა.

ოთახში კიდევ ცოტა ხნით გავჩერდი და საკუთარი თვალით ვნახე, როგორ დაძვრებოდა მესი „ბეტისის“ მცველებს შორის. მაშინვე „არსენალის“ თავკაცის, არსენ ვენგერის სიტყვები გამახსენდა - ლეო მესი მოედანზე ისეთ სასწაულებს სჩადის, თითქოს კომპიუტერული თამაშის გმირი ყოფილიყოსო. მართლაც, მონიტორზე „ბარსელონას“ 10 ნომერი სხვებზე ერთი-ორად სწრაფად გადაადგილდებოდა და ისე დარბოდა, თითქოს, ბურთი ფეხზე ჰქონდა მიწებებული. სწორედ, ისე, ნამდვილი მესი რომ აკეთებს ხოლმე. დარტყმის სიზუსტეს არ იკითხავთ? - შესაძლოა, ხელი აგიცდეთ და დარტყმის ღილაკს არ დააჭიროთ, თუმცა მესი მაინც „ტყვიას ტყვიაში ახვედრებს“.

ესპანეთის ჩემპიონატის მატჩში „ბარსელონამ“ „ბეტისი“ 4:2 დაამარცხა. მესიმ ამჯერადაც ორი გოლი გაიტანა. კარგად მახსოვს, 19 თებერვალს „ვალენსიასთან“ მატჩში მესიმ 4 გოლი რომ გაიტანა, მეგობარმა დაიქადნა - ეს ფეხბურთელი ყველა ტურნირის ბომბარდირად უნდა ვაქციოო.

ერთ გოლს მეორე მოჰყვა და მესი ივნისში 50-მდე ავიდა. სამწუხაროდ მატჩი, რომელშიც 50-ე გოლი შეაგდო, ვერ ვნახე. არადა არგენტინის ნაკრებმა გოლუხვ შეხვედრაში ბრაზილია 4:3 დაამარცხა.

11 ნოემბერს ლეომ „მალიორკასთან“ შეხვედრაში დუბლი შეასრულა და 76 მოუგროვდა. მეორე დღეს გაზეთებში ერთი ამბავი ატყდა: მესიმ პელეს 75-გოლიანი რეკორდი გააუმჯობესაო. თურმე, 1958 წელს ბრაზილიელ თავდამსხმელს ერთ კალენდარულ წელიწადში 75 ბურთი ჰქონია შეგდებული, რაც დიდი ხნის განმავლობაში მეორე მაჩვენებელი იყო - საუკეთესო ბომბარდირი გერმანელი გერდ მიულერი გახლდათ, რომელსაც ერთ წელიწადში 86 გოლი ჰქონდა გატანილი.

11 ნოემბრის შემდეგ დაისვა კითხვა: გააუმჯობესებს მესი მიულერის რეკორდს? იგი 84 გოლზე რომ ავიდა, ჩემპიონთა ლიგაზე „ბენფიკასთან“ არაფრისმთქმელ მატჩში შეცვლაზე შესულმა ტრავმა მიიღო. ერთი შეხედვით ჩანდა, რომ გერმანელის რეკორდს ალარაფერი ემუქრებოდა, მაგრამ ჩვენ ხომ ვირტუალურ ფეხბურთზე ვლაპარაკობთ - შეჯახებაც მოჩვენებითია და ტრავმაც. ჰოდა, გამოვიდა ლეო მესი მომდევნო შეხვედრაში (9 დეკემბერს) „ბეტისთან“ დუბლი შეასრულა და - 86. ორიოდე დღეში მან მონაგარს 2 გოლი შემატა და სადღეისოდ მის ანგარიშზე ორი რვიანია - 88.

უმალ გამოჩნდა ხალხი, რომლებმაც გაიხსენეს, რომ ზიმბაბველ თუ ზამბიელ ფეხბურთელს ერთ წელიწადში ასზე მეტი აქვს გატანილი, იქ ბრაზილიელებმა გამოილვიძეს, მაგრამ თავად გერდ მიულერმა აღიარა:

*- მესი ფანტასტიკურია. იგი დამსახურებულად გახდა ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი. თუმცა ერთი ნაკლი მაინც აქვს - „ბაიერნში“ არ თამაშობს.*

■ ■ ■

აქვე უნდა განვმარტოთ: ჩემი მეგობარი მართლაც კომპიუტერული თამაშების მოყვარულია, მაგრამ იგი არ არის „ბარსელონას“ მწვრთნელი (ნეტავ იყოს), ხოლო რაც მესიზე მოგახსენეთ, კომპიუტერული თამაშის ამბები არ იყო: ლეომ წლის პირველი გოლები მართლაც 4 იანვარს გაიტანა, მართლაც მოაგებინა არგენტინას ბრაზილიასთან და 9 დეკემბერს მართლაც მოხსნა გერდ მიულერის რეკორდი, რითაც მსოფლიო აალაპარაკა და რუბრიკა „ტაიმლაინშიც“ ამიტომ მოხვდა.

## მესი რომ ქართველი იყოს...

მსოფლიოს რეკორდსმენ ლიონელ მესის შესახებ „სატაიმლაინედ“ ინფორმაციებს ვეძებდი. ერთ-ერთ საიტზე ფოტომონტაჟს წავაწყდი: არგენტინელს თმა ისე ჰქონდა გაფურჩქნული, 70-იანი წლების მომღერალს მოგაგონებდათ. სათაურად ეწერა: „მესი რომ კოლუმბიელი იყოს“...

...და ქართველი რომ იყოს? რამდენად საინტერესო იქნება მესის ქართველობა, ქვემოთ წაიკითხავთ.

დავიწყოთ მისი ბავშვობიდან. პირველი მწვრთნელი ხალხში აუცილებლად დაიტრაბახებდა: ჩვენი ლეო ოლროჩოლრო მოედანზე ვარჯიშს რომ არის მიჩვეული, ამიტომაცაა „ნოუ კამპის“ სისინა მინდორზე ბურთს ფეხიდან რომ არ იცილებსო...

ჭიქას პირიდან არ იცილებსო - ასეთი გამოთქმაც არსებობს. კარგი თამადა კი ჭიქის ნაცვლად ყანწს მოიმარჯვებდა და მესი ქართველი რომ იყოს, იტყოდა: ჩვენს სახელოვან მამულიშვილებს გაუმარჯოს, სტალინს, სააკაძეს, მესის...

სუფრაზევე სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები შეკამათდებოდნენ: მეგრელი იტყოდა - მესი კი არა, მესიავააო, კახელი მაგალითს მოიყვანდა - „ბარსელონაში“ წასვლის შემდეგ მან მაინცდამაინც ვარკეთილში იმიტომ იყიდა ბინა, რომ კახელი მესიშვილიაო. სვანი - მესიანიაო, რასაც სომეხიც დაეთანხმებოდა: მართლა მესიანია, მაგრამ პაპამისი წლების წინ ერევნიდან არგენტინაში გადახვეწილი ემიგრანტიაო...

მესი რომ ქართველი იყოს, ხშირად მოუწევდა კანფეტების ტყორცნა და გამეორება: შემოვდგი ფეხი...

საინტერესო სიტუაციას წავაწყდებოდით რამდენიმე წლის შედეგ. კარიერის დასასრულს კრიშტიანო რონალდოს ამერიკული „ლოს ანჯელესი“ 12 მილიონ დოლარს შესთავაზებდა, ბალოტელის ყატარის „ალ აჰლი“ - 10 მილიონს. მესის კი საქართველოდან დაურეკავდნენ და ლეო მორიდებულად უპასუხებდა: ეკონომიკის მინისტრობაზე ნამდვილად ვერ დაგთანხმდებით, მელვინეობა და სპორტი უკეთ მესმის, იქნებ უფრო შესაფერისი...

● ქართველი NBA-ში

# ზაზამ საკუთარი ნახევრიდან ჩააგდო, მაგრამ...

**ზაზა ფაჩულია** NBA-ს დრაფტზე 2003 წელს „ორლანდო მეჯიქმა“ აიყვანა. ამ გუნდში მან ერთი სეზონი გაატარა და მას მერე ორლანდოელების წინააღმდეგ მატჩებში ყოველთვის შედეგიანია. არც ბოლო შეხვედრა იყო გამონაკლისი. ზაზამ 19 წუთში 7 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა. მისმა გუნდმა ფლორიდელები სტუმრად 86:80 დაამარცხა.



მატჩის გამორჩეულ მომენტთა შორის ორჯერ მოხვდა ფაჩულია. პირველ შემთხვევაში ზაზამ სამქულიანი ჩააგდო, რაც მისი ამერიკული კარიერის პირველი რეალიზებული სამიანი იქნებოდა... მესამე პერიოდის დასრულებას წამები უკლდა, როცა ატლანტელებმა ბურთი პირითი ხაზიდან გამოიტანეს და ზაზა ფაჩულიას ისლა დარჩენოდა საკუთარ საჯარიმოსთან მდგომს მეტოქის კალათისკენ გაესროლა. ასეც მოიქცა და ბურთმა მიზანს მიაღწია, თუმცა არბიტრებმა არ ჩათვალეს - სირენის ხმა მანამდე გაისმა, ვიდრე ზაზამ ბურთი სტყორცნაო.

მეორე ეფექტური ეპიზოდი მეოთხე პერიოდის დასაწყისში იყო: ფაჩულიამ ბურთი სამქულიანის ხაზთან მიიღო, მეტოქის საჯარიმოში გამთამაშებლის სისწრაფით შეიჭრა და - 74:60 „ატლანტას“ სასარგებლოდ. დარჩენილ დროში „ორლანდომ“ თამაშის შემოტრიალება ველარ მოახერხა.

■ ■ ■

„მეჯიქთან“ მატჩამდე ზაზა ფაჩულიას NBA-სგან გაფრთხილების ფურცელი მიუვიდა. საქმე ისაა, რომ ნაციონალურმა საკალათბურთო ასოციაციამ გაამკაცრა მიდგომა სიმულანტების მიმართ. ვიდეოგანხილვის შემდეგ NBA-ს წარმომადგენლებმა ჩათვალეს, რომ „ვაშინგტონთან“ მატჩის ერთ-ერთ ეპიზოდში ზაზამ მეტოქესთან შეჯახების შემდეგ ზედმეტად გაიაფორმა. როგორც იტყობინებიან, მსგავსი სიტუაციის განმეორების შემთხვევაში კალათბურთელი 5 ათასი დოლარით დაჯარიმდება.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:55
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608